# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 25 ივლისი, 2009 წელი.

№ 148 (6249)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ქარებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

## NIHIL




5

რატომ არის დღეს საჭირო „თავისუფალი აზრის სახლი“

## რა მოხდა და რამ შეაშფოთა კრემლი? 4



## როგორც გარანტი, ჩვენ ვიდგებით თქვენ გვერდით!.. 2



## ცელქობით დაღლილი ცომ ხოიერი და მისი მეგობარი ჯო 3

## 4 გლობალიზაციის საცეცები

## ამერიკის მტკიცე მხარდაჭერა ჯეროვნად უნდა გამოვიყენოთ



3

## რუსეთი აცხადებს, რომ კონკრეტულ ზომებს მიიღებს აშშ-ს ნებისმიერი მცდელობის წინააღმდეგ - შეაიარაღოს საქართველო 7

## არასრულწლოვან კანონდამრღვევთა პრობლემები 15

## „გახუნებული ბარათები“ ჟურნალ „საარქივო მოამბის“ ფურცლებზე 8



# როგორც გარანტი, ჩვენ ვიდგებით თქვენ გვერდით!..

## ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის გამოსვლა საქართველოს პარლამენტში

**ბატონო თავმჯდომარევ, ბატონებო, ქალბატონებო, სტუმრებო, ძვირფასო მეგობრებო!**

**გმადლობთ პატივისათვის!**

**ჩემს გამოსვლას თქვენ წინაშე მე მივიჩნევ პატივად. მე მიმაჩნია პატივად თქვენი პარლამენტის წინაშე გამოსვლა. მე მოგმართავთ არა მხოლოდ ჩემი, როგორც ვიცე-პრეზიდენტის, არამედ ამერიკის პრეზიდენტის ობამას სახელით და აგრეთვე ჩემი ქვეყნის სახელით. მე ჩამოვედი აქ შეერთებული შტატებიდან ერთმნიშვნელოვანი მარტივი გზავნილით. ჩვენ შეერთებულ შტატებში ვდგავართ თქვენს გვერდით, თქვენს გზაზე უსაფრთხო, თავისუფალი, დემოკრატიული და ერთიანი საქართველოსკენ. ეს არის მოგზაურობა, რომელიც მიმდინარეობს თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში.**

1918 წლის მაისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა ისევე, როგორც გამოაცხადა ჩემმა ქვეყანამ იქამდე 150 წლით ადრე. შემდგომ თქვენ მიიღეთ კონსტიტუცია. ეს იყო თქვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ვაჟკაცური განცხადება, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა თავდასხმის გარდაუვალი საფრთხე. ერთი თვის შემდეგ მოხდა ბოლშევიკური ოკუპაცია და ეს იყო ამ პარლამენტის ბოლო შეკრება იმ საუკუნის დასასრულამდე. ეს იყო ის მოგზაურობა, რომელიც 1918 წელს აღინიშნა თავისუფლებისადმი მოწოდებით. თავისუფლების ძახილი კიდევ ერთხელ გაისმა საქართველოში მომაკვდავი იმპერიის დასასრულისკენ. 3 წლის შემდეგ კიდევ გაისმა ეს შეძახილი, როცა ვარდმა დაიწყო აყვავება და საქართველოში დაიწყო პირველი პოსტსაბჭოთა ექსპერიმენტი. ეს იყო სამოქალაქო დაპირისპირებების და ეკონომიკური სირთულეების პერიოდი და მოხდა უკუსვლა მანამ, სანამ 6 წლის წინათ, 2003 წელს, არ მოხდა „ვარდების რევოლუცია" და დაიწყო თავისუფლების ახალი ეტაპი, რომელიც მთელმა მსოფლიომ გაიგო.

მე მახსოვს თქვენი გზა თავისუფლებისკენ, მე მას მთლიანად ვადევნებდი თვალყურს, ასევე მილიონობით ადამიანი გადევნებდათ თვალყურს მსოფლიოში, რომელთაც თვითონაც სურდათ თავისუფლება.

ერთი წლის წინათ, როგორც ბატონმა თავმჯდომარემ ბრძანა, მე ჩამოვედი საქართველოში სულ სხვა გარემოების გამო და მე ბევრი ადამიანი მირჩევდა არ ჩამოვსულიყავი. მეუბნებოდნენ, რომ არ იყო მაინცდამაინც ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ მე მსურს ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო რატომ იყო თქვენი თავისუფლება ამდენად მნიშვნელოვანი ჩემი ქვეყნისთვის და მსოფლიოსთვის. მე ვიდექი პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად და ცაში კიდევ ისმოდა სამხედრო თვითმფრინავების ხმა. მე მაშინ განვაცხადე იქ, იმ სახურავზე, ამერიკის მხარდაჭერის შესახებ საქართველოსადმი როგორც სენატორმა და მე დღეს კიდევ ერთხელ გიცხადებთ ამ მხარდაჭერას, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი (ხანგრძლივი აპლოდისმენტები). მე ამ მხარდაჭერას გიცხადებთ არა პირადად ჩემი, არამედ პრეზიდენტ ბარაკ ობამას სახელით. ეს ვიზიტი საქართველოში სპეციალურად განხორციელდა ობამას ვიზიტის შემდგომ რუსეთში, მოსკოვში და როცა ის გეგმავდა თავის ვიზიტს, მან დამავალა დამეგეგმა ჩემი ვიზიტი თბილისში.

ბატონებო და ქალბატონებო, მე მესმის, რომ ზოგიერთები შეშფოთებულები არიან და მე მესმის ეს შეშფოთება. ეს შეშფოთება შეეხება იმას, რომ შეერთებული შტატების ურთიერთობების ხელახალი ჩამოყალიბება არ მოხდეს საქართველოს ხარჯზე. მე მსურს ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო, მათ ვერ შეძლეს და ისინი ვერ შეძლებენ, როგორც მე განვაცხადე, პრეზიდენტმა ობამამაც განაცხადა ორი კვირის წინათ მოსკოვში. ჩვენ ვართ პრინციპულები იმ საკითხში, რომ სუვერენულ დემოკრატიებს აქვთ უფლება მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და აირჩიონ თავისი პარტნიორები და თავისი ალიანსები. ჩვენ ვართ წინააღმდეგი XIX საუკუნეში დამკვიდრებული გავლენის სფეროს ცნების. ამ ცნებას ადგილი აღარ აქვს XXI საუკუნეში, (აპლოდისმენტები). ჩვენ არ ვაღიარებთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს (აპლოდისმენტები) და ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიოს, არ აღიარონ ისინი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები და ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, პატივი სცეს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად იყო გამოხატული 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაში. შეთანხმების მიხედვით, კონფლიქტის ზონიდან და თქვენი ტერიტორიიდან უნდა გასულიყო ყველა შეიარაღებული ნაწილი. ჩვენ მხარს ვუჭერთ მონიტორების უფრო ფართოდ გავრცელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მშვიდობისა და სტაბილურობისთვის.

ბატონებო და ქალბატონებო, კიდევ უფრო მეტი რამ არის გასაკეთებელი. გასული წლის ვიზიტის დროს მე შემძრა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების ცხოვრებამ და იმ ეკონომიკურმა ზარალმა, რაც გამოიწვია საქართველოს ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის დაზიანებამ. მე გპირდებით, რომ ჩვენი ქვეყანა გაუწევს მნიშვნელოვან დახმარებას საქართველოს და რომ შეერთებული შტატები განახორციელებს იმ ვალდებულებას, რაც იყო აღებული 1 მლრდ. დოლარის სახით.

ბატონებო და ქალბატონებო, აგვისტოს შემდეგ ჩვენ დავეხმარეთ თავშესაფრით გადაადგილებულ პირებს და ფინანსური დახმარებით თქვენს მთავრობას, რათა დევნილებმა შეძლონ სახლში დაბრუნება და იყოს უზრუნველყოფილი ენერგოუსაფრთხოება, სამოქალაქო საზოგადოება და საკანონმდებლო სისტემა. მთლიანობაში საქართველო დღესდღეობით იღებს ერთ-ერთ ყველაზე დიდ დახმარებას შეერთებული შტატებიდან ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. 1 მლრდ დოლარი 5 მლნ მოსახლეზე გაანგარიშებით საკმაოდ დიდი თანხაა. ჩვენ აგრეთვე მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოსთან თქვენი სამხედრო ძალების მოდერნიზების მიზნით. ყურადღება ექცევა ტრეინინგებს, დაგეგმვას და ორგანიზებას. ჩვენ გვესმის, რომ საქართველოს სურს გაწევრდეს ნატოში. ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს ამ მისწრაფებას. პარლამენტარებო, ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ მუშაობას, რათა დაგეხმაროთ, რომ დააკმაყოფილოთ ნატოს სტანდარტების მოთხოვნები. საქართველომ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოაწერეს ხელი ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. ამ ქარტიით დაისახა ამბიციური გეგმები ოთხი პრიორიტეტული მიმართულებით: **თავდაცვა და უსაფრთხოება, ეკონომიკურ, სავაჭრო და ენერგოსფეროში თანამშრომლობა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა და კულტურული კონტაქტების გაღრმავება ჩვენს ქვეყნებს შორის.** **ერთმნიშვნელოვნად მსურს განგიცხადოთ, რას ნიშნავს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსთან და რას არ ნიშნავს ის.**

შეერთებულ შტატებს არ აქვს სურვილი, შექმნას საკუთარი გავლენის სფერო ამ რეგიონში ან სადმე სხვაგან მსოფლიოში. ჩვენი მიზანი გახლავთ, დავეხმაროთ მრავალპოლარული სამყაროს შექმნას, სადაც ქვეყნები ითანამშრომლებენ საერთო მიზნისთვის და საერთო პრობლემების დასაძლევად. ეს პარტნიორობა არ იქნება მიმართული ვინმეს წინააღმდეგ. ის იქნება დაფუძნებული ყველას სასარგებლოდ, ვისაც სურს გამჭვირვალე, დემოკრატიული და უსაფრთხო სამყარო. საქართველოსთან პარტნიორობა ნიშნავს უსაფრთხოების სფეროში გამოწვევებზე რეაგირებას. ჩვენ ღრმა მადლიერებას გამოვხატავთ იმის გამო, რომ ქართველი ჯარისკაცები დგანან ჩვენი გულადი საზღვაო ქვეითების გვერდით ავღანეთში.

ეს შეეხება ენერგოუსაფრთხოების საკითხებსაც და ჩვენ მივესალმებით საქართველოს როლს, როგორც დამაკავშირებლის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, როგორც ეს იყო ათასი წლის წინ. ეს შეთანხმება შეეხება კავშირების გამყარებას არა მხოლოდ ჩვენს მთავრობებს შორის, არამედ ჩვენს ხალხებს შორისაც, სამეწარმეო თანამშრომლობასაც და თანამშრომლობას სამოქალაქო სფეროში. ჩვენი პარტნიორობა ეფუძნება გაზიარებულ დემოკრატიულ ღირებულებებს. აი, სწორედ ეს არის ამის იდეა. ჩვენ განვაგრძობთ თქვენს მხარდაჭერას იმ დემოკრატიულ დაპირებებში, რომლებიც გავეცით ექვსი წლის წინათ. როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა მიმართა პარლამენტს ამ კვირის დასაწყისში, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. თქვენი „ვარდების რევოლუცია" სრული სახით მაშინ წარდგება, როცა თქვენი მთავრობა იქნება დამყარებული დემოკრატიაზე, წარმომადგენლობითობაზე და იქნება ანგარიშგებადი, როცა პრობლემატური საკითხები განხილული იქნება პარლამენტში და არა მხოლოდ პარლამენტს გარეთ, როდესაც სრულად იქნება განხილული ისეთი საკითხი, როგორიც არის ხელისუფლების წონასწორობა და ბალანსი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის, როცა მედია იქნება სრულიად თავისუფალი და მიაწვდის ინფორმაციას მოსახლეობას ინფორმირებული გადაწყვეტილებების შესახებ და მთავრობა იქნება ანგარიშგებადი იმ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, რომლებსაც მიიღებს, როცა სასამართლოები იქნება თავისუფალი გარე ზეგავლენისაგან და იქნება სრულიად მიუკერძოებელი და ძალაუფლების გადაცემა მოხდება მშვიდობიანი და დემოკრატიული პროცესების შედეგად და არა ქუჩის აქციების შედეგად.

ბატონებო და ქალბატონებო, არ მინდა, რომ ჭკუის სასწავლებელი ტონი მქონდეს, მაგრამ შემიძლია მოგახსენოთ ჩემი გამოცდილებიდან: არ არსებობს დემოკრატიის კონკრეტული წესხა, მაგრამ არსებობს კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც უნდა იყოს გადადგმული, რომ განვითარდეს ნებისმიერი დემოკრატია. წარმატებისათვის საჭიროა იყოს ჩართული ყველა, ვინც იმყოფება ახლა ამ დარბაზში და ყველანი, ვინც იყვნენ არჩეულნი, მაგრამ არ არიან წარმოდგენილნი ამ დარბაზში, მოითხოვს საქართველოს ყველა მოქალაქის მონაწილეობას მათი ეთნიკური წარმომავლობის თუ პარტიულობის მიუხედავად.

მე დღეს განსაკუთრებით მოვუწოდებ საქართველოს ახალგაზრდობას, საქართველოს ლიდერების შემდეგ თაობას, განაგრძონ თავისი იდეებისა და მოსაზრებების მოწოდება, რათა შეიქმნას სტაბილური, დემოკრატიული და აყვავებული საქართველო. მხოლოდ მაშინ ჩვენ ვნახავთ საქართველოს, რომელიც არის სამშობლო ყველა თავისი მოქალაქისთვის. შეიძლება, ეს ძალიან რთული იყოს, მაგრამ ღია კარი დატოვეთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის, რომ იცოდნენ მათ, რომ სხვა ვარიანტებიც აქვთ, გარდა არსებული სტატუს-კვოსი. არასტაბილურობა ან განახლებული კონფლიქტი არის, ჩვენი თვალსაზრისით, მიუღებელი, სტატუს-კვოს გაგრძელების გარანტია და ხელს შეუშლის უცხოური ინვესტიციების შემოსვლას, რომელიც არის აუცილებელია ზრდისათვის და ეკონომიკური პროგრესისათვის, რომელიც ასე გჭირდებათ.

როგორც ნათქვამია, არ არსებობს სამხედრო გადაწყვეტა ტერიტორიული რეინტეგრაციისთვის. მხოლოდ მშვიდობიანი და აყვავებული საქართველო იქნება პერსპექტივა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის და უჩვენებს აფხაზეთისა და ოსეთის მოსახლეობას, რომ საქართველოში მათ შეუძლიათ იგრძნონ თავი თავისუფლად და შეუზღუდავად და, რომ ისინი შეძლებენ ისარგებლონ ავტონომიით ფედერალური სისტემის მთავრობაში და, რომ ცხოვრება გაცილებით უკეთესი იქნება მათთვის, ვიდრე ეს ახლაა, და ნახონ მათ რეალური სარგებელი თქვენი ქვეყნის მოდელიდან. ძალა ერთობაშია.

ბატონებო და ქალბატონებო, პარლამენტარებო, გაყოფილი საქართველო ვერ დაასრულებს თავის გზას ბოლომდე. გაერთიანებული საქართველო კი შეძლებს განახორციელოს თქვენი წინაპრების სურვილები და თქვენი შვილების ოცნებები. მე დავასრულებ საქართველოს, ალბათ, ყველაზე ცნობილი პოეტის ლექსის ნაწყვეტით. როდესაც ვხვდებოდი თქვენს პრეზიდენტს, მან ჩამიტარა პატარა ისტორიის გაკვეთილი თქვენს ყველაზე ცნობილ პოეტთან მიმართებაში. პოეტის, რომელმაც სული ჩაუდგა საქართველოს თავისუფლებისაკენ სწრაფვას 1921 წელს, ხმა ჩვენ დღესაც გვესმის, და იმედია, სწორად გადმოვცემ. მისი სიტყვებია:

**„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,**
**მეწვოდეს მის ტანჯვით სული,**
**მის ბედით და უბედობით**
**დამედაგოს მტკიცე გული."**

ბატონებო და ქალბატონებო, ჩემი პრეზიდენტი და მე, ჩემი ქვეყანა, ჩვენ გისურვებთ, რომ თქვენი დიდი ამოცანები შეესაბამებოდეს თქვენს შესაძლებლობებს. მე ვიცი, რომ თქვენ ეს შეგიძლიათ, თქვენც იცით ეს და ძალიან დიდი მადლობა, რომ არა მარტო თქვენი ქვეყნის შთაგონება მოახერხეთ თავისუფლების იდეებით, არამედ მილიონობით სხვებისაც. ჩვენ თქვენ გვერდით ვართ და მხარს გიჭერთ. დიდი მადლობა და, როგორც გარანტი, ჩვენ ვიდგებით თქვენ გვერდით **(ხანგრძლივი აპლოდისმენტები)!..**



განსჯა



*ინტერპრესნიუსს ესაუბრება პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ევროკავშირსა და რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი ზურაბ აბაშიძე.*

# ზურაბ აბაშიძე: ამერიკის მტკიცე მხარდაჭერა ჯეროვნად უნდა გამოვიყენოთ

**— როგორ შეაფასებდით საქართველოში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტს და თქვენი აზრით, ამ ვიზიტით მოსკოვმა რა ძირითადი მესიჯები მიიღო?**

— ბაიდენის გამოსვლამ პარლამენტში ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პარლამენტში მისი გამოსვლა კომპაქტური იყო, მაგრამ ემოციურად აშკარად დატვირთული გახლდათ. ბაიდენის სიტყვაში ყველა ის მომენტი იყო, რასაც საზოგადოება ელოდა. იყო წარსულის შეფასებაც, უკანასკნელი წლებიც გაიხსენა და როგორც მან თქვა, „მარტივი" განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ აშშ საქართველოს გვერდით დგას.

ბაიდენმა გაიხსენა, თუ როგორ ჩამოვიდა იგი საქართველოში 2008 წლის აგვისტოში, მიუხედავად იმისა, რომ მას თბილისში ჩასვლას არ ურჩევდნენ. აგვისტოს მოვლენებს მან აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვანი და ნათელი შეფასება მისცა. ისაუბრა იმაზე, თუ როგორ გადაწყდა პრეზიდენტ ობამას დავალებით მისი თბილისში ვიზიტი ობამას მოსკოვში ვიზიტის შემდეგ. მან კვლავ დაადასტურა, რომ აშშ გავლენის სფეროებს არ შეეგუება და არც თავად ქმნის საკუთარ გავლენის სფეროებს, რომ „აშშ-ს რუსეთთან ურთიერთობები საქართველოს ხარჯზე არ იქნება", მან კიდევ ერთხელ გარკვევით დაადასტურა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისადმი აშშ-ს პოზიცია და კვლავ მოუწოდა რუსეთს, შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულება და ამ რეგიონებიდან თავისი ჯარი გაიყვანოს.

ვიცე-პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა საქართველო-ამერიკის ორმხრივ ურთიერთობებზე, იმაზე, რომ აშშ საქართველოს დაეხმარება ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის განვითარებაში, დევნილების პრობლემების მოგვარებაში, ენერგოუსაფრთხოების საკითხების გადაჭრაში და ისიც შეგვახსენა, რომ საქართველო დღევანდელ მსოფლიოში ის ქვეყანაა, რომელიც აშშ-სგან უდიდეს დახმარებას იღებს.

მოსკოვისთვის ძირითადი მესიჯი იყო ის, რომ აშშ არ ეგუება გავლენის სფეროებს, არ აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ ქვეყნებად. კვლავ ადასტურებს იმას, რომ რუსეთმა უნდა გაიყვანოს ამ რეგიონებიდან თავისი ჯარები. საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით მართალია, მოკლედ, მაგრამ ლაკონურად დააფიქსირა აშშ-ს პოზიცია. ორმხრივ ურთიერთობებში მთავარი თემა იყო სტრატეგიული პარტნიორობის პროგრამა. მას არც ის დავიწყნია აღენიშნა, თუ რას აკეთებენ ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში, ელეგანტურად მიანიშნა შიდა პრობლემებზეც.

**— ვიზიტის წინ ბევრი საუბრობდა იმაზე, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაციაში საქართველოს მიმართ დამოკიდებულების კორექცია მიმდინარეობს და რომ ვაშინგტონი მზადაა გადატვირთოს ურთიერთობა არა მარტო რუსეთთან, არამედ საქართველოსთან. თქვენი აზრით, ბაიდენის ვიზიტმა ამგვარი მოსაზრება გაამყარა თუ პირიქით - გააქარწყლა?**

— ჩემი აზრით, გაამყარა მოსაზრება, რომ აშშ მხარს უჭერს საქართველოს, ქართველ ხალხს, თავისუფლებას, დემოკრატიას, საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. ბატონმა ბაიდენმა თქვა, თქვენი საქმე თქვენი გასაკეთებელიაო და კორექტულად ახსენა, რომ აუცილებელია ხელისუფლების დაბალანსების საკითხის გადაწყვეტა, მასმედიისა და სასამართლოს თავისუფლების ხარისხის ამაღლება და ის, რომ ხელისუფლების გადაცემა უნდა მოხდეს მშვიდობიანად და არა ქუჩიდან. მან ასევე მიანიშნა, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აუცილებელია ყველას ჩართულობა, მათი, ვინც ხელისუფლებაშია და მათი, ვინც გარეთ არის. ეს ის განცხადებებია, რასაც ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენისგან ყველა ელოდა.

**— თბილისი ვაშინგტონისგან თავდაცვითი შეიარაღების მიღებას და ევროკავშირის სადამკვირებლო მისიაში ამერიკელი სამშვიდობოების ჩართვას მოითხოვდა. თქვენი აზრით, თეთრი სახლი მოსკოვის პროტესტის მიუხედავად, რა გადაწყვეტილებებს მიიღებს ამ საკითხებთან დაკავშირებით?**

— სამხედრო თემატიკასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ აშშ ქართულ ჯარს გაუწევს დახმარებას, რათა ნატოს სტანდარტებს მიუახლოვდეს. შეიარაღების მიწოდებაზე მას არაფერი უთქვამს. არ მგონია, რომ გამორჩა, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, მას ევროკავშირის სადამკვირებლო მისიაში ამერიკელი სამშვიდობოების მონაწილეობაზეც არაფერი უთქვამს. ამ თემაზე ალბათ იყო საუბარი, მაგრამ ვიცე-პრეზიდენტი ამ საკითხზე პასუხს ასე სწრაფად ვერ იტყოდა. მას ალბათ დასჭირდება დრო და საკითხის შესწავლა. ამ საკითხზე აშშ-საგან პასუხს უახლოეს მომავალში უნდა ველოდეთ.

**—თქვენი აზრით, ოპოზიციამ შეძლო ბაიდენის წინაშე საკუთარი თავის სააკაშვილის ხელისუფლების რეალურ ალტერნატივად წარმოჩენა?**

— ბატონმა ბაიდენმა თქვა, რომ აშშ ჩვენს საქმეებში არ ჩაერევა. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი საქმე თქვენ უნდა გაარკვიოთო, მაგრამ ჩვენი ფასეულობები ასეთია – ხელისუფლება უნდა იყოს დაბალანსებული, მედია – თავისუფალი, სასამართლო – დამოუკიდებელი და ძალაუფლების გადაცემა უნდა ხდებოდეს მშვიდობიანად და არა ქუჩიდან და ძალითო. ამაში ბევრი რამ იკითხება.

**— ბაიდენთან შეხვედრის შემდეგ ოპოზიციის ლიდერებმა გააკეთეს განცხადება იმის შესახებ, რომ ქართულ-ამერიკული ურთიერთობები საქართველოში დემოკრატიული რეფორმების გატარებაზე იქნება დამოკიდებული. თქვენი აზრით, შეძლებს თეთრი სახლის ადმინისტრაცია საქართველოს ხელისუფლების დარწმუნებას იმაში, რომ ქვეყანაში რეალური დემოკრატიული რეფორმების გატარება გარდაუვალი აუცილებლობაა?**

— ალბათ ეს ასეა. ამის გასაგებად მაინც და მაინც ბატონ ბაიდენის ჩამოსვლა არ იყო საჭირო. „ცივი ომის" დროს და მას შემდეგაც აშშ დემოკრატიულობის ხარისხს უმთავრეს პრინციპად მიიჩნევდა და მიიჩნევს.

გუშინ ვამბობდი, რომ ბაიდენის ვიზიტთან დაკავშირებით არ უნდა გვქონდეს ნატვრის ხის მოლოდინი და არ უნდა დავემსგავსოთ ფელინის ცნობილი ფილმის, ამარკორდის გმირებს, რომლებიც პატარა ქალაქში ნაპირთან დგანან და ოცნების ხომალდს ელიან. სასწაული არ მოხდება, მაგრამ ბაიდენის ვიზიტი არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ საქართველომ უფრო მტკიცედ და დაცულად იგრძნოს თავი. ჩვენ არაორდინარულ ვითარებაში ვცხოვრობთ და ქვეყნის გარედან რისკის ფაქტორები ძალიან დიდია. მაქსიმალური უნდა გაკეთდეს, რომ რისკის ფაქტორები როგორც გარედან, ისე ქვეყნის შიგნით მოიხსნას. ამერიკელი პარტნიორები ორივე მიმართულებით გვეხმარებიან. ასე რომ ამერიკის მტკიცე მხარდაჭერა ჯეროვნად უნდა გამოვიყენოთ.



**კობა ბენდელიანი.**

მოდი და ნუ იფიქრებ...

# ცელქობით დაღლილი ტომ სოიერი და მისი მეგობარი ჯო

## ანუ ფიქრები ხმამაღლა ჯო ბაიდენის ვიზიტის ფონზე

**მარკ ტვენის ერთი საკმაოდ ცნობილი ფრაზა გამახსენდა: — საფრანგეთში არ არის არც გაზაფხული, არც შემოდგომა და არც ზნეობა.**

**თქვენ წარმოიდგინეთ და, მარკ ტვენი რომ საქართველოში ჩამოსულიყო, გაზაფხულს და შემოდგომას გამოაკლებდა და ძალიან მარტივად და ძალიან უბრალოდ იტყოდა: — საქართველოში არ არის ზნეობა.**

მართლაც ძალიან მომწონს ქართული ჯგუფი „მგზავრები", რომლის წევრებიც საკმაოდ კარგად უკრავენ და რომელთა ერთ-ერთ სიმღერაში არის ფრაზა: ცელქობით დაღლილ ტომ სოიერს ჰგავხარ.

ძალიან გთხოვ, ძვირფასო მკითხველო, რომ ამ ჩემი წერილის სათაურიდან და შესავლიდან გამომდინარე, ბატონი ჯო ბაიდენი, უკრაინიდან სამშობლოში ტრანზიტით მიმავალ არც რომელიმე რიგით მგზავრად ჩათვალო და არც ინდიელ ჯოდ.

უბრალოდ როდესაც ამ წერილს ვწერდი, ზემოთ მოხსენიებული ანსამბლის სიმღერებს ვუსმენდი და ცელქობით დაღლილი ტომ სოიერის გაგონებაზე, ჯერ ჩვენი ოპოზიცია და მერე მიხეილ სააკაშვილი დამიდგა თვალწინ.

ეგ იყო და ბატონი პრეზიდენტის ფრაზა: **ჩემი მეგობარი ჯო!** გავიგონე.

გავიგონე და მაშინვე ისევ ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი გამახსენდა.

როგორც კი მათზე დავიწყე ფიქრი (მოდი და ნუ იფიქრებ), ქართული პოლიტიკური „ჭიდილი" დავინახე (ტელევიზორს ჩართავ და – მიშაა, რუსთაველზე გახვალ და – ოპოზიცია. მოკლედ, რომ ვთქვა: ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები. არადა, რა ქნას პეპელამ?), დავინახე და მაშინვე ერთი კითხვა დამებადა:

კითხვა სახელად — **რატომ?**

შეიძლება, რომელიმე ფსიქოლოგმა თქვას, რომ ეს კითხვა ჩემს ქვეცნობიერში რუსთაველზე გაკრულმა ფლაერებმა ჩანერგა, მაგრამ, დამერწმუნეთ, ასე არ არის.

ნამდვილად არ არის, რადგან ეს კითხვა არა მხოლოდ ხელისუფლების მიმართ, ოპოზიციის მიმართაც კარგა გვარიანად მკაცრი ტონით მებადება.

არ გაგიკვირდეს, ძვირფასო მკითხველო, და ნამდვილად შემიძლია, რომ ეს წერილი, ასე ვთქვათ, „გავწელო", ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების, უაზრო კომენტარების და აბსურდული პროგნოზების კორიანტელი დავაყენო.

თავისუფლად შემიძლია ზუსტად ისე მოვიქცე, როგორც დღეს ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლებული, ე.წ. ექსპერტები და პოლიტოლოგები იქცევიან.

რა მაგის პასუხია და იმდენი ექსპერტის და პოლიტოლოგის ნაცვლად, რამდენიც დღეს გვყავს, რეალური საქმის გამკეთებელი რომ გვყავდეს, აუუუუუ, რუსეთის ვიცე-პრეზიდენტს, უჰ, უკაცრავად, რუსეთის პრეზიდენტს, უვიზოდ ვინ ჩაუშვებდა ცხინვალში.

ჰო, ისევ იმ „სოკოებს" დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ, თავისუფლად შემიძლია, ეს ყველაფერი „შევასრულო". „შევასრულო" და ოდნავ მეტი ჰონორარიც მივიღო, მაგრამ მაშინ ამ ორ კითხვას უნდა გავექცე:

ორ კითხვას, რომლებიც საკმაოდ მარტივად ჟღერს:

**1. რატომ?**
**2. რა გინდათ?**

აბა, ყველა კარგად დაფიქრდით. გადახედეთ გასულ რამდენიმე წელს და მერე მითხარით, რომ ეს კითხვები არ არის ყველაზე მთავარი და საჭირბოროტო.

რ ა ტ ო მ ?

ანუ

**რატომ არ ამბობს პრეზიდენტი, რომ უსერიოზულესი კრიზისია ქვეყანაში?**

**რატომ არ ამბობს ოპოზიცია, რომ იგი ვერ გადაწყვეტს ამ კრიზისისგან გამოწვეულ პრობლემებს?**

**რატომ არ ამბობს არავინ, რომ ის კრიზისი, რომელიც ზემოთ ვახსენე, ეხება ეკონომიკას, ეხება სასამართლო სისტემას, ეხება თავისუფალ სიტყვას, ეხება განათლებას, თავდაცვას დ.ა.შ.**

ეხება ყველაფერს და გვეხება ჩვენ. ეხება ჩვენს ოჯახებს. ეხება ჩვენს წარსულს. ეხება ჩვენს აწმყოს და ეხება ჩვენს მომავალს.

რატომ არ ამბობს არავინ, რომ:

ცელქობით დაიღალა ტომ სოიერი. ბეკი თეთჩერმაც მოძებნა გამოქვაბულიდან გამოსასვლელი გზა. ჰეკლბერი ფინი კი ტივს გაჰყვა.

ჩვენ დავრჩით.

ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" გამახსენდა.

ერთი ძალიან მაგარი ეპიზოდია იქ.

კოლმეურნეობის კრებაა და თავმჯდომარეს სურს, რომ „კანტორა" თავის სახლთან ახლოს გადმოიტანონ.

არ დავიწყებ იმ ეპიზოდის დეტალურ განხილვას, უბრალოდ ვიტყვი, რომ, ზურიკელა ვაშალომიძის ერთადერთი წინადადება: – გადავაყენოთ თავმჯდომარე და მის მაგივრად ახალი ავირჩიოთო, ერთხმად გავიდა.

ვერ გეტყვით, როგორ იქნება „პროცედურულად" ეს საკითხი, მაგრამ ერთმა აზრმა გამიელვა თავში:

– მოდით, ჯერ ეს ოპოზიცია გადავაყენოთ და მის მაგივრად ნორმალური ხალხი ვიპოვოთ?

შეიძლება, ვცდები?

არა, ნამდვილად არ ვცდები!

ამ ჩემი „რიტორიკის" გამო, შეიძლება ვინმემ მკითხოს:

– კი მაგრამ, რა დროს ეს შენი დითირამბებია, აგერ ბაიდენი იყო ჩამოსული და ეგ თემა განავრცეო.

კი ბატონო. განვავრცობ.

ბატონმა ჯოზეფ ბაიდენმა როგორც ხელისუფლებას, ისევე ოპოზიციას დაუსვა ის კითხვა, რომელიც, მე მეორე ნომრად აღვნიშნე.

**– რა გინდათ?**

ხელისუფლების თხოვნაზე მან განაცხადა, რომ აგვისტოში დაპირებული 1 მილიარდი დოლარი ჩამოვა საქართველოში (ხელისუფლებამ სცადა ამ თანხის „იმ ძველ", ანუ აგვისტოს შემდეგ გადმორიცხულ თანხებზე „მიწერა", მაგრამ რაღაც არ გამოუვიდა).

რაც შეეხება ოპოზიციის თხოვნას, მიუხედავად იმისა, რომ ოთხი „ოპოზიციონერი" ესწრებოდა შეხვედრას, ბაიდენის პასუხი მაინც „გაურკვეველი" დარჩა.

როგორც ჩანს, ვერავინ ვერაფერი გაიგო, რადგან ოთხივემ სხვადასხვა პასუხი გამოიტანა (მოდი და გაიგე, რომელია მართალი).

ისე, რაც მართალია, ივანოვმა ნამდვილად აჯობა ბაიდენს.

რატომ?

შევარდნაძე და ასლან აბაშიძე გაიხსენეთ და მერე თქვით.

რუსები მაინც უფრო სწრაფად მოქმედებენ, ვიდრე ამერიკელები (ეს სააკაშვილის სიტყვებია).

ცელქებო, მოდით რა და, დაისვენეთ.

აქ დეიდა პოლის ლობე არ არის.

ეს საქართველოა.

**გია გაბრიჭიძე.**

ვითარება



***ამ რამდენიმე დღის წინათ, რუსმა ოკუპანტებმა გალისა და ოჩამჩირის რაიონებში აფხაზი ე.წ მესაზღვრეებისა და მილიციელების განიარაღება დაიწყეს, რასაც აფხაზების წინააღმდეგობა მოჰყვა. დაპირისპირება სროლითა და აფხაზი მესაზღვრეების ტყეში გაქცევით დასრულდა. ოკუპანტების ამ ქმედებებს სოხუმში აფხაზი ხალხის საპროტესტო აქციაც მოჰყვა. რეალურად რა მოხდა ამ რეგიონში და რა შედეგებს გამოიღებს ეს პროცესები? — ამ საკითხზე ესაუბრა საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ კავკასიის საკითხებში ექსპერტ მამუკა არეშიძეს.***

# რა მოხდა და რამ შეაშფოთა კრემლი?

**— ბატონო მამუკა, ბოლო დროს აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით რა ინფორმაცია გაქვთ?**

— აფხაზეთის ხელისუფლების მიერ რუსეთთან საზღვრის გაკონტროლების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება აბსოლუტურად ლახავს აფხაზეთის ინტერესებს. ამ ხელშეკრულებით აფხაზების სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მისი მხრიდან საზღვრის გაკონტროლების სრული დელეგირება მოახდინა. ეს ეხება მარტო საქართველოსა და აფხაზეთს შორის არსებულ პირობით საზღვარს, თორემ ფსოუზე არ არის ლაპარაკი. აღნიშნული დოკუმენტი აფხაზეთის ე.წ პარლამენტმა უარყოფითად მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზი დეპუტატები რუსეთის აპოლოგეტები არიან, პარლამენტში ამ ხელშეკრულების საკმაოდ მძიმე განხილვა შედგა. აფხაზმა დეპუტატებმა ეს ხელშეკრულება შეადარეს რუსეთ-სომხეთის ხელშეკრულებას სომხეთ-ირანის საზღვრის რუსეთის მიერ გაკონტროლების თაობაზე. იმასთან შედარებით ეს არის უბრალოდ დისკრიმინაციული ხელშეკრულება. აფხაზი სეპარატისტების მიერ რუსეთთან გაფორმებულ შეთანხმებაში წერია, რომ ტერიტორია, რომელზეც დგანან რუსი მესაზღვრეები, აფხაზი მესაზღვრეებისა და სამართალდამცავებისგან გათავისუფლებული უნდა იყოს. ეს ტერიტორია არის რუსეთის მთლიანი კონტროლის ქვეშ. აფხაზ სამართალდამცავებს უფლება არ აქვთ, რუსების მიერ კონტროლირებად ზონას მიეკარონ.

**— ამ ფაქტთან დაკავშირებით, რიგით აფხაზებს რა რეაქცია აქვთ?**

— როცა აღნიშნული დოკუმენტი აფხაზი საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ამან აფხაზი მესაზღვრეების გაფიცვა გამოიწვია. მათ დასაშოშმინებლად გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში აფხაზეთის ე.წ შინაგან საქმეთა მინისტრი ოთარ ხეცია და ოჩამჩირისა და გალის რაიონებში ბალაფშის წარმომადგენელი რუსლან ქიშმარია ჩავიდნენ, მაგრამ გაფიცულების დაწყნარება ვერ მოახერხეს. გაფიცულებმა ჰაერში სროლაც დაიწყეს, რის შემდეგაც ტყეში გაიქცნენ. დღეს უკვე განიარაღებულია ეს ხალხი. სწორედ ამან გამოიწვია 19 ივლისს სოხუმში მიტინგის გამართვა. პრინციპში, ამ დოკუმენტების და ხელშეკრულებების მიმართ უაღრესად ნეგატიური განწყობაა. თან აფხაზური ოპოზიციური პარტიების გაერთიანება, რომელშიც ხუთი სუბიექტი შედის, ასე ვთქვათ, ამ საპროტესტო განწყობის მუდმივად პედალირებას ახდენს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართველებისკენ შემობრუნდნენ. ეს ნიშნავს იმას, რომ პროცესი მიმდინარეობს და ესე იგი ანტირუსული განწყობა არსებობს. ამ ფაქტმა კრემლი იმდენად შეაშფოთა, რომ აფხაზეთის პარლამენტში რატიფიცირებისთვის ამგვარი კიდევ 30 ხელშეკრულება უნდა შესულიყო. როგორც ახლა ირკვევა, რამდენიმე მათგანი კრემლმა უკან გაიწვია. მათ შორის სამხედრო თანამშრომლობის თაობაზე მომზადებული ხელშეკრულება იმიტომ, რომ მიხვდნენ, ამის გაკეთება ამ ეტაპზე არ შეიძლებოდა. ბუნებრივია, ეს პროცესები აფხაზი ხალხის ნაწილის გაღიზიანებას იწვევს. მაგრამ ამ გაღიზიანებას საერთო სახალხო გაღიზიანებამდე ბევრი უკლია და არ ნიშნავს იმას, რომ განსაკუთრებული რამ მოხდება. აფხაზები უშვებენ იმ შეცდომას, რასაც ჯერ კიდევ 90-იან წლებში ქართველები უშვებდნენ. ესე იგი, ხაზგასმა ხდება იმისა, თითქოს რასაც აკეთებს ადგილობრივი ხელისუფლება, არ იცის მოსკოვმა. ანუ რუსეთის წინააღმდეგ კი არ გამოდიან, გამოდიან თავისი ხელისუფლების წინააღმდეგ.

**— მსგავსი რამ ცხინვალშიც ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— არა, იქ სხვა სიტუაციაა. იმიტომ, რომ ცხინვალელი ოსებისთვის სულ ერთია, ვინ გააკონტროლებს საზღვარს, ვინ იქნება მათი დამცველი, იქნებიან თუ არა ისინი ჯარში და .აშ. ისინი თვლიან, რომ ყველა სახიფათო ქმედება — საზღვრის დაცვა იქნება ეს, ჰაერის დაცვა, თუ მათი დაცვა — რუსეთის ვალდებულებაა და უნდა შეასრულოს.

**— ბატონო მამუკა აფხაზეთში საკმაოდ ბევრი სომეხი ცხოვრობს. ისინი რა როლს თამაშობენ ამ პროცესებში?**

— როგორც თვითონ აფხაზები ამბობენ, ამ წუთში აფხაზეთში რუსების მთავარი დასაყრდენი სომხები არიან. აფხაზები მიიჩნევენ, რომ მათ თავის ტერიტორიაზე სერიოზული მოკავშირეები არ ჰყავთ. აფხაზეთის წვრილი და საშუალო ბიზნესის ძირითადი ნაწილი სომხების ხელშია. ბოლო წლების განმავლობაში აფხაზეთში კრასნოდარის მხარიდან ძალიან ბევრი სომეხი ჩამოსახლდა. მათ საუკეთესო ადგილები შეიძინეს. ზოგიერთ ადგილას საერთოდ ახალი დასახლებებიც კი შექმნეს. ძალაუფლება სამხედრო და სამართალდამცავ სფეროებში ნელ-ნელა რუსების ხელში გადადის. ეკონომიკური ძალაუფლების დიდი ნაწილი სომხების ხელშია და აფხაზების ხელში არის მხოლოდ ფასადური მმართველობა, თითქოს ისინი არიან ამ ტერიტორიის ბატონ-პატრონები.



**— ეს პროცესები ხომ არ გახდება პროქართული ტენდენციის გაღვივების საფუძველი?**

— არა. ოფიციალურად ჯერ ამის გამკეთებელი არავინ არის. პროქართული ტენდენცია არ განვითარდება იმიტომ, რომ საქართველოდან არავითარი ნიშანი არ აქვთ. ნიშანი არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში აფხაზეთისადმი დამოკიდებულება შეიცვალოს. თუნდაც დიალოგის სურვილის გამოთქმის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, იქ რატომ უნდა გაჩნდეს სურვილი იმისა, რომ ქართველებისკენ შემობრუნდნენ? საყოფაცხოვრებო დონეზე მიდის ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ქართველებთან ბევრად უკეთესად იყვნენ, ვიდრე ახლა რუსებთან არიან, მაგრამ მხოლოდ ლაპარაკით საქმე წინ არ მიდის.

**— ქართული მხარის მხრიდან რა ნიშანზე საუბრობთ, შეგიძლიათ დააკონკრეტოთ?**

— საქართველოს ხელისუფლებას არანაირი პოლიტიკა არ აქვს ჩამოყალიბებული. 8 აგვისტომდე ყველამ კარგად იცის როგორი პოლიტიკა იყო. მხოლოდ იმას გაიძახოდნენ, ხვალ ან ზეგ უკვე სოხუმში ვიქნებითო. აგვისტოს ომის შემდეგ საერთოდ შეჩერდა ყველანაირი ურთიერთობა ყველა დონეზე, თუ არ ჩავთვლით არასამთავრობო სექტორს.

მისახედი პრობლემები

# გლობალიზაციის საცეცები

## რას გვიქადის „ოფშორული“ და „თავისუფალი“ (ინდუსტრიული, სავაჭრო და სხვ.) ზონები

ორიოდე თვის წინათ ქართულ ბეჭვდით პრესასა და მთავრობის საინტერნეტო საიტებზე გაჩნდა ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეგვიპტური კომპანია „ფრეში“ (პრეზიდენტი – ეგვიპტელი ბიზნესმენი ბატონი იბრაჰიმ ჰალილიძ და მისი ქართველი პარტნიორი – კომპანია „გეორგიან ინტერნატიონალ ჰოლდინგ“ (პრეზიდენტი – ჩვენი თანამემამულე და, როგორც იტყობინებიან, ამერიკაში წარმატებული ბიზნესმენი ბატონი მიხეილ თიგიშვილიძ ერთობლივად გეგმავენ ქუთაისში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნას და ამ მიზნით პირველ ეტაპზე აპირებენ 1 მილიარდ 200 მილიონ 800 ათასი აშშ დოლარის ინვესტირებას(!!ძ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბატონ ლაშა ჟვანიას მეტად კმაყოფილი განცხადებით, ეს „ყველაზე მასშტაბური საინვესტიციო პროექტია“ და „მსგავსი ოდენობის ინვესტიცია საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა“.

ნეტარ არიან მორწმუნენი...

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით მთავრობამ 5 ივნისს სპეციალური დადგენილებაც კი მიიღო „ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“, რომლის მე-3 მუხლის თანახმად ქუთაისში ეს საქმიანობა წლევამდელ 1 ივლისს უნდა დაწყებულიყო!

ეგვიპტურ-ქართულ კომპანიებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დეკლარირებული მემორანდუმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ წლის ბოლომდე(!ძ ქუთაისის ავტოქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესაქმნელად აშენდება „საყოფაცხოვრებო ნივთების ქარხანა“, რომელიც პირველ პროდუქციას წელსვე გამოუშვებს. საინვესტიციო პროექტი პირველ ეტაპზე 12 ქარხნის მშენებლობას ითვალისწინებს, სადაც ავეჯს, ტექსტილს, კერამიკის ნაწარმსა და სხვა მრავალ საყოფაცხოვრებო პროდუქციას დაამზადებენ, მომდევნო 1,5-2 წელიწადში კი 2 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიციის რეალიზაცია მოხდება. **როგორც მინისტრი გვპირდება, ამ გზით ქუთაისის მითითებულ ზონაში, საერთო ანგარიშით, 12-15 ათასი კაცი დასაქმდება.**



ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის პრეზენტაცია

ყოველივე ამის შემდეგ, ამ სურათზე მინისტრის სახეზე გამოხატული კმაყოფილება სავსებით გასაგებია. როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, შაქარი მის დაპირებას!

რადგან საქართველოს მოსახლეობას ჯერჯერობით რაიმე პრაქტიკული გამოცდილება არ გააჩნია **თავისუფალი**, ზოგადად, **ოფშორული ზონების** საქმიანობის შესახებ, დაინტერესებულ მკითხველს აღნიშნულის თაობაზე ვთავაზობთ მცირე ინფორმაციას.

### 1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარე, თავისუფალი **ინდუსტრიული ზონა,** როგორც თავისუფალი **ეკონომიკური ზონის** ნაირსახეობა, ეწყობა ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით ამ მიზნით ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყოფილ არანაკლებ 10 ჰექტარ მიწის ფართობზე. მიწა გაიცემა იჯარით, არაუმეტეს 59 წლის ვადით. **ზონაში არ მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება(!).**

ზონაში საქმიანობენ იქ რეგისტრირებული საწარმოები და აგრეთვე ზონის გარეთ რეგისტრირებულებიც (ზონის მუდმივი დაწესებულებების მეშვეობითძ. ინდუსტრიულ ზონაში ანგარიშსწორება ხდება ნებისმიერი ვალუტით. ზონაში უცხოური საქონლის შეტანა და ზონიდან საქონლის გატანა გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან და განხორციელებული ოპერაციები არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით. აქ გადასახადისაგან თავისუფალია ყოველნაირი ქონება, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ნაწილში იბეგრება. მოგების გადასახადს იხდის მხოლოდ საერთაშორისო საწარმოს სტატუსის უქონელი საწარმო. დაქირავებული პირი საშემოსავლო გადასახადს იხდის მხოლოდ შემოსავლის დეკლარირების საფუძველზე. ზონაში საქართველოს საქონლის შეტანა განიხილება როგორც საქონლის ექსპორტი, ხოლო ზონიდან სხვა ქვეყანაში საქონლის გატანა ასევე საქონლის ექსპორტია. **ზონაში დასაშვებია ნებისმიერი საქონლის წარმოება, გადამუშავება და მომსახურების გაწევა, გარდა:** იარაღისა და საბრძოლო მასალის, აგრეთვე ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების წარმოებისა და ვაჭრობისა; ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შეტანის, შენახვის, წარმოებისა და ვაჭრობისა; აქციზური საქონლის შეტანის, შენახვსა და წარმოებისა; ასევე იკრძალება შენობის საცხოვრებლად გამოყენება და სამოსახლო და სასტუმრო დანიშნულების კაპიტალური და დროებითი შენობანაგებობების მშენებლობა (ეს უკანასკნელი ვითომ გასართობი ბიზნესის აღკვეთის მიზნით, რადგან მას რეალურ „ინდუსტრიასთან“ კავშირი არ აქვსძ.

**თავისუფალი ეკონომიკური ზონის** შესაქმნელად ფიქრი საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს დაიწყო და სათანადო კანონპროექტების შემუშავებასაც მიჰყო ხელი, მაგრამ საქმე პრაქტიკულად ადგილიდან არ დაძრულა, რასაც ადრეც და დღესაც ხელს სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზი უშლიდა. ბოლოს, 2007-2008 წლებში ქვეყნის პარლამენტმა და მთავრობამ შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები დაამტკიცეს, რომლებიც უცხოეთში მოქმედ მსგავს აქტებთანაა „ჰარმონიზებული“ (მისადაგებულიძ. სულ ახლახან კი, როგორც ვხედავთ, პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგა.

ამსფეროში საქართველოს დაგვიანებულ ნაბიჯს, როგორც ზემოთ ითქვა, მრავალი მიზეზი გააჩნდა. **ობიექტური** მიზეზები უნდა ვეძებოთ ქვეყნის გაჭიანურებულ, არამდგრად პოლიტიკურ სიტუაციასა და, განსაკუთრებით, ადრეულ წლებში, მძიმე კრიმინოგენულ ვითარებაში, რაც უცხო ბიზნეს-ინვესტიციას ძალზე აფრთხობს. **სუბიექტურ მიზეზებში** კი, ძირითადად, ქართველ ხელისუფალ-ოლიგარქების მხრივ უცხოურ ინვესტიციაში წილის დადების დაუოკებელი სურვილი იგულისხმება, რაც უცხო ბიზნესისათვის ასევე მეტად არასასურველია. **უცხოეთში პირიქით ხდება:** თავისუფალი მეშა-ხელის დასაქმების მიზნით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მთავრობები უცხო ბიზნეს-ინვესტიციებს „საჩუქრებითაც“ კი იზიდავენ! მაგალითად, ისრაელმა თავის დროზე 600 მილიონი დოლარი „გადაიხადა“ „ინტელის“ ქარხნის მიღების მიზნით, ხოლო ბრაზილიაში „ფორდის“ ავტომანქანების ასაწყობი ქარხნის აშენების სანაცვლოდ დასახელებულმა კომპანიამ ადგილობრივი მთავრობისაგან 700 მილიონი დოლარი მიიღო.

იხ. 6 გვ.

რეალობა

> **ძალა, რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა, ტირანულია. სამართლიანობა, რომლის უკან არ დგას ძალა – უძლური.**
>
> **გლეზ პასკალი**

# NIHIL

## ანუ რატომ არის დღეს საჭირო „თავისუფალი აზრის სახლი“

„თავისუფალი აზრის სახლის“ ზურგს უკან ჯერჯერობით ძალა არ დგას, რადგან ქვეყანას ნიჰილისტები მართავენ. მათ კი თავისუფლებისა და იდეალებისათვის ბრძოლა არ სჭირდებათ.

სახლიც კარგა ხანია „შეთვალიერებული“ აქვთ. სამართალი და სამართლიანობა მათთვის ხომ ზედმეტი ბარგია და ცხვირწინ იმას არაფრით არ მოითმენენ, რაც არასოდეს უკეთებიათ.

მაგრამ „თავისუფალი აზრის სახლი“ მორალური სახლია, რომლის არსებობის განმსაზღვრელი კატეგორიული იმპერატიულობა – უნდა იყოს.. თუ რამდენად მოიყრის მის გარშემო თავს საზოგადოების ზნეობრივი და ინტელექტუალური ნაწილი, იმდენად შენელდება მისი „ზემოდან“ თვალთვალიც.

ნიჰილისტებს „სხვა“ სიმართლე არ სჭირდებათ. მათი პროპაგანდით სამართლიანნი და უტყუარნი მხოლოდ და მხოლოდ თვითონ არიან.

დაცინვა სიცარიელიდან.

ნიკა ყიასაშვილს ერთი კონფორმისტი, საშუალო ნიჭის რედაქტორისთვის ასე მიუმართავს: „როგორ ბრძანდებით, ბატონო, ბლუმ!“

ამგვარი სარკასტული მოკითხვისა თუ შეხმიანების არსს არ ვიცი, როგორ ჩაუხვდა მავანი რედაქტორი, მაგრამ თავად აწ განსვენებულ ჭეშმარიტ ლიტერატორსა და „ულისეს“ მთარგმნელს, ეჭვგარეშეა, ნიჰილისტების ჯარი რომ ეხვია. თუმცა, კაცობრიობის ამ მომაკვდინებელი სენის კვლევისთვის საბჭოთა სინამდვილე თავს მაინცდამაინც არ იწუხებდა.

დასავლეთში კი ტექნოკრატიის მარწუხებში მოქცეული, მოუცლელი და დაცემული ადამიანის საშველს ეძებდნენ.

**NIHIL!** – დაცინვა სიცარიელიდან, წერს სარტრი; არავითარი მორალი და ზნეობა, არავითარი კატეგორიული იმპერატიულობა!

ეს კანტია!

ნიჰილისტებისთვის მთავარი ძალაუფლება ვნება და განცხრომაა, ასაბუთებს სტეინი. მთავარი ძალადობაა და ძალაუფლების შენარჩუნება, დასურათხატებულად გვიჩვენებს ფელინი...

ჯოისის ბლუმი...

ჭამა მისთვის ცხონებაა.

უკიდურეს მარტოობასა და მოწყენილობაში სექსუალური თემატიკითაც ერთობა. გრძნობად-ხორციელი ტკბობა მისი ერთადერთი მიზანია და ეფლობა და იძირება კიდეც მასში.

ბლუმს დაკარგული აქვს ამაღლების პერსპექტივა. მართალია, მაღალ მატერიებს, ფასეულობებსა და ღირებულებებზე საუბარს არ გაურბის, მაგრამ საკმარისია, ტაფაზე დაგდებული შარდიანი თირკმლის სუნი იგრძნოს, რომ უმალ უბრუნდება მისთვის ესოდენ საჭირო და აუცილებელ კომფორტულ მდგომარეობას – ჭამას.

ჯოისის ბლუმი ხომ ადამიანის არაადამიანური სახეა. ამგვარი ტიპებით სავსეა დასავლური ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრი ოპუსი. ასეთი „გმირებითაა“ დასახლებული ჩვენთვის კარგად ცნობილი ბეკეტისა და დოსტოევკის ნაწარმოებები („გოდოს მოლოდინში“, „ძმები კარამაზოვები“). ასეთ სახეებს ძერწავდა ფელინი („ამარკორდი“).

მათი უწინარესი მახასიათებელი შინაგანი სიცარიელეა, ამიტომ ისინი ობიექტურ სინამდვილეს მუდმივად გაურბიან. სინათლეზე გამოსულებს ასევე მუდმივად აშინებთ ჩრდილში დაბრუნების შიში და მათ ფსიქიკას გაუთავებელი ეჭვი და უნდობლობა ანადგურებს.

ძველ, მათთგან განდგომილ, ან მათ თვალწინ „მოყელყელავე“ მეგობრებს ებრძვიან და არ ასვენებთ მათი საბოლოო დასამარების სურვილი.

ისინი ძალზე ბევრს მოგზაურობენ და „შინ“ არასოდეს არიან, რადგან „შინ“ –

ს ი ც ა რ ი ე ლ ე ა.

სმა-ჭამის, სექსისა და ძალადობის ხალხია. მთავარი განცხრომა და ძალაუფლებით ტკბობაა.

ბლუმებს უმალ შეუძლიათ შეკრან პირი. მატერიალური და სულიერი მდგომარეობით მათზე მაღლა მყოფებს ორგანიზებულ წინააღმდეგობას უწევენ, მაგრამ მათი ერთობა მყიფეა და ყოველთვის დროებითი.

„ვარდების რევოლუციის“ მოსაწყობად გამოიყენეს ბლუმები – ადამიანები სიცარიელიდან.

უგულებელყოფილი „შინ“

ქართველმა კაცმა მათგან ბევრი დაცინვა იგემა და გასროლილი ტყვიის სიმწარეც. პრეზიდენტმა არც ნუგბარი ტაფამწვარი დაიკლო და არც სხვა ხორციელი სიამოვნებანი.

„შინ“ კი შეყოვნებითაც არ შეყოვნებულა.

„შინ“ არ ჩერდება ბლუმი, „შინ“ სიცარიელეა.

ამიტომაც დარბის. „შინ“ არაფერი ეგულება.

ერთთავად სიცრუის ნიაღვარში დგას. მოწინააღმდეგებისთვის ამაზრზენი ცილის დაბრალებასაც არ ერიდება, წარმოიდგინეთ, ყალბი ცრემლებითაც ტირის, თითქოს სხვათა უმწეობით იწვოდეს.

სინამდვილეში კი ადამიანიც და ქვეყანაც ფეხზე ჰკიდია.

საკუთარ თავს გაურბის.

მასობრივი თავყრილობები, ხალხით გაჭედილი, განათებული დარბაზები მისთვის შველაა. ერთობა პრეზიდენტი და თან, განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფს შეუძლია თავისი მოსაზრებებისა და შეხედულებების სისწორესა და ერთადერთობაში საზოგადოების ერთი ნაწილის დარწმუნებაც. ამაში მას მუდამ გვერდს უმშვენებენ მისი მორჩილი და მისგან დავალებული „თანამოაზრეები“.

მაგრამ სიმართლეში უძლურია და უსუსური. მუდამ გაურბის ერთი ერთზე დარჩენას და ვინმესთან დიალოგს. მისთვის ხომ გულწრფელობა უცხოა.

მარადიული მნიშვნელობის იდეალი ნიჰილისტებს არა აქვთ, წერს ზ. კაკაბაძე, ისინი ქვენა ინტერესებისა და მიზნების გარშემო ერთიანდებიან და საბოლოოდ ერთსახოვნები ხდებიან.

მაშ, როგორ ცხოვრობენ?

როგორ ცდილობენ გადალახონ მარტოობა?

მიზანი იერარქიულ კიბეზე სვლა, გარკვეული სოციალური და მატერიალური მდგომარეობის შენარჩუნება, სხვაზე მაღლა დგომა და სხვებზე მეტი სიმდიდრის დაგროვებაა.

პატარა ერებისთვის ეს სენი მომაკვდინებელია, რადგან მნიშვნელობას კარგავს იდეალი, ირყევა ისტორიული მეხსიერების საფუძვლები.



უწინარესი ვიზუალური, ფასადური ცხოვრებაა.

სიღრმეში არა – მხოლოდ ზედაპირზე!

შიგნით არა – მხოლოდ გარეთ, თვალის დასანახად! ისინი ფერ-უმარილს ბლომად იყრიან სახეზე, მაგრამ ავიწყდებათ, რომ გარეგნულ მხარესთან ერთად შინაგანიც მთავარია.

შეუბრალებლები არიან და განქიქების, სხვათა წარსული ცოდვების წარმოჩენის დიდოსტატები.

თუ მათს მომავალს სჭირდება, საფლავებიდან წინაპრების ძვლებს ამოგიყრიან და მამაპაპეულ კერაზე მოგიშარდავენ.

წმინდა მათთვის არაფერია.

არც ძეგლი და ხატი, არც ეკლესია და სანთელი, არც ლიტერატურა და ხელოვნება, არც თემი და ოჯახი.

სიყვარულიც, რადგან უზნეობის ფსკერს ოთხივე კიდურით არიან გაკრულები. არად ჩააგდებენ, თუ ცოლის

გვერდით ლოგინი ჯერ კიდევ თბილია; მავანმა ნიჰილისტმა მავანს ერთი ფეხით გაასწრო.

ზნეკეთილობასა და სათნოებას, წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს უტევენ და ცდილობენ, საზოგადოება მეტად იყოს მომთმენი, დამყოლი და ამორფული.

ცნებები – სიკეთე და სათნოება, ურთიერთპატივისცემა და თანასწორობა. დემოკრატიის ყველა საფუძველი ბლუმისთვის უცხოა. იდეალს მისთვის იმდენივე ფასი აქვს – დაუშვათ და – სიძველე რამდენად წაადგება მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

სიკეთეს ხარკს უხდის, ზნეობრივი სახის დაჭერაც შეუძლია, მაგრამ იქვეა უზნეობის ფსკერზე ფორთხვის ან უცაბედ ქვასავით დანარცხების ძალზე დიდი ალბათობა.

ჩვენ ამაოდ ვეძებთ მათთან ადამიანურ ურთიერთობას, სიყვარულსა და თანაგრძნობას, რადგან ეჭვი ჭამთ და მათ თვალში გაუფასურებულია ყველა უმაღლესი ღირებულება.

ასეთია ჩვენი უწინარესი ხელისუფალი, მეტ-ნაკლებად, ასეთები ვართ ჩვენც.

ეჭვი და უნდობლობა, ცხოვრებისეული ამაოება, შიში და გულგრილობა გვანადგურებს.

განა კომფორტზე, სხვა ხორციელ სიამოვნებაზე უარი ხშირად უთქვამს ამ სტრიქონების ავტორს? განა გულგრილობაში საკუთარი თავი არ დაუჭერია? ან ოდესმე მოცლა ჰქონია? ერთთავად სულ არ გარბის?...

ისიც ნიჰილისტია. გაუცხოების პირას მდგარი კაცი, მაგრამ ბევრისგან განსხვავებით გულს ურევს მდაბალი სინამდვილე და „შინ“ მიმავალ გზაზე ფიქრობს.

თანაც ის არც პრეზიდენტია და არც რამე სხვა მოხელე-ჩიქვანი; უბრალო ადამიანია, რომელსაც ცხოვრების ორომტრიალში დგომამ ხანგრძლივად უწია, ეძება და დაინახა ის, რაზეცაა ეს წერილი.

როგორც მივანიშნეთ, შვებას სმაჭამასა და მოგზაურობაში ან სექსში პოულობენ.

ჩვენი პრეზიდენტი ხეზე არ ადის და არ გაჰყვირის „ამარკორდის“ გმირივით, მანამ არ ჩამოვალ, სანამ ქალს არ მომიყვანთო („დიდება შენდა, ღმერთო“), მაგრამ ასეც რომ ქნას! მოვა რომელიმე მისი ექიმი და დაგვაწყნარებს – „იგი ისეთივე ნორმალურია, როგორც ჩვენ ყველანიო“.

ეს აშკარად არჩევნებზე ჩანს!

სხვა დროსაც!

განცხრომა –ძალაუფლებისაკენ მიდრეკილება ჩვენს შორის, აბა, რომელს არა აქვს?

ასე რომ არ იყოს, საზოგადოება მეტს არ მოითმენდა და პრეზიდენტს ჩრდილში დააბრუნებდა.

ყოველთვის რაღაც იწყება და რაღაც მთავრდება..

ბაქიაობას, შეუცვლელობისა და ერთადერთობის პროპაგანდას ყავლი მალე გასდის.

ახლა მისი სახელის გაგონებაც არ უნდათ.

ცხადია, ლიზიანდება.

დედაქალაქი მისი ორგულია.

პერიფერიებიც!

რუსეთი – თავისთავად.

ამერიკას რა გეგმები აქვს, ვერ გამოთვლი.

ორგულობის მაგალითი ობამას წინამორბედი იყო, როდესაც ცეცხლის ალში გახვეული საქართველოსკენ მომავალი სარკოზი სიტყვასიტყვით ასე გააფრთხილა – „იქ რა გინდა, თბილისში ნუ ჩახვალ!“

ასეა, როცა არა ხარ „შინ“?

როდესაც არ იწინამძღვრებ შენი ქვეყნის ისტორიულ და კულტურულ სიგრძე-სიგანეს, წეს-ჩვეულებასა და ტრადიციას. როცა გაქვს მუდმივი ქვეცნობიერი მზაობა, რაც შეიძლება ჩქარა ჩაუქროლო საკუთარ თავს.

შეიძლება ასეთი კაცის სიტყვას რაიმე წონა, ხიბლი და ბრწყინვალება გააჩნდეს?

ქართველიც იშვიათად თუ სვამს კითხვას, თუ არა სააკაშვილი, აბა, მაშ, ვინ?

და თუ დაისვა, პასუხიც იქვე ჩნდება – ვინც გინდა ის იყოს, გნებავთ, პეტრე!...

ეს ზოგადი პეტრეა, როყიოდ, უგულისყუროდ, უშინაარსოდ წარმოთქმული სახელი.

ამ სახელის წარმომთქმელი უიმედო ადამიანია, იმათზე უიმედო, „გოდოს მოლოდინში“ გოდოს რომ ელოდებიან.

გოდო და პეტრე ერთი სიბრტყეა – ერთი ფუჭი მოლოდინის აღმნიშვნელი.

პეტრე – „იქნება“!

ნურას უკაცრავად! პეტრე ვერ იქნება!

სანამ „შინ“ არ დაიწყებს დაბრუნებას, სანამ კარგად არ გაიცნობიერებს, ვინ არის და რა უნდა. სანამ მორალურ საქციელში არ იქნება კატეგორიული და არ დაიწყებს ზნეობრივ ცხოვრებას, ვერც პეტრე უშველის და ვერც ბეკეტის გოდო.

ჩვენი უწინარესი ნიჰილისტი კი დიდ გასაჭირშია. იგი ძველებური ეშხით ვერც ტაფამწვარს ატანს გემოს და ვერც ახალ-ახალ ძუძუებგადმოყრილ, თიმთიმა ქალბატონებს. თავად დიდი მეხვანჯე გამოუვალ ხლართებში გაეხვა. განსაცდელი, ბუნებრივია, კარზე მოადგა და შიშმა აიტანა.

შიშმა იმისა, თუ სად და როგორ იქნება ხვალ.

თუ მოინდომებს, ხვალ „შინ“ იქნება.

თუ არა და – ყველგან და არსად...

**ბადრი ცირამუა.**

> ***P. S.* მძიმე და მომქანცველია „შინ“-ისკენ მიმავალი გზა.**
>
> ***„შინ“ სიმშვიდეა და მის მოსაპოვებლად ერთი დიდი ოდისეაა საჭირო. ხან შუა ზღვაში ბობოქარი ტალღები გადაგივლიან და ხან, თითქოსდა განწირულს, ფიცრის ნაგლეჯს მოგიგდებს უფალი.***
>
> ***ცხოვრებაც ერთი დიდი ზღვა – ოკეანეა და ყურეებისკენ გაგნება ჭირს.***
>
> ***„შინ“-ისკენ მიმავალ გზაზე, „თავისუფალი აზრის სახლი“ ერთი მოკიაფე სანთელია და მისი ჩაქრობა სიკეთეს არავის მოუტანს.***
>
> ***ბ. ც.***

წკეპკლიკა

# როგორ დაიწყო ხალხთან დიალოგი

**პარლამენტში აკრედიტებულ ჟურნალისტად ყოფნის პატივი მაქვს და 22 ივლისს, 17 საათზე (ზოგიერთი ტელეწამყვანის საცოდინრად, საღამოს 5 საათზე) გამოვედი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შენობიდან.**

ჩაფიქრებული ჩავდიოდი, ჩემი ჭკუით, რუსთაველის გამზირზე, სანამ რკინის მესერს არ წავაწყდი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან. – დალოცვილებო, ამდენი რომ აქ დგახართ, ერთი მაინც ზემოთ დამდგარიყავით გასაფრთხილებლად-მეთქი,შევბედე პოლიციელებს. ხმა არ გაუღიათ.

სამაგიეროდ, უკან აბრუნებულმა მე დავუწყე შემხვედრებს გაფრთხილება და რამდენიმეს დავუზოგე კიდევაც სავალი ენერგია...

რუსთაველის პარალელურად ზემოთ მიმასვლისათვის ჩაკეტილი იყო გამზირზე ყველა ჩამავალი ქუჩა „იმელამდე“. დაკეტილი დამხვდა მეტრო „რუსთაველი“, ფილარმონიამდე რამდენიმე ადგილას ავტობუსებით უშნოდ გადახერგილი იყო ქუჩები და მხოლოდ ყოფილ „ჩაი-გრუზიასთან“ შევძელი ვაკიდან მომავალ სამგზავრო ავტობუსში ჩაჯდომა. რამდენიმე ვინმე ჩავარდებოდა იმ 22 ივლისს ჩემს დღეში!..

კი ბატონო, მაღალი რანგის სტუმარი ჩამოდიოდა და გასაგებია უსაფრთხოების ზომების მიღება, მაგრამ ჩაკეტვა-გადაკეტვის სქემა ხომ ადრე შემუშავდებოდა და არ შეიძლებოდა წინასწარ გაეცნოთ ჩვენთვის ტელეეკრანიდან? იმავე ეკრანიდან რა იქნებოდა, ბოდიში რომ მოეხადათ – ვისაც ეკუთვნოდა ეს მობოდიშება – მოქალაქენო, დროებით შეგექმნებათ უხერხული გარემოებები, გაგვიგეთ და მოგვიტევეთო. ეს ხომ მორალურად წაადგებოდა ჩვენს ფსიქიკას, ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებამ ვერ უნდა „დაიყენოს“ მოსახლეობასთან ურთიერთობის კულტურა?..

ხო აზრზე ხართ, ვიზიტის დღეებში რამდენი შემოაგინებდა იმ მაღალი რანგის სტუმარს „დედისა და მამის ყელსა“... არადა, რას უნდა ერჩოდე, საქართველოსთვის არაერთი სიკეთის გამკეთებელს – მაგალითად, მილიარდოლარიანი დახმარების ინიციატორს; თუმცა მეტი არაა ჩემი მტერი, იქიდან მე არცრა ვიგრძნო...

სწორედ ჯო ბაიდენის სტუმრობის წინ დილის ამბით გამოაცხადა 2013 წლამდე საქართველოს პრეზიდენტმა საყოველთაო-სახალხო დიალოგი; ასე დაიწყო ეს დიალოგი; უფრო ზუსტად, ვერ დაიწყო...

**თამაზ ებანოიძე**

მისახედი პრობლემები

# გლობალიზაციის საცეცები

(მეოთხე გვერდიდან)

ამ გზას მხოლოდ ჩამორჩენილი და განვითარებადი სახელმწიფოები როდი ადგებიან. თვით აშშ-ში ალაბამას და სამხრეთ კალიფორნიის შტატებმა „ბმვ“-სა და „მერსედეს-ბენცის“ საავტომობილო კომპანიებს უზარმაზარი თანხები გადაუხადეს, რათა ავტომობილების ასაწყობი ქარხნები მათ სწორედ ამ შტატებში განელაგებინათ და ამით ათასობით სამუშაო ადგილები შეექმნათ.

რა თქმა უნდა, მთავრობებს შეუძლიათ ტრანსნაციონალურ ინვესტორ-კომპანიებს არაფერი არ გადაუხადონ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში კომპანიები სხვა ქვეყნებში გადაინაცვლებენ. დღევანდელი კორპორაციები გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობისათვის საჭირო ახალ ტექნოლოგიებს, საბაზრო კავშირებსა და კაპიტალს ფლობენ. ქვეყანაში უმუშევრობის შესამცირებლად და საკუთარი მოსახლეობის „დასაპურებლად“ კი მთავრობები ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიაების ნებისმიერ მოთხოვნას უსიტყვოდ თანხმდებიან.

## 2. ოფშორული ზონა: „საგადასახადო სამოთხე“ და „საგადასახადო თავშესაფარი“

**ოფშორი** (ინგლ. ოფფსჰორე – „უნაპირო“, „უსაზღვრო“ძ საგადასახადო დაბეგვრის ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდია, რომლის საფუძველზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა უცხო ქვეყნების პირთა კომპანიებს საგადასახადო დაბეგვრისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ ათავისუფლებს. **ოფშორული ზონები** – ეს ქალაქები, რაიონები და ქვეყნებია, სადაც სხვადასხვა სახის ტრანსნაციონალური კომპანიები უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ოპერაციებს ახორციელებენ იმ ქვეყნისთვის უცხო ვალუტაში. **ოფშორული კომპანია** კი ისეთი ეკონომიკური სუბიექტია, რომელიც თავის რეგისტრაციის ქვეყანაში ბიზნეს საქმიანობას არ ეწევა, ხოლო კომპანიის მფლობელები ამ ქვეყნების არარეზიდენტი პირებია. კომპანია, რომელიც დე იურე რომელიმე სახელმწიფოს კანონმდებლობით შეიქმნა, დე ფაქტო თავის საქმიანობას ამ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ახორციელებს, რის წყალობითაც მარეგისტრირებელ ქვეყანაში და იმ ქვეყანაშიც, სადაც ბიზნეს-საქმიანობას ეწევა, სხვადასხვა შეღავათით სარგებლობს.

**ტერმინი „ოფშორი“** პირველად 1950-ანი წლების დასასრულს აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ გაზეთში გამოჩნდა. საქმე ეხებოდა ერთ კერძო საფინანსო ორგანიზაციას, რომელმაც სამთავრობო კონტროლს თავი იმით აარიდა, რომ თავისი ბიზნესი სხვა (მეზობელძ ტერიტორიაზე გადაიტანა, სადაც აშშ-ს მთავრობას შეღავათიანი საგადასახადო კლიმატი ჰქონდა შემოღებული.

ოფშორული ბიზნესის ფართომასშტაბიანი განვითარება 1950-ანი წლებიდან, – დამოუკიდებელი სახელმწიფოების (ყოფილი კოლონიებისძ წარმოშობის კვალობაზე დაიწყო. მას ხელი შეუწყო, აგრეთვე, განვითარებული ქვეყნების მიერ ეკონომიკის მართვის სფეროში მონეტარულ მოდელზე გადასვლამ, რაც დაკავშირებული იყო ბანკების საქმიანობაზე მკაცრი მოთხოვნების შემოღებასთან. ამ უკანასკნელმა კი ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ ოფშორულ ზონებში საკუთარი ბანკების, ხოლო შემდეგ სავაჭრო, სადაზღვევო, ჰოლდინგური და სხვა კომპანიებისა და ტრასტების შექმნის გზით აშშ-დან და სხვა განვითარებული ქვეყნებიდან კაპიტალის ინტენსიური და მასშტაბური გადინება გამოიწვია.

კომპანიებს ოფშორულ ზონებში იზიდავს საგადასახადო შეღავათები, ბიზნესის ანონიმურობის დაცვა, სავალუტო კონტროლის უქონლობა და ოპერაციების წარმოების შესაძლებლობა ნებისმიერი ვალუტით, კომპანიის არსებობის თაობაზე (აქციონერების კრების ჩატარება, მარტივი საფინანსო ანგარიშგება და ა.შ.ძ მინიმალური მოთხოვნები და სხვ.

**ამის შემდეგ არ უნდა გვიკვირდეს ის შემთხვევები, როდესაც საქართველოში ზოგჯერ იჯარით გადასაცემ ან საპრივატიზებო ობიექტების ტენდერებში გამარჯვებული კომპანიებისა და მათი პატრონების ასავალ-დასავალი, – თუ ისინი ოფშორულ ზონებში არიან რეგისტრირებული, – გასაიდუმლოებულია. სავსებით შესაძლებელია, ასეთი კომპანიის ოფიციალური წარმომადგენლის (ნდობით აღჭურვილი პირის) უკან ნებისმიერი, ჩვენთვის სასურველი ან, პირიქით, არასასურველი ქვეყნის ბიზნესმენი (კომპანია) იფარებოდეს. ეს საერთაშორისო პრაქტიკაა.**

ქვეყნები, სადაც ოფშორული კომპანიების რეგისტრაცია ხდება, შეიძლება იყოს **მცირე სახელმწიფოები და სახელმწიფო-კუნძულები** დაბალგანვითარებული ეკონომიკით, მაგრამ საკმაოდ **მაღალი პოლიტიკური სტაბილურობით** (ბელიზი, ბაჰამის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, ვანუატუ, კაიმანის კუნძულები და სხვ.ძ. ეს „სახელმწიფოებრივი“ ერთეულები, კომპანიების რეგისტრაციის ნებართვის სანაცვლოდ, როგორც წესი, მხოლოდ ერთადერთ მოთხოვნას აყენებენ: მათ ხაზინაში ფიქსირებული გადასახადის შეტანას, რითაც საკმაო კაპიტალი შემოუდით. ასეთ ქვეყნებში, ჩვეულებრივ არ ტარდება იქ რეგისტრირებული კომპანიის აქციონერებისა და დირექტორების რეესტრი, მათი კონფიდენციალობა კი მაღალია. **ასევე არიან მომეტებული რესპექტაბელობის** (ღირსების, პრესტიჟისძ **მქონე ოფშორული ზონა-სახელმწიფოები,** სადაც ოფშორული კომპანიებისაგან ითხოვენ საფინანსო ანგარიშს, კონტროლი უფრო მკაცრია, ტარდება დირექტორებისა და აქციონერების რეესტრი, მაგრამ, ამასთანავე, კომპანიების პრესტიჟი გაცილებით მაღალია და მათ საგრძნობ საგადასახადო შეღავათებსაც აძლევენ (კვიპროსი, ჰონკონგი, ლუქსემბურგი, შვეიცარია და სხვ.ძ.

**ცნებები „ოფშორული ზონა“ და „თავისუფალი ეკონომიკური ზონა“ ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ თუ ოფშორული ზონა გულისხმობს კომპანიის საქმიანობას მისი რეგისტრაციის ზონის (ტერიტორიის) გარეთ, თავისუფალი ეკონომიკური ზონის პირობებში კი კომპანიებს შეღავათები სწორედ იმიტომ ეძლევათ, რომ ისინი იმავე ზონაში საქმიანობენ** (მაგალითად, **ქუთაისის ინდუსტრიული ზონა**, ცხადია, **თუ იგი შედგა.**

ოფშორული ზონები აღირიცხება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების მიერ. მათი მონაცემებით დღეს **მსოფლიოში დაახლოებით ორმოცზე მეტი ოფშორული ზონაა** (კუნძული, სამთავრო, სამეფო, რესპუბლიკა და ა.შ.ძ, რომლებსაც არაოფიციალურად **„საგადასახადო თავშესაფარს“** („საგადასახადო სამალავს“, ტახ ჰავენსძ უწოდებენ.

**ევროპაში ასეთი „საგადასახადო თავშესაფარი-სამალავია“** ანდორა, კემპიონი, კვიპროსი, ირლანდია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მადეირა, მალტა, მონაკო, ნიდერლანდები, შვეიცარია. **ბრიტანეთის კუნძულებზე** – ჰერნსი, ჰიბლალტარი, ჯერსი, ოლდერნი, კუნძული მენი, სარკი.

**ახლო აღმოსავლეთში** – ბაჰრეინი, არაბთა გაერთიანებული ემირატები. **აფრიკაში** – ლიბერია, მავრიტიუსი, სეიშელის კუნძულები, ზანზიბარი. **წყნარ ოკეანეში** – კუკის კუნძულები, ჰონკონგი, ლაბუანი, მარშალის კუნძულები, ნაურუ, სინგაპური, ვანუატუ, დასავლეთ სამოა. **ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში** – ბელიზი, კოსტა-რიკა, პანამა, ურუგვაი.

ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული და „საგადასახადო თავშესაფრის“ მძებნელი უცხო კომპანიების მოზიდვა ძალზე მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ყოფილი **აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებისათვის** (მათ შორის, ცხადია, **ჩვენთვისაცძ**, თუმცა იქ არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი **არასტაბილურობა** ამ კომპანიებისთვის მაღალ საინვესტიციო რისკს ჰქმნის და მათ შემოსვლას აფერხებს, რაც, ცხადია, მათთან ურთიერთობას მეტ ფასს სდებს! ეს ინვესტიციები კი აუცილებელია მრეწველობის, ვაჭრობისა და საფინანსო სფეროს მოდერნიზაციისათვის. ამ ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო საგარეო სესხებია (თუნდაც, ჩვენი ქვეყნის მაგალითი!ძ. დღეს საერთაშორისო საკრედიტო ბაზარზე თამაშის წესებს კრედიტორები-ტრანსნაციონალური კომპანიები კარნახობენ, ხოლო უცხოეთის ინვესტიციების ქვეყანა-რეციპიენტები სესხების მიღების შეჯიბრში დამატებითი გარანტიების მიცემით მონაწილეობენ. **ეს ქვეყნები ყველა დასაშვები ხერხით ცდილობენ სესხების მიღებას, მათ შორის თავისუფალი ეკონომიკური, ინდუსტრიული, სავაჭრო ზონების შექმნით და მსოფლიოს ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების მოზიდვითაც.**

შეღავათები, რაც ოფშორულ კომპანიებს ეძლევათ, როგორც ითქვა, ოფშორული ბიზნესის ბუმს იწვევს, რის გამოც, ამასთანავე, მათი რაოდენობაც ძნელი დასადგენია, რადგან ეს მონაცემებიც, კანონის შესაბამისად, კონფიდენციალურია. ამის მიუხედავად, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მსოფლიოს ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების საერთო რაოდენობა 1,5 მილიონს აღწევს. მათ შორის ყველაზე მეტი ოფშორული კომპანია პანამაშია დარეგისტრირებული – 300 ათასზე მეტი, მომდევნო ადგილზე ვირჯინიის კუნძულებია – 200 ათასი, მესამეზე – ირლანდია – 150 ათასი. როგორც რუსი ანალიტიკოსები ვარაუდობენ, 50 ათასი ოფშორული კომპანია რუსი მეწარმეების კუთვნილებაა.

ინტერესსმოკლებული არ არის, რომ **ოფშორული ზონები რუსეთშიცაა და მისი ნაწილი თავად რუსეთის ხელისუფლების შექმნილია(!). ესენია რეგიონები (ყალმუხეთი, მთიანი ალტაი, ბურიატია), რომლებშიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გასაიდუმლოებული ობიექტები და ბირთვული და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებია განლაგებული. მათ ოფიციალურად ასეც ეწოდებათ: „დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნები“**, რის გამოც ამ რეგიონებსა და ობიექტებზე გარკვეული ეკონომიკური შეღავათებია გავრცელებული. ცხადია, გარეგნული მსგავსების მიუხედავად, კლასიკურ ოფშორულ კომპანიებთან და თავისუფალ ზონებთან, ამ „დახურულ“ სამხედრო ობიექტებს, სინამდვილეში, საერთო არაფერი აქვთ.

## 3. ჯოხს ორი ბოლო აქვს: ანტიოფშორული განწყობილება

ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების, აგრეთვე სხვადასხვა ყაიდის თავისუფალი ეკონომიკური ზონების საყოველთაოდ ცნობილი და მათთვის იმანენტურად დამახასიათებელი კრიმინალური ბიზნესის გამო **მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოები ერთხმად აღიარებენ იმ დიდ ზიანს, რასაც მათ ეკონომიკებს ოფშორული ზონები აყენებენ.**

მათგან თავის დასაცავად მსოფლიოს 30 წამყვანი ეკონომიკის მქონე სახელმწიფო (უმეტესობა – ევროსაბჭოს წევრი-ქვეყანაძ, რომელთა წილად მოდის მსოფლიოს შიდა პროდუქტის 60 პროცენტი, ახალ საერთაშორისო **„ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში“** გაერთიანდა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპების აღიარებასთან ერთად, მკაცრად გაილაშქრა ოფშორულ და თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში საგადასახადო „სამოთხეებისა“ და „სამალავების“, ფულის გათეთრებისა და კორუფციის წინააღმდეგ. ორგანიზაციამ შეიმუშავა „საგადასახადო ოაზისების“ საწინააღმდეგო მექანიზმი, რომლის პრინციპია **საბანკო ანაბრების სრული გამჭვირვალობა!** ქვეყანა, რომელიც ამ მექანიზმს არ დაეთანხმება, **„შავ სიაში“** მოხვდება და მკაცრ საერთაშორისო ეკონომიკურ რეჟიმში გადავა. დღეს ასეთებია ანდორა, მონაკო, ლიხტენშტეინი და, რაც მთავარია, **შვეიცარია.** მსოფლიოს ეს უმსხვილესი ოფშორული ცენტრი **საბანკო საიდუმლოებათა დაცვის საქმეში დათმობაზე წავიდა** და „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან“ თანამშრომლობას დათანხმდა.

მაგრამ ამ შეთანხმების პრაქტიკულ განხორციელებას სერიოზული დაბრკოლებები ელობება, რადგან ამით საშიშროება ექმნება შვეიცარიის ვეებერთელა საბანკო ბიზნესს. ჟენევაში, ლოზანასა და ბერნში კარგად ესმით, რომ ეს წარმტაცი ნეიტრალური რესპუბლიკა ალპების მთისა და ჟენევის ტბის სილამაზის ამარა ვერ იარსებებს. არადა, გერმანია, საფრანგეთი და ინგლისი მას, – თუ „საფინანსო შავი ხვრელებს“ არ დახურავს, – უკვე აშკარად ემუქრებიან მკაცრი საერთაშორისო მექანიზმის შემოღებით. ამასვე მოითხოვს აშშ-ს იუსტიციის სამინისტროც, რომელმაც ამასწინათ შვეიცარიის ერთერთი უმსხვილესი გიფ ბანკის წინააღმდეგ საქმე აღძრა. აშშ ამ ბანკისგან უკვე რამოდენიმე წელია თავის 54 000 (!ძ მოქალაქის ანაბრების შესახებ ინფორმაციას მოითხოვს, ბანკმა კი მხოლოდ 300 კაცის ინფორმაცია გასცა და განაცხადა, რომ დანარჩენ მეანაბრეთა შესახებ ინფორმაციის გაცემის უფლება არ აქვს. სხვათაშორის, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება შვეიცარიაში მხოლოდ ადმინისტრაციული ხასიათის დარღვევად ითვლება და არა სისხლის სამართლის დანაშაულად. „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ მონაცემებით კი **შვეიცარიის ბანკებში დღეისათვის უცხოეთის კომპანიებისა და მოქალაქეების 2 ტრილიონი დოლარის(!) ანაბრები „ინახება“.**

ევროპის ძლიერი სახელმწიფოების ამ „შემოტევით“ დაშინებულმა დანარჩენმა ოფშორულმა ქვეყნებმაც გადაწყვიტეს საბანკო ანაბრების თაობაზე **ინფორმაციის გარკვეული ნაწილის გადასაცემად** ამ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება გამართონ.

არადა, ეს სახელმწიფოები საზოგადოების ღარიბთა ფენების სოციალური დაცვისა და ვითომ საყოველთაო კეთილდღეობის პრინციპის განხორციელების მიზნით სისტემატურად ზრდიან ბიზნესის საგადასახადო ტვირთს, რაც ამავე დროს გადასახადის ამკრეფ ჩინოვნიკთა აპარატს ადიდებს და სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ პირთა სტიმულს ამცირებს. საბოლოო ანგარიშით კი, ოფშორულ ზონებში მათ გადინებას ან მათ მიერ სხვადასხვა დანაშაულებრივი ხერხით საგადასახადო ბაზის შემცირებას და მიმალვას იწვევს. **ევროპელ ექსპერტთა შეფასებით, გადასახადის გადამხდელთა 95% სწორედ ოფშორულ ზონებში გადასვლას ან გადასახადის შემცირების ასეთ დანაშაულებრივ საშუალებებს მიმართავს.** ყოველივე ეს ამ ქვეყნებში მექანიკურად ამცირებს ბიზნესის საგადასახადო ბაზას, რაც მათ მთავრობებს აიძულებს საგადასახადო დაბეგვრის ტვირთი ისეთ ნაკლებად მობილურ სფეროში გადაიტანონ, როგორიც უძრავი ქონების ბიზნესია.

## 4. ...ჰო თუ არა „ეკონომიკურ თავისუფლებას“ და „ოფშორებს“...

ახალი და უახლესი ტექნოლოგიები მეორე ათასწლეულის დამლევიდან ახალი, თავისუფალი(!!ძ ეკონომიკის მოდელს ქმნიან თავისი ოფშორული (სავაჭრო, ინდუსტრიული და ა.შ.ძ წარმონაქმნებით, რაც განუხრელად იწვევს სახელმწიფოთა ეკონომიკური და სოციალური ყოფის რეფორმირებას. ასეთი გლობალური სიახლეები კაცობრიობას ზოგჯერ გაუცნობიერებელ ნაბიჯებისკენ უბიძგებენ. უნდა თუ არა, მისთვის ფეხის აწყობას ყველა სახელმწიფო ცდილობს. ცხადია, ეს დიდ სახელმწიფოებს უფრო ძალუძთ, თუმცა ამას უდანაკარგოდ მაინც ვერ ახერხებენ: ევროპის სახელმწიფოები თანდათან გადადიან ერთიან ვალუტაზე, ახდენენ გადასახადების ჰარმონიზაციას და სასაზღვრო ლიბერალიზაციას, ამასთან, მცირდება გავლენის სფეროები და იზრდება ქვეყნიდან მოსახლეობის (სამუშაო ძალისძ და სხვადასხვა, მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით კაპიტალის გადინება. მცირე სახელმწიფოებს კი არჩევანი, უბრალოდ, არ აქვთ. მათი მომავლის ექსპერტული შეფასებები საკმაოდ უნუგეშოა, თუმცა, როგორც გამონაკლისი, გამოსავალი აქაც არსებობს: მაგალითად ასახელებენ სინგაპურს და მის მსგავს პატარა ზომის ოფშორულ ქალაქ- და კუნძულ-სახელმწიფოებს, რაც იმ მოსაზრებას ადასტურებს, რომ გლობალურ ეკონომიკაში არ არის აუცილებელი იყო დიდმასშტაბიანი ეკონომიკის მქონე სახელმწიფო. მაგრამ...

ეს დიდი **„მაგრამ“** ეროვნულობისა და მასთან დაკავშირებული, ზოგადად, საკუთარი (ტრადიციულიძ ეროვნული კულტურის შენარჩუნების პრობლემაა.

დღეს, **გლობალიზაციის კვალობაზე შექმნილი ახალი კულტურა ფაქტობრივად ელექტრონული კულტურაა, რომელიც** ძველისაგან განსხვავებით, ფართო გაგებით, უშუალოდ **საქონლის გაყიდვისაკენ არის მიმართული და ახალგაზრდებზეა გათვლილი.** ვინც ამ ახალ კულტურას ქმნის (აწარმოებსძ, აქცენტს, ძირითადად, მხოლოდ ახალგაზრდობაზე აკეთებს! ეს არის თამაშები, კინოფილმები, მუსიკა, სატელევიზიო პროგრამები და ა.შ., რაც მომხმარებელს უპირატესად საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით მიეწოდება. როგორც დასავლეთი აღიარებს, სამწუხაროდ, **ეს არის მოგების (და არა ზნეობის) კულტურა!**

ამასთან დაკავშირებით ჩვენს ქართულ ეკონომიკაზე რა უნდა ითქვას, არარსებულზე კაცი რას იტყვი! აი, კულტურაზე კი სათქმელი მართლაც რომ ამოუწურავია, რადგან საქმე ეხება მრავალათასწლოვანი ენის, მამულისა და სარწმუნოების შენარჩუნებას, **ეროვნულობისა და ერის გადარჩენას!**

ზემოთქმულს ნურავინ მიიჩნევს პათეტიკად! **ჩვენი ახალგაზრდა თაობის მიერ შექმნილი დღევანდელობა უფრო სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ აღნიშნულთან დაკავშირებით ამას წინათ ასე ბრძანა: „ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის ხანაში, მეტად რთულ დროს. გლობალიზაციის პროცესს გააჩნია სუბიექტი და ობიექტი და ეს არის საყურადღებო. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, შეინარჩუნო საკუთარი ფასეულობანი და ტრადიციები. ... „ახლა ისეთი დროა, რომ ყველაფერი იცვლება და ადამიანი წინ დგამს უდიდეს ნაბიჯებს სამეცნიერო განხრით. ამავე დროს, შესაძლოა, – უდიდეს ნაბიჯებს უკან, მორალურ და ზნეობრივ საკითხებში. „...დღეს, სამწუხაროდ, ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როდესაც ცოდვა ცოდვად აღარ მიიჩნევა, არამედ ითვლება, რომ ასეთია ადამიანის არსი. „... დღეს თითქმის გაწყვეტილია კავშირი თაობათა შორის. დღეს ამპარტავნებამ შეიპყრო ახალგაზრდობა. მათ ჰგონიათ, რომ თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა, უახლესი კომპიუტერები და უკანასკნელი უდიდესი სამეცნიერო მიღწევები აცხოვნებს ადამიანს. ეს ასე არ არის, პირიქით, ამან შეიძლება კიდევ უფრო მეტად დაამძიმოს ადამიანი, თუკი იგი ივიწყებს სულიერს და არ მისდევს მას. ამ სულიერი საუნჯის მატარებელი კი უფროსი თაობაა, რომელიც მას ახალ თაობას გადასცემს. ამიტომ არ უნდა დაირღვეს კავშირი თაობათა შორის“** („საპატრიარქოს უწყებანი“, №45, 2009 წ. გვ.2-4ძ.

მისმა უწმინდესობამ ყურადღება ყველაზე მთავარზე – **სულიერების შენარჩუნებაზე** გაამახვილა. სწორედ ეს იკარგება დღეს, რადგან უკვალოდ იკარგება მისი მატარებელი უფროსი თაობა, რომელიც თითქოს ყურადღების ღირსი არ არის, რადგან მას საბჭოთა კავშირის დროს უცხოვრია. **მთავარი დღეს სწორედ თაობათა შორის კავშირის აშკარა გაწყვეტაა, რაც ეკონომიკისა და კულტურის გლობალიზაციამ შესაძლოა ძვირად, ძალიან ძვირად დაგვისვას.**

**... თორემ ქუთაისში რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა უნდა შეიქმნას, – ეს არც ისე საშიშია და „თავისუფალი“ ეკონომიკის მსგავს წარმონაქმნებს თავიდან ვერც მომავალში ავიცილებთ (თუმცა, სახელმწიფო კანონების უქონელ და გადასახადებისაგან თავისუფალ ტერიტორიაზე რომ კრიმინალური და სხვა გამხრწნელი „სამეწარმეო“ საქმიანობა არ უნდა გაიშალოს, ეს ძალზე სერიოზულად მისახედი პრობლემაა).**

ასე რომ, ოფშორულ და „თავისუფალ“ ზონებს „ჰო“, მაგრამ ფრთხილად და ჭკუით!...

**ამირან გაბისონია**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ბაიდენმა რუსეთთან დაკავშირებით საქართველოს გარანტია მისცა

**ვიცე-პრეზიდენტმა თავისი ვიზიტის დროს გამოთქვა თბილისის მხარდაჭერა, მაგრამ აღნიშნა ისიც, რომ ომი სეპარატისტული ტერიტორიებისათვის არ უნდა განმეორდეს.**

საერთაშორისო პოლიტიკის ბლოგში აღნიშნულია, რომ ხუთშაბათს ქართველ კანონმდებლებთან შეხვედრის დროს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამერიკა მხარს უჭერს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ტერიტორიების დაბრუნებას საქართველოს შემადგენლობაში, თუმცა მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით.

მისი ვიზიტი თითქმის დაემთხვა კონფლიქტის წლისთავს, რომლის შედეგადაც 30 ათასმა ლტოლვილმა დატოვა თავისი ტერიტორიები და მოსკოვმა აღიარა სეპარატისტული რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.

საქართველოში ბევრს ეშინოდა, რომ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება არსებითად მხარს დაუჭერდა მოსკოვს თბილისთან დაპირისპირებაში, მაგრამ ჯო ბაიდენმა აშკარად განაცხადა, რომ რუსეთთან შეთანხმება არ მოხდება საქართველოს ხარჯზე. „ამერიკის შეერთებულ შტატებს საერთოდ არ მოსწონს ის, რაც რუსეთმა გააკეთა, – განაცხადა მან თავის გამოსვლაში ლტოლვილების წინაშე.

მაგრამ, ბაიდენის აზრით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა მოხდეს სამშვიდობო საშუალებებით – სეპარატისტები თავად მოინდომებენ დაბრუნდნენ ძლიერ და აყვავებულ საქართველოში. გამოსვლის ნაწილი კი, როგორც ეტყობა, მიმართული იყო მოსკოვისადმი: აშშ ვიცე-პრეზიდენტმა განმარტა, რომ ამერიკა-საქართველოს პარტნიორობა არ ისახავს მიზნად „რეგიონში გავლენის სფეროების" შექმნას.

**პოლ რინპლი**

The Christian Science Monitor

# აშშ ვიცე-პრეზიდენტი ამშვიდებს თბილისს

**ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა დაამთავრა თავისი პირველი ტურნე ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე ქვეყნებში, რომლებიც სსრ კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ.**

კიევის შემდეგ ადამიანი № 2 თეთრ სახლში თბილისში გაემგზავრა, რათა დაუდასტუროს თავისი მხარდაჭერა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. „ამერიკის შეერთებული შტატები მთლიანად უჭერს მხარს საქართველოს სწრაფვას ნატოსკენ", – განაცხადა ჯო ბაიდენმა, როდესაც გამოდიოდა საქართველოს პარლამენტის წინაშე. მაშინ, როდესაც რუსები და ამერიკელები ცდილობენ გამონახონ საერთო ენა, თეთრი სახლი ცდილობს დაამშვიდოს თავისი მოკავშირეები: როგორც თბილისში, ისევე კიევში გაკეთდა განცხადებანი, რომ დიალოგის განახლება მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის არ განხორციელდება უკრაინისა და საქართველოს საზიანოდ.

ჯო ბაიდენმა განაცხადა „ერთიანი" საქართველოს მხარდაჭერის შესახებ, ვინაიდან ქვეყანამ შარშანდელი კონფლიქტის შემდეგ დაკარგა თავისი ორი რეგიონი – სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი, რომლებიც რუსეთმა აღიარა. პოლიტიკური ოპოზიციის ზრდის წინაშე აღმოჩენილ საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა მოუწოდა „ქვეყანაში დემოკრატიის კონსოლიდაცია".

მაგრამ ამერიკის მხარდაჭერა საქართველოსთვის უსაზღვრო არ აღმოჩნდა. ერთ-ერთი ამერიკელი დიპლომატის სიტყვით, საქართველომ სთხოვა ვაშინგტონს სამხედრო დახმარება და ტანკსაწინააღმდეგო და საზენიტო რაკეტების მიწოდება. ეს თხოვნა უპასუხოდ დარჩა. ამ დროს, მოსკოვიდან მოვიდა გაფრთხილება ნებისმიერი მცდელობის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს „რემილიტარიზაციას".

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ რუსეთს განზრახული აქვს, კვლავაც წინ აღუდგეს საქართველოს გადაიარაღებას და მზადაა მიიღოს ამისათვის კონკრეტული ზომები.

**ალექსანდრ ბიიეტი.**

LE TEMPS



# ვიზიტი საქართველოსთვის დღესასწაული გახდა

**აშშ ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტს საქართველოში ოფიციალური თბილისი მიიჩნევს სერიოზულ მხარდაჭერად, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ სამხედრო მოქმედებათა განახლება რუსეთთან არ მოხდება.**

ამიტომ იყო, რომ ბაიდენის 24-საათიან ყოფნას საქართველოს დედაქალაქში ხელისუფლებამ ნამდვილი დღესასწაულის ხასიათი მიანიჭა.

ამერიკის შეერთებული შტატები არ დაამყარებს რუსეთთან ურთიერთობას საქართველოს ინტერესების საზიანოდ. ასეთი იყო აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის გამოსვლის ლაიტმოტივი ხუთშაბათს საქართველოს პარლამენტში.

„ჩემი ვიზიტი სპეციალურად დაგეგმა ბარაკ ობამამ მოსკოვში მგზავრობის შემდეგ, და აი პასუხი ბევრ განცხადებაზე, იმის შესახებ, რომ ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის განახლდება საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის ხარჯზე: ეს ასე არაა. ჯოზეფ ბაიდენის ემოციურად ნათქვამ ამ სიტყვებს ქართველი დეპუტატები მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და მთელი ამერიკის სახელით მან მოუწოდა რუსეთს, პატივი სცეს საერთაშორისო გაერთიანების გადაწყვეტილებას – გამოიყვანოს ჯარები კონფლიქტის ზონიდან და დაიცვას შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ჯოზეფ ბაიდენმა გაიხსენა თავისი შარშანდელი ჩამოსვლა საქართველოში, როდესაც იგი, მისივე სიტყვებით, შესძრა სიტუაციამ ამ ქვეყანაში და მან ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნების შემდეგ შეძლო დაერწმუნებინა სენატი მისთვის ფინანსური დახმარების გამოყოფის აუცილებლობის შესახებ.

„სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ეხმარება საქართველოს მილიარდი დოლარით. ამით იგი მიიღებს მსოფლიოში ყველაზე დიდ დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატებიდან ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით".

ბაიდენის სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარება საქართველოს დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაშიც და სამხედრო სფეროშიც. ის კი, თუ რაში გამოიხატება ეს დახმარება, ვიცე-პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია.

თავად ქვეყანაში პოლიტიკურ სიტუაციაზე საუბრის დროს, ჯოზეფ ბაიდენმა საქართველოს უშიშროების გარანტად დაასახელა მისი საშინაო სტაბილურობა და მოუწოდა პასუხისმგებლობისაკენ ქართველი ხალხის წინაშე ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც.

BBC RUSSIAN.com

# რუსეთი აცხადებს, რომ კონკრეტულ ზომებს მიიღებს აშშ-ს ნებისმიერი მცდელობის წინააღმდეგ – შეაიარაღოს საქართველო

**რუსეთმა გააკეთა გაფრთხილება, არ მისცეს საქართველოს საშუალება, კვლავ შეიარაღდეს. ჯო ბაიდენის ვიზიტის დროს საქართველოს ხელმძღვანელობა, ეტყობა, აქტიურად ეწეოდა ობამას ადმინისტრაციის ზონდირებას მისი მზადყოფნისათვის – აღადგინოს საქართველოს შეიარაღებული ძალები.**

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთი შეწყვეტს თანამშრომლობას სამხედრო სფეროში ნებისმიერ ქვეყანასთან, რომელიც თბილისს მიაწვდის იარაღს და გამოთქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო ემზადება ახალი შეიარაღებული კონფლიქტისათვის.

ადრე ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის თანამშრომლები ირწმუნებოდნენ, რომ სააკაშვილმა სთხოვა ამერიკის მხარეს ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, მაგრამ მოგვიანებით მოახდინა ამ ცნობების დეზავუირება, აგრეთვე ინფორმაციისა, რომ საქართველოს ლიდერი სთხოვს ვაშინგტონს გამოგზავნოს მეთვალყურეები რაიონებში, რომლებიც ესაზღვრებიან სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს.

ამავე დროს ბაიდენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვაშინგტონი ენერგიულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის სწრაფვას ნატოსკენ, და ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიაზე თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს. რუსეთთან ურთიერთობის განტვირთვის მცდელობები არ შეიძლება იყოს და არც განხორციელდება საქართველოს საზიანოდ, განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა. ბაიდენმა აგრეთვე მოუწოდა მოსკოვს, შეასრულოს შარშანდელი ხელშეკრულება თავისი ჯარების გაყვანის შესახებ ომამდელ პოზიციებზე.

**მიუკ გარდინგი.**

Guardian

## დედამიწის ზურგზე




**აშშ-ს გზატკეცილზე ჩამოვარდა შვეულმფრენი: 4 დაიღუპა**

ვაშინგტონის ოლქის სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელის კევინ ლუისის მონაცემებით, ინციდენტი მოხდა ხუთშაბათ საღამოს ქალაქ სმიტსბურგის მახლობლად. გზატკეცილი გადაიკეტა მოძრაობისათვის ორივე მხრიდან. კატასტროფის ვითარებანი ზუსტდება.

* * *

**ევროპა ცეცხლშია: ტყის ხანძრები მძვინვარებს ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და საბერძნეთში – არის მსხვერპლი**

ყველაზე სერიოზულად სიტუაცია ესპანეთშია. იქ სტიქია კონტროლს აღარ ემორჩილება, ამბობენ მეხანძრეები. ცეცხლითაა მოცული საფრანგეთის კორსიკის რაიონები, საბერძნეთის რეგიონები და იტალიის სარდინია. ცეცხლთან ბრძოლას ართულებს ძლიერი ქარი და სიცხე.

* * *

**წლის დასაწყისიდან მსოფლიოში დაიღუპა 59 ჟურნალისტი**

„პირველობის" სამწუხარო პალმა უჭირავს მექსიკას, სადაც ნარკომაფიის მსხვერპლი გახდა 7 კაცი, და ტერორისტებისათვის მოედნად ქცეულ პაკისტანს – აქ 6 კაცი დაიღუპა. რუსეთში დაიღუპა 5 ჟურნალისტი. ამდენივე – ერაყსა, ფილიპინებზე და სომალიში.




* * *

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: რუსეთისა და ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფო დაშლის პირასაა**

ლუკაშენკომ სამოკავშირეო სახელმწიფოს „დაუმთავრებელი პროექტი" უწოდა, – აღნიშნა ახალი პრიორიტეტები თავისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში: თანამშრომლობა აშშ-სთან და ევროპასთან. ექსპერტები, როდესაც უწინასწარმეტყველებენ ბელორუსის ლიდერს „დიდ ფინანსურ პრობლემებს", მიიჩნევენ, რომ ეს ყველაფერი არის თამაში რუსეთის კრედიტთან დაკავშირებით 500 მილიონი დოლარის ოდენობით.

* * *

**ობამამ აწყენინა პოლიციელებს, როდესაც მათ რასისტები უწოდა**

ოთხშაბათს, პრესკონფერენციის დროს, ობამამ კომენტარი გაუკეთა ჰარვარდელი პროფესორის შავკანიანი ჰენრი გეიტსის დაპატიმრებას. – იგი დააპატიმრეს საკუთარი სახლის გაძარცვის ეჭვით. ობამამ თქვა, რომ „ეს სისულელეა" და რომ პოლიციელები ხშირად ებმებიან ხოლმე დავაში შავებთან.

* * *

**გრიგალის მსხვერპლი პოლონეთის სამხრეთ-დასავლეთში 7 კაცი გახდა**

დაღუპულთა შორის არიან მეთევზეები, რომლებიც დაიხრჩვნენ ტბებში და ავტომობილების მძღოლები, რომლებიც დაიღუპნენ ხეების დაცემის შედეგად. 30-ზე მეტი კაცი დაიჭრა. 5 კაცის მდგომარეობას მედიკოსები აფასებენ, როგორც კრიტიკულს. გრიგალი მოულოდნელი იყო.





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №144

უთხრან ამხანაგს: აი ამ აბზაცში შენ ასეთი და ასეთი შეცდომა გაგეპარა, გაფრთხილდი და სხვა.

მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი მაქვს მე ერთი ცალი ჩემი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომლის ყველა აბზაცზეც მიწერილია ასეთი რამკები: „კონტრრევოლუცია“, „ფაშისტური აზრი“, „პორნოგრაფია“, „შერცხვეს შენი ავტორი“, „მიჰქარავ“, „ეს არის ქართული სიტყვის ოსტატის ნაწერი“ და სხვა. ამის შემდეგ მე ზუსტად დავადგინე თუ რომელ მწერლებს ჰქონდათ წაღებული ჩემი წიგნი. ზოგთაგანის ხელი ვიცანი. ამავე პირების მიერ ნაჩუქარი წიგნები მაქვს სახლში ასეთი ფარისევლური წარწერებით: ქართული სიტყვის შესანიშნავ ოსტატს „კ. გ-ს“. „მართლაც სიტყვის ოსტატს“ და სხვა. იგივე პირები იმავე დროის მონაკვეთში ქუჩაში მხვდებიან, მელაქუცებიან, მიქებენ დიდოსტატს.

როგორც პირადად მოგახსენეთ, თქვენ როგორც ჩვენი მუშაობისა და ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელმა ჩვენი სიგლახეც უნდა იცოდეთ, ამიტომაც მოგახსენებთ ხოლმე ისეთ ამბებსაც, რასაც მეორეს, გასაგები მიზეზების გა-

ა. შანშიაშვილის ცნობილი პამფლეტი „მნათობში“ დაბეჭდილი, ჩემს მიერ ზუსტად დადგენილი ცნობებით, კოლექტიური წერილია ერთი ჯგუფისა. იგი ოჯახებში აქვთ წაკითხული და შესწორებული საერთო ძალით. ამ სტრიქონების წერისას, მათ მრავალგზის გადაწერისას, მე ვითვალისწინებ იმ ფაქტს, რომ მე ამას ვწერ ჩვენი ქვეყნის ნაცადსა და დარბაისელ ხელმძღვანელს, იმასაც რომ, ამ ბარათის ასლი ჩემს არქივში რჩება და შესაძლოა ოდესმე მომავალმა თაობებმა წაიკითხონ იგი, ამიტომაც მინდა მოგახსენოთ შემდეგი: ა. შ ბრძანდება ლიდერი ქართლ-კახელი მწერლებისა, რომელნიც ამტკიცებენ „პროვინციებიდან გამოსულებმა“ ქართული არ იციანო. ეს უბადრუკი ოდესღაც მემეგობრებოდა, არასოდეს კარგის მეტი წვლილი არ მიმიძღვის მის წინააღმდეგ, პირიქით, ჩემს მანდ ყოფნისას ლაიპციგში ჩამოვიდა, ენა არ იცოდა, დავეხმარე, ბინაც კი მე ვუშოვნე. „მთვარის მოტაცების“ გამო გამართულ დისკუსიაში გამოიყვანეს ეს საცოდავი და უნამუსო, პროვოკაციები მომიწყო პოლიტიკური. ასეთივე თავდასხმა მოგ-

# ისტორიის ლაბირინთებში

## „გახუნებული ბარათები“ ჟურნალ „საარქივო მოამბის“ ფურცლებზე

*პოსტსაბჭოთა პერიოდში ჩვენი საზოგადოება მრავალი დილემის წინაშე დადგა. აქედან განსაკუთრებით პრობლემური ე. წ. „საიდუმლო არქივთა“ ხელმისაწვდომობა და საქართველოში დღემდე ჩამოუყალიბებელი „ლუსტრაციის კანონი“ გახლავთ.*

*აღმოსავლეთ ევროპის ცნობილი ექსპერტები (ჩეხოსლოვაკიიდან, ბალტიისპირეთიდან) შეშფოთებას გამოთქვამდნენ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ადამიანთა ლუსტრაცია თუ მათი პირადი არქივიდან მასალების გამოქვეყნება ხდება შერჩევით და მავანთა სუბიექტური ინტერესების გათვალისწინებით.*

*მ. გორბაჩოვის „საჯაროობის“ ეპოქის დასასრულს ჩვენ გახლდით ესტონეთის, ქ. ტარტუს მუზეუმის ცნობილ ფონდსაცავში, სადაც გამოჩენილი ესტონელი მეცნიერებისგან ამ საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაციები მივიღე.*

*ისინი თვლიდნენ, რომ „არქივების საჯარო გახსნა საბჭოთა სუკის უკანასკნელი „ფანდი“ იყო, რის შედეგადაც გაიხლიჩებოდა ნებისმიერი საზოგადოება – დაზარალებულთა და დამსმენთა შთამომავლების სახით. ამგვარი გამიჯვნები, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლიდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეროვნულ კონსოლიდაციას.*

*პირადად ჩვენ დავამუშავეთ ლიტერატურის მუზეუმში გადაცემული სუკის არქივები ქართველი მწერლების „საქმეების“ (რაც დღეისთვის უკვალოდაა დაკარგული) და ბევრი გაუთვალისწინებელი რეალობის წინაშე დავდექით. მწერლების დაკითხვების ოქმები და სხვა დოკუმენტაცია არაადამიანური წამების შემდეგაა შედგენილი და არამც და არამც არ შეიძლება მათ „აღიარებად“ წარმოვიდგინოთ. ამგვარ „აღიარებებს“ ვრცელი კომენტარები უნდა ახლდეს.*

*რაც შეეხება უაღრესად საინტერესო, ჟურნალ „საარქივო მოამბეში“ (№5, 2009) დაბეჭდილ პუბლიკაციას, რასაც დღეს „კვირაძალის“ მკითხველს ვთავაზობთ, ჩვენ საბჭოთა ხელმძღვანელებისადმი გაგზავნილ თითქმის სტერეოტიპული შინაარსის ტექსტად აღვიქვამთ, რასაც თვითგადარჩენის ინსტინქტის ამარა დარჩენილი ქართველი მწერლები ადგენდნენ. ამ ბარათის გაგზავნამდე მწერლები კონსტანტინე გამსახურდია და ალექსანდრე აბაშელი მწერალთა კავშირიდან გარიცხეს.*

*წერილის სტრიქონთა შორის საზოგადოებისთვის უცნობი თუ ნაცნობი ფაქტი იგულისხმება, რაც თავისთავად სიმძაფრეს მატებს პუბლიკაციას.*

*კონსტანტინე გამსახურდიას მიმართვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს რუბრიკით – „გახუნებული ბარათები“ არის დაბეჭდილი.*

*აქვე რუსული პოეზიის კლასიკოსის ანა ახმატოვას მოსაზრებას გავიხსენებთ, რომელიც მან ალექსანდრ პუშკინზე არსებულ მონოგრაფიებთან დაკავშირებით დაწერა: „მწერლის მომავალი ბიოგრაფია დამოკიდებულია ლიტერატურათმცოდნეთა და არქივარიუსთა ზომიერების გრძნობაზე“-ო...*

*იქნებ არანაკლებ საინტერესო იყოს ამავე ჟურნალში გამოქვეყნდეს კანდიდ ჩარკვიანის პასუხი ან რეზოლუცია ან წერილები ლავრენტი ბერიასადმი გაგზავნილი?*



*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი დავით ცხადაძე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მიერ არა მარტო პოლიგრაფიული თვალსაზრისით მაღალ დონეზე გამოცემულ ჟურნალ „საარქივო მოამბეს“ „ისტორიულ პროექტად“ აფასებს და საკუთარ თვალსაზრისსაც გვთავაზობს:*

*„უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართულ რეალობაში ის ფაქტი, რომ გაიხსნა არქივი და არქივში დაცული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა არამარტო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების, არამედ უცხოელებისთვისაც.*

*ამას დაერთო ჟურნალ „საარქივო მოამბე“, რომელიც შეიძლება ითქვს, რომ ნედლ მასალას სთავაზობს მკითხველს. ნამდვილად არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ ჟურნალ „საარქივო მოამბის“ გამოცემა ისტორიული პროექტია. მასში გაცოცხლებულია საქართველოს უახლესი ისტორია და მკითხველს შესაძლებლობა აქვს, შეულამაზებლად წაიკითხოს და ნახოს იმდროინდელი ეპოქის უმძიმესი მოვლენები და ფაქტები. ჟურნალი საინტერესოა როგორც რიგითი მოქალაქეების, ასევე ისტორიკოსებისთვისაც, რადგან ისეთი თემებია განხილული, მართლა შოკის ეფექტს რომ ახდენს ადამიანზე. ამ ჟურნალის ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ მცირე ტირაჟით გამოდის და ჩემი სურვილი იქნებოდა, უფრო ფართო მასებისთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი. იქნებ, რაღაც დროის შემდეგ წიგნითაც შეიკრას ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები და, როგორც წლიური გამოცემა, ისე დაიბეჭდოს, რადგან ეს ინფორმაცია ყველამ უნდა იცოდეს, რათა არ გავიმეოროთ წარსულის შეცდომები, ის შეცდომები, რომლებიც ისტორიულად საბედისწერო იყო ჩვენი ქვეყნისთვის. ჟურნალი სკოლებისთვისაც თუ იქნება მიწოდებული, მივესალმებოდი.*

*„საარქივო მოამბის“ გარდა, სხვა გამოცემა არ ვიცი, რომლის დამოწმებაც, როგორც სამეცნიერო წყაროსი, ისე შეგვიძლია, ამიტომაც იგი სცდება ჟურნალის ფარგლებს და სამეცნიერო პერიოდიკის სახეს იღებს. რაც დრო გავა, ჟურნალი „საარქივო მოამბე“ კიდევ უფრო დაფასდება, რადგან გაცილებით დიდი მისია დაეკისრება. პირადად მე ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას ინტერესით ველი და ჩემ გარშემო ყველა ასეა. კვლავ ვიმეორებ, „საარქივო მოამბის“ ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ მცირე რაოდენობით გამოდის, ამიტომაც ნამდვილად მოგიწევთ იმაზე ფიქრი, თუ როგორ გაზარდოთ ტირაჟი და როგორ მიიტანოთ, რაც შეიძლება მეტ მკითხველამდე“.*

### დიდად პატივცემულო ამხანაგო კანდიდ!

თავისთავად ცხადია, უაღრესად ვაფასებ თქვენს მაღალ აზრს ჩემი მუშაობის შესახებ და ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალე ეს ბარათი მეახლებინა თქვენთვის. ზოგიერთი უქნარი და უკულტურო ადამიანების მეოხებით ისეთი აუტანელი ატმოსფეროა დამყარებული მწერალთა ზოგიერთ წრეებში, სასოწარკვეთილებაში ვარდება კაცი.

მე შენახული მაქვს ასლები იმ წერილებისა, რომელნიც უაღრესი შეჭირვებისას გამიგზავნია ამხანაგ ლავრენტისათვის, მათი გამოქვეყნება რომ შეიძლებოდეს ამჟამად, ყველა დაინახავდა, რომ ძველი, უხიაგი ყოფითი ჩვევანი მწერალთა ზოგიერთი სფეროებისა არსებითად არ არიან ჯერაც შეცვლილნი და ამ კლოაკის იდუმალ ძაფებს, რომლებიც გარედგან მაცქერალისთვის არა სჩანს, ძალიან შორს მივყავართ.

თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, თავათ შემოქმედებაა ყოველ დღიური სვლა ბეწვის ხიდზე და მასზე ჯერ არავის გადაუვლია შეუბორძიკებლად არასდროს. ხოლო მწერლობა, წმინდა ფიზიკური ჯაფის გარდა, იმდენ სულიერ ენერგიას მოითხოვს, ნამდვილი გმირობაა აქ საჭირო. საკუთარი უნიჭობისა და უნაყოფობისაგან გაბოროტებული ადამიანები აბამენ იდუმალ ქსელებს. თუ ვინმემ გაჰბედა და მათ წინ გაუსწრო საქმით, შრომით და შემოქმედებით, ქამანდებს ამზადებენ როგორმე უყარონ და წააქციონ იგი. როცა მათივე ამხანაგი წიგნს გამოსცემს, აზვავდებიან, კი არ იყიდიან, ბიბლიოთეკიდან გამოიტანენ, რათა ტირაჟი არ მოუმატონ. კითხულობენ წაღმა უკუღმა, რათა რაიმე პოლიტიკური მარცხი, ან სხვა შეცთომა ამოიკითხონ, გააზვიადონ ეს ყოველივე და ისე დააბეზღონ და ასეთ რამეებს ჩადიან ნაცვლად იმისა, რომ გაიხმონ იგი და მეგობრულად მო მემანქანეს ვერ ვანდვე გადაბეჭდვა, სხვა ადამიანს არასოდეს ვეტყვი. მოსკოვში ყოფნისას, როგორც ჩემს გამოსვლაში ანგლო ამერიკული ქვეყნებისთვის რადიოთი, ისე კიევურ რედაქციებში, მანდ გამართულ შეხვედრებში და საღამოებში გამოსვლისას სიმპატიურად ვახსენებდი ერთ ავტორს. ტფილისში ჩამოსულმა გავიგე: იგივე კაცის სხვადა სხვა წრეებში ლაპარაკობდა: ერთი უნდა დავთვრე და გამსახურდია უნდა მოვკლაო. ერთ ამხანაგს მიზეზი უკითხავს: „ყველას თავზე გადაგვაჯდა, ამდენი წიგნები დაბეჭდა მოსკოვში, ეს ჩრდილავსო ჩვენს მუშაობას“.

ვიწყო მე და გალაკტიონს შარშან: მარცხიდან მიტევდა. ხოლო 1942 წელს, როცა ჩვენი საქმეები ვერ მიდიოდა ფრონტზე კარგად, ამ საცოდავმა იფიქრა ალბათ კ. გ შეფარული ფაშისტია, რაიმე რომ მოხდეს გამომადგებაო (ასეა ყოველ არამზადას სხვაც არამზადა ჰგონია) ერთ საღამოს შემხვდა ლერმონტოვის ქუჩის კუთხეში, ჯერ სიყვარულით მომიკითხა, მერე მითხრა: კაცო, რომ ჩაგვციებიან წერეთ სამამულო ომზე. ეს მამულები სადღა შეგვარჩინესო? ასეთი ტიპი, რომელიც ნოე ჟორდანიას დავით აღმაშენებელს ადარებდა, კაცი, რომელიც საქვეყ-

ნოდ ამხილა ცნობილმა ავანტიურისტმა ლაღიძემ, ბედავს და მე მაკრიტიკებს პატრიოტიზმისა და მემარცხენეობის პოზიციებიდან.

იგივე პირი 1935-36 წლებში ხან თავის ბინაზე, ხან ცნობილი ტროცკისტის აღნიაშვილის ბინაზე „ქართლ-კახელ მწერლების" ჯგუფის კრებებს მართავდა. ეს მე გავიგე დროზე, ვინახულე აღნიაშვილი ა. კ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და განვუცხადე: „მე მაქვს ეჭვმიუტანელი ცნობები, რომ ქართლ-კახელი მწერლები იკრიბებიან ოჯახებში და ასეთ სამარცხვინო სეპარატისტულ საუბრებს ეწევიან და მინდა ამხანაგ ბერიას მოვახსენო". აღნიაშვილი გაწითლდა ანაზდად, მიპასუხა: „იცით ამხანაგო კონსტანტინე, ეს სამწუხარო ამბები მეც ვიცი ყურმოკვრით, მაგრამ გთხოვთ ჯერჯერობით თავი შეიკავოთ, მე თავათ მოვახსენებ ლავრენტი პავლოვიჩს, შედეგს გაცნობებთ. მესამე დღეს იგი დაიჭირეს.

ვაი ამ დაკნინებას, რომ მე მიხდება თქვენ მოგაცდინოთ ასეთი უბადრუკი ამბებით, მეოცე საუკუნეში, საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა ხელისუფლება თავათ ცდილობს მოსპობს ფეოდალური სიბნელიდან ჩამორჩენილი პარტიკულარიზმი ქართული ტომებისა და პროვინციალიზმის ის ჭაობი, რომელიც ქმნის ზემოდ მოხსენებულ ატმოსფეროს.

ამასწინად, მრავალგზისი თხოვნის შემდეგ დავეთანხმე პიონერთა სასახლის ხელმძღვანელებს შეხვედრა მოეწყოთ ჩემთვის. მე არ მიყვარს ასეთი საზეიმო შეხვედრები და დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა. აგერ წლებზე მეტია რუსთაველის თეატრთან არსებული ინსტიტუტის სტუდენტებს დამზადებული აქვს ჩემი რომანების ნაწყვეტები ზეპირად სათქმელი. მთხოვენ საღამო გავმართო, მაგრამ ჯერაც თანხმობა არ მიმიცია. რადგან მე ძალიან ცუდად ვარ ამდენი უძილო ღამეებისა და შრომის მეოხებით. თეატრში, პარტერში ვერ ვჯდები, რადგან კარები რომ დაიკეტება, გული მიწუხს. პიონერთა სახლში 4 მოხსენებას ვუსმენდი ზედიზედ. წინა დღეებში ავად ვიყავი, იმ საღამოსაც სიცხიანი წამოვდექი, რადგან სიტყვა მივეცი ყმაწვილებს და არა პუნქტუალურობა არ მიყვარს. კრების თავმჯდომარემ შენიშნა, ხალხი დაიღალა საკმაოდ ვრცელი მოხსენებებისაგან, მოულოდნელად მომცა სიტყვა, საპასუხო სიტყვაში სხვათა შორის ვთქვი: „მე არა ვთვლი მართებულად აკაკის საყვედურს ვაჟასადმი მიმართულს „ენას გიწუნებ ფშაველო და სხვა, შემდეგ სხვა კონტექსტში განვაცხადე: „ილიამ და აკაკიმ გააუბრალოეს, თავიანთი მუშაობის პირველ პერიოდში, გააიმერლეს ოდნავ ქართული ენა".

ამას მოაბეს ჩემმა მტრებმა მრავალი, რუსები რომ იტყვიან, „Отсебятина" – ილია და აკაკი გალანძღა, გაათახსირა და სხვა.

თუ არა ვცდები, მე არა ვარ ვიღაც კაცი ქართულ მწერლობაში, რომელსაც უფლება არ უნდა ჰქონდეს ზოგ რამეში შეედავოს კლასიკოსებს, ამ შემთხვევაში ჩემს წინაპრებს. ნამდვილი მწერლობა არჩევს პარადოქსალური იყოს, ვიდრე დაღეჭილი შაბლონები იმეოროს წარამარა.

ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა ბარბეი დორევილმა უსასტიკესი პამფლეტი დაწერა გენიოსის ევოსტეს წინააღმდეგ: „ბუკინისტი" და „გამოჩერჩეტებული ბებერი" უწოდა მას. ბოლოს ტოლსტოიმ ჩვენი თაობის ხსოვნაში მიწასთან გაასწორა შექსპირი, დანტე, ბეთხოვენი. მწერლობა უწინარეს ყოვლისა თაობათა დავაა. გარდა ამისა „გაიმერლება" განა ლანძღვაა. იმერეთი საქართველოს მშვენიერი ნახევარია. ენის საკითხებში მე ჩემი კონცეპციები მაქვს, რომელთა თუნდაც პარადოქსალურად გამოთქმას ვერავინ დამიშლის.

ჩემი მტრები ჩურჩულებენ: „ესა სთქვა მერმე სად? პიონერთა სახლში". რაო, მწერალთა სახლში რომ მეთქვა, პიონერები ვერ გაიგებდნენ? იმ ოთხ მოხსენებაში ისეთი რამეები გამოიტანეს პიონერებმა, რომელნიც მეც დავიწყებული მქონდა.

როცა სამარეში არ აყენებდნენ ყველაზე მეტი როზგები ილიას დაცვისთვის ჩემს ზურგს ხვდებოდა. ილიას სურათი გაიტანეს მწერალთა სახლიდან, ის სურათი მე გამოვართვი ი. ჯავახიშვილს და მე დავადგმევინე მანდ, როცა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი. 1923 წელს მე გავმართე მთაწმინდაზე ილიას ხსოვნის შეკრება და იმავე წელს დავბეჭდე „ქართულ სიტყვაში" ჩემი წერილი „ილია ჭავჭავაძე", რომელსაც უცვლელად დავბეჭდავ სულ მალე. სად ბრძანდებოდნენ ამ დროს შანშიაშვილები და ძმანი მისნი? მალაქია ტოროშელიძის გვერდით, მონურად „ეპადხალიმებიან მას..."




ეს ადამიანები რამ აღაშფოთა? განა ილია ჩემზე მეტად უყვართ? ქვებს აგროვებენ ჩემს წინააღმდეგ სატყორცნად.

ხსენებულ საღამოს, ჩემს მიერ უკვე მოხსენებული მიზეზების გამო ჩემთვის ფრიად სამწუხარო „ლაფსუს ლინგვა" შემემთხვა. როცა დაუსახელებლად შევეხე ერთ ერთ ჩემს ლიტერატურულ მოწინააღმდეგეს, ესა ვთქვი: ამ კაცს ორი ორდენი აქვს მკერდზე და ცოტა ჭკუა მოიკრიფოს მეთქი. ცხადია, კარგი ორატორი ამ ფრაზას მიუბრუნდებოდა და უფრო დეტალურად განმარტავდა, მაგრამ მე ვერც ორატორი ვარ კარგი, არც ჩავთვალე საჭიროდ დამეხშო ავისმზრახველისთვის მისაპარავი ხვრელი, რადგან მანამდის მრავალი რამ ვთქვი ამხანაგი სტალინის, პარტიისა და ხელისუფლების სადიდებლად, ჩვენი მიღწევებისათვის და ჩვენი მტრების წინააღმდეგ.

ვიცოდი, ამ ფრაზასაც თავისებურ კომენტარებს არ დააკლებდნენ ზოგიერთები, არც იმას მოიხსენიებდნენ რაც კარგი ვთქვით, ან მე, ან იმ ოთხმა მომხსენებელმა.

ყოველივე ზემოდ მოხსენებულის გამო, ნება მივეცი ჩემს თავს მომეცდინა თქვენი ყურადღება სავსებით დარწმუნებულმა რომ თქვენ, თქვენთვის ჩვეული დარბაისლობით და ჰუმანურობით აწონ-დასწონით ხოლმე ჩვენი მუშაობის ღირსებებსა და დეფექტებსაც.

**მარადის თქვენი ერთგული**
**კონსტანტინე გამსახურდია**

ა. შ ბრძანდებოდა მ. ტოროშელიძის მიერ დანიშნული წევრი „წმენდის კომისარი", რომელმაც გაგვრიცხა კავშირიდან მე და ა. ბაშელი ა. შ. სიტყვა თქვა ამ კომისიის კრებაზე და პირველმა მოითხოვა ჩვენი გაშვება მწერალთა კავშირიდან.

ჯანსუღ ჩარკვიანი

# სიცოცხლის ხრამიდან



## ხევდა

როინ მეტრეველს

ნაცრისფერ ცას ამშვენებენ
ხევდიანი ნისლები,
ისიც ნისლისფერი არის,
მე რომ ხევდით ვივსები.
ახლა ფრენენ ასი წლის წინ
გასროლილი ისრები,
ეს ცოტაა, რაც დაფრინავს,
ჩვენ ვართ მეტის ღირსები,
ისტორია შეღებილა
ჩვენივ ძმების სისხლებით,
ცოდვის შვილნო, არც კი იცით,
ვის გვერდით ვართ, ვის გვერდით,
მაინც, მაინც აღმოსავლით,
მზე ამოდის ღვთის ნებით.

## რწმენის დროში

მაღლით მთა და დაბლით მდელო
აშენდა და გაჩნდა ღვთისა სახლად,
მე სად წავალ, გამეიდველნო,
საქართველო ჩემი სახლი გახლავთ.

რწმენის დროშას ერთად გავშლით,
ბალახივით არ გახმება ნერვი,
მე მომავალს ვხედავ ცაში,
ქართველობას დამიმცირებს ვერვინ.

თაობიდან თაობამდე
არ მველდება გულისწყრომის
რისხვა,
მინდა, რისხვად გამოგადგე, —
ქართვლის მიწავ, დამიჯერე —
მზის ხარ.

## ისტორია

ჩვენი ისტორია
არის ისტერია,
სისხლით გვიწერია
ძმა რომ ძმის მტერია.
ჩვენი ისტორია
არის მისტერია,
ნეტა ბოროტებას
ტვინში ვის ტენიან,
ისევ ის სენია,
ისევ ის სენია,
ყველა მველით მოდის,
მეისვე ვის ელიან?

## მთავარი

დღეს მთავარი არის „არა",
არა ჩემდა, არა შენდა,
ყველაფერი დაინგრა და
არაფერი არ აშენდა.
აქ ერთმანეთს დაჭამენ და
აქ ვერავინ გადარჩება,
ნეტა, ნეტა ის ვიცოდე, —
იქ რა ხდება, მამაჩემთან.

## საწყალ აფხაზს

გახდი უცხო ცის ჭილყვავი,
სულ მთლად დაკარგე ნამუსი,
ჩვენთან აფხაზი იყავი,
რუსთან წახველ და გარუსდი.

იღბალი გიყეფს, ნაგაზობს,
ქართველიც გადაგეხვია,
რას ვიფიქრებდი, აფხაზო,
აფხაზს თუ რუსი გერჩია.

## მზე

ნესტან ციციშვილს

ზოგი გახლავთ უმართავი,
ზოგი სხვისი მზით ხმაურობს,
დღეს თბილისში დუღს ავდარი,
საქართველოს სიხარულო.

მზიდან მოხველ, მზესთან მიხვალ,
მზეს ღრუბელი ვერ დალახვრავს,
შენ ქართველი ნესტანი ხარ,
შენ მარადის მზესთანა ხარ.

## ხევდიანო და მართალო

რეზო ჭიჭინაძეს

ვერც ავთვალმა ვერ გაგთვალა,
მზის მზე გეჯდა უბეში,
ხევდიანო და მართალო,
იყავ ძმათა ნუგეში.

მევ რაინდის, გულმხედარო,
ურწმუნოსთან ვერ ძმობდი,
შენივ რჯულის შემხედვარე
ურჯულოებს ებრძოდი.

თესვას ვინც ვერ ეუფლება,
ვერც ვერასდროს მომკიდეს,
ამას, მე შენ გეუბნები,
შენი ხელისმომკიდე.

გმულდა ბოროტგანმზრახველი,
გწამდა კაცის კეთილის,
გაიღიმე და წახველი, —
ალბათ, გქონდა შეთვლილი.

## სიცოცხლის ხრამიდან

ჩემი რწმენის ნაყოფი
განზრახვაა ავი,
ვაჟკაცობა არ მეყოფნის,
რომ მოვიკლა თავი,
თორემ მე აქ რა მინდა,
ამ თახსირთა ხვრელში,
და სიცოცხლის ხრამიდან
სიკვდილივით ვხვნეში.

## სვანი

სხვა ყოფისა და სხვა ნების
კუთხის ხალხია სვანები.
სვანური კოშკის დიდება
ქართველს ხვალის დღეს ჭჰირდება.
სუყველა სიტყვის კაცია,
მტერს ტირილსაც არ აცლიან.
თავად ჭირშიაც მღერიან,
სვანი მტრის სისხლის მღვრელია.
სვანი რუსთველის, თამარის,
აი, რა არის მთავარი.
ცხოვრება ისე წარმართეს,
ბოლოს კოდორი წაართვეს.
კოდორი — დალის ხეობა,
წართმევა — ჩვენი ხელობა.
ყველას თავისი ერგება,
სვანი მაინც არ შედრკება.
სვანს სისხლი უდუღს ქართული
და იმითაა განთქმული.
ესმას დღევანდელ წარმართებს,
სვანს მიწას ვერვინ წაართმევს.
რწმენა სვანისა ღმერთს უდრის —
უშბა, შხარა და თეთნულდი.
ღმერთო, მზედ გვიდგას „ლილეო",
ნურც ოდეს გამოგვილევო.

## ვაიქართველებს

შენ, ტვინი გაქვს დახერხილი,
ვით მკვლელსა და ნაციხარს,
სულ ვიღაცის სახელს ყვირი,
სულ ვიღაცის კაცი ხარ.

როცა გინდა, ფაშისტი ხარ
და სვასტიკით დადიხარ,
სულ ვიღაცის ტანკში ზიხარ,
სულ ვიღაცის ვარდი ხარ.

არაკაცობ, ვიგინდარობ,
მარად ელი სამოთხეს.
„ციხე ტყდება შიგნიდანო",
შენივ ციხის გამო თქვეს.

ბოროტი ხარ, ავსული ხარ,
ბოლოს ეშმა მოგნახავს,
შენ არა გაქვს წარსული და
დღევანდელის ბოღმა ხარ.

მოკვდები და ვინ დაგმარხავს,
გაუტიე? ერიჭაა,
შენ ილია კი არა ხარ,
შენ ილიას მკვლელი ხარ.

რას გვერჩი და სად მიგვათრევ,
რთველი აღარ რთველობს და
შენ გიყვირი, ვაიქართველს, —
წადი საქართველოდან.

## „ყველა ჩემი სამშობლოა"

ხანდახან მოყვრის თუმც გაქვს
სურვილი,
ის ძველი ზიზღი მაინც არ ცხრება,
ამქვეყნად ვცხოვრობთ ძმის
სიმულვილით,
არ გვიმღერია მტრის დამარცხება.

მთავარი არის თურმე „ჯიპები",
იმატებს შური, არცთუ დაცხრება,
ქვეყნად ნურავის ნუ ვეჯიბრებით —
ჩვენ შევეგუეთ დაქუცმაცებას.

უნდა ვიცხოვროთ ძმის ერთგულებით,
ვერ გავიგეთ რომ ილხენს მტარვალი,
„ყველა სამშობლოს" ვით ვეგუებით,
ერთი სამშობლო არის მთავარი.

## მზე ჩამავალი

არა ვყოფილვარ ჩიტი სამოთხის,
მაინც მებრძოდა ბეჩავს მრავალი,
მე გულით მიყვარს, მზე რომ ამოდის,
მაგრამ სულ სხვაა მზე ჩამავალი.

თუმც ყველა წუთი არის მოვლენა,
წუთისოფელზე წამს ვინ გაგიცვლის,
და მეცოდება კაცი, რომელმაც
ჩამავალი მზის ფასი არ იცის.

**2009 წლის მაისი – ივლისი.**

**ნარდი**

# კამათლის ქართული სასწაული




**საერთაშორისო (სპორტულ) ნარდში მორიგ მსოფლიო ჩემპიონატს, ტრადიციულად, მონტე-კარლომ უმასპინძლა. მედლები, როგორც წესი, სამ კატეგორიაში გათამაშდა. პირველში, ანუ მოყვარულთა ჩემპიონატში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული საქართველოს ნაკრების დებიუტანტმა ირაკლი საბულუამ მოიპოვა. მეორე, უფრო პრესტიჟულ კატეგორიაში, რომელსაც ოსტატთა ტურნირი ჰქვია, კიდევ ერთმა ჩვენმა თანამემამულემ, გაგრელმა ლტოლვილმა, დროებით რუსეთში მცხოვრებმა ბორის მამფორიამ იმარჯვა. ამ რანგის ორივე ტურნირში ქართველ მონარდეთა გამარჯვება უდიდეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს. მსოფლიო ჩემპიონატის პროფესიონალ მონარდეთა უმაღლესი კატეგორიის ტურნირში პირველ ადგილზე იაპონიის, ხოლო მეორეზე — დანიის წარმომადგენელი — შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ლ. ტრაუოლტი გავიდა.**

ამ ფორუმში სულ 100-ზე მეტი ქვეყნის ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრები — ომარ დვალი, ვახტანგ ჩიქოვანი, ირაკლი საბულუა, აკაკი კიკალეიშვილი გუნდურ ასპარეზობაში მე-8 ადგილზე გავიდა, რაც ჩვენი გუნდის სერიოზული აღიარების საწინდარი გახდა.

მონტე-კარლოს მსოფლიო ჩემპიონატამდე დიდი საერთაშორისო ტურნირი მოეწყო საკურორტო ქალაქ ნიცაში, რომლის ორგანიზატორი იყო ნარდის საერთაშორისო ფედერაცია. უმაღლეს კატეგორიაში, ანუ პროფესიონალებში, ომარ დვალმა და ირაკლი საბულუამ ნახევარფინალამდე მიაღწიეს, ხოლო გუნდის ვეტერანმა, საქართველოს ნარდის ფედერაციის პრეზიდენტმა, 82 წლის აკაკი კიკალეიშვილმა ჩემპიონობა მოიპოვა ბოლო შანსის ტურნირში.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ნარდის მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ 2009 წლის 1-5 აგვისტოს თბილისში, სასტუმრო „აჭარაში" ტარდება მსოფლიო რეიტინგის ტრადიციული ტურნირი საერთაშორისო ნარდში, რომელიც ცნობილი ქართველი მონარდის გოგი ბუკიას ხსოვნას ეძღვნება. ამასთან, მონაწილეებს საშუალება მიეცემათ პირადად გაიცნონ და შეხვდნენ კიდეც ნარდის მსოფლიო გრანდებს. ტურნირის დახურვის დღეს საზეიმოდ გაიხსნება გოგი ბუკიას სახელობის თბილისის სპორტული ნარდის კლუბი.

**თბილისის სპორტული ნარდის კლუბის პრესსამსახური**

**ფეხბურთი**

# „დინამომ" ღირსება შეგვინარჩუნა

**ევროტურნირებს ერთადერთი ქართული კლუბი თბილისის „დინამო" შემორჩა, თუმცა სინანულით უნდა ითქვას, რომ „ზესტაფონს" სულ რამდენიმე წამი დააკლდა მორიგი ეტაპის საგზურის მოპოვებამდე.**

**ჩემპიონთა ლიგა**

**„მარიბორი" — „ვიტ ჯორჯია" 3:1 (0:0ძ.**

გუნდის ლიდერის — დისკვალიფიცირებული კლიმიაშვილის არყოფნაში სტუმრებს საერთო წარმატების მიღწევის შანსი პირველი ტაიმის უკანასკნელ წუთზე გაუჩნდათ, როცა კვარაცხელიამ მინიმუმამდე შეამცირა მასპინძელთა უპირატესობა — 1:2. კიდევ ერთი შედეგიანი დარტყმა და ვეტერინარები შემდეგ რაუნდში გადიოდნენ, მაგრამ შეტევებში გართულებს სლოვენიელთა სწრაფი კონტრიერიში გამოეპარათ და — 1:3.

**II საკვალიფიკაციო ეტაპის დანარჩენი საპასუხო მატჩები ასე დასრულდა:** „აქტობე" — „ჰაფნარფიორდური" 2:0 (4:0ძ, „დიუდელანჟი" — „ვენტსპილსი" 1:3 (0:3ძ, „ლევადია — „ვისლა" 1:0 (1:1ძ, „კალმარი" — „დებრეცენი" 3:1 (0:2ძ, „გლენტორანი" — „მაკაბი" 0:4 (0:6ძ, „ბოჰემიანსი" — „ზალცბურგი" 0:1 (1:1ძ, „მოგრენი" — „კოპენჰაგენი" 0:6 (0:6ძ.

**უეფას თასი**

**„ოლიმპი" — „ლეგია" 0:1 (0:3ძ.**

რუსთაველთა ისედაც უმძიმესი მდგომარეობა სულ მთლად უიმედო გახდა საშინაო შეხვედრის დაბიუტშივე, როცა სტუმრებმა კიდევ ერთხელ გააწბილეს მეტოქე და დარჩენილი დრო ფორმალობად აქციეს.

**„ჰელსინგბორგი" — „ზესტაფონი" 2:2 (დ. დ., 2:1ძ.**

ეტყობა, მწვრთნელთა ბრალია, ბავშვობიდანვე რომ გვინერგავდნენ, ბრძოლა 90 წუთის განმავლობაში გრძელდებაო. აბა სხვას ვის ან რას მივაწეროთ ის დრამა, ყვირილასპირელებს რომ გადახდათ თავს.

ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ საკუთარ მინდორზე დამარცხების — 1:2 შემდეგ გია გეგუჩაძის შეგირდები გელაშვილის ძალისხმევით შვედეთში უფრო სოლიდური უპირატესობით დაწინაურდებოდნენ — 2:0. ძლევაი საკვირველამდე თითქმის აღარაფერი რჩებოდა, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებული მესამე წუთის უკანასკნელ წამებზე სკანდინაველებმა მაინც შეძლეს მხსნელი გოლის გატანა და დუელი დამატებით დროში გადაიყვანეს, სადაც შოკირებულ სტუმრებს გადამწყვეტი ჩხვლეტა მიაყენეს — 2:2.

**„დინამო" — „მეტალურგსი" (ლიეპაია) 3:1 (1:2ძ.**

მადლობა დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასის მფლობელს, რომელმაც ქართულ ფეხბურთს ნამუსი მოსწმინდა და ლატვიელებთან ორმხრივი შეტევებით აღსავსე სანახაობა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

ლოკალური წარმატების მიუხედავად, პირუთვნელად უნდა ითქვას, რომ ისეთი თამაშით, როგორიც კახი კაჭარავას გუნდმა კვირას გამართულ შეხვედრაში გვიჩვენა, მორიგ მოწინააღმდეგესთან — ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან", ალბათ, განწირულნი ვიქნებით. ეს განსაკუთრებით დაცვასა და ბალტიისპირელთა კართან შექმნილ უამრავ გაფლანგულ სახიფათო მომენტს ეხება (აკირემი, ლომია, ჯიუსი, მერებაშვილიძ.

სხვათა შორის, ორიოდე „ტკბილ" სიტყვას სერბი მსაჯი ნინოსლავ სპახიჩიც იმსახურებს, რომელმაც მის თანამემამულეთა მომავალ მეტოქეს გულუხვად დაურიგა ყვითელი ბარათები.

დავძენთ, რომ „თეთრ-ლურჯთაგან" გოლები მერებაშვილმა (2ძ და კაშიამ გაიტანეს.



**II საკვალიფიკაციო ეტაპის დანარჩენი საპასუხო მატჩები ასე დამთავრდა:** „ყარაბახი" — „რუსენბორგი" 1:0 (0:0ძ, პეტროვაცი" — „ანორთოსისი" 3:1 (დ.დ., 1:2ძ, „რაბოტნიჩკი" — „კრუზეიდერსი" 4:2 (1:1ძ, „ლახტი" — „გორიცა" 2:0 (0:1ძ, „განძასარი" — „ბრედა" 0:2 (0:4ძ, „ვალეტა" — „სენტ პატრიკსი" 0:1 (1:1ძ, „ფლორა" — „ბრონდბიუ" 1:4 (1:0ძ, „დინაბურგი" — „ზნეი იეჰუდა" 0:1 (0:4ძ, ჰიკი — „ვეტრა" 1:3( 1:0ძ, „კაუნასი" — „სევოინო" 1:1 (0:0ძ, „პოლონია" — დოგანა" 4:0 (1:0ძ, მტზ რიპო — „მეტალურგი" (დონეცკიძ 1:2 (0:3ძ, „დაჩია" — „ჟილინა" 0:1 (0:2ძ, „სანტა კოლომა" — „ბაზელი" 1:4 (0:3ძ, „ჰალადაში" — „ელფსბორგი" 0:0 (0:3ძ, „სტალი" — „ჩერნო მორე" 0:3 (0:1ძ, „ლარისა" — „რეიკიავიკი" 1:1 (0:2ძ, „ნეთანია" — „შლიემა" 3:0 (0:0ძ, „რანდერსი" — „სუდუვა" 1:1 (1:0ძ, „სლავენი" — „მილანი" 8:2 (4:0ძ, „ტრომსო" — „დინამო" (მინსკიძ 4:1 (0:0ძ, „ტრნავა" — „სარაევო" 1:1 (0:1ძ, „ვადუცი" — „ფალკირკი" 2:0 (დ.დ., 0:1ძ, „უიპეშტი" — „სტიაუა" 1:2 (0:2ძ, „გალათასარაი" — „ტობოლი" 2:0 (1:1ძ, „გენტი" — „ნაფტანი" 1:0 (1:2ძ, „დერი- — „სკონტო" 1:0 (1:1ძ, „ტორსჰავნი" — „ომონია" 1:4 (0:4ძ, „შიროკი ბრიეგი" — „შტურმი" 1:1 (1:2ძ, „სლავია" — „ოლბორგი" 3:1 (0:0ძ, „ვლაჟნია" — „რაპიდი" 0:3 (0:5ძ, „ცრვენა ზვეზდა" — „რუდარი" 4:0 (1:0ძ, „მოზერუელი" — „ფლამურტარი" 8:1 (0:1ძ, „ფრამი" — „სიგმა" 0:2 (1:1ძ, „ბანგორ სიტი" — „ჰონკა" 0:1 (0:2ძ, „რიეკა" — „დიფერდანჟი" 3:0 (0:1ძ, „ფერეირა" — „ზიმბრუ" 1:0 (0:0ძ.

* * *

**კონკაკაფის ოქროს თასი. ნახევარფინალი.** აშშ — ჰონდურასი 2:0 , მექსიკა — კოსტა-რიკა 1:1 (პენალტებით — 5:3ძ.

**ინტერნეტიდან**

## რომის პაპი „ტურ დე ფრანსს" მიესალმა

**ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მრავალდღიანი ველორბოლის „ტურ დე ფრანსის" მე-16 ეტაპის მონაწილეებს, როდესაც ისინი მარტინისა და ბურ-სანტ-მორის შორის 159-ე კილომეტრიანი დისტანციის გადალახვისთვის იბრძოდნენ, მისალმება გაუგზავნა რომის პაპმა ბენედიქტ XVI. პაპის მიმართვაში ნათქვამია, რომ სპორტსმენებმა, როცა თავიანთ ამოცანებს ასრულებენ, არ უნდა დაივიწყონ ურთიერთპატივისცემა.**



ეს მაშინ მოხდა, როდესაც პელეტონი იტალიისკენ წარიმართა და მიდიოდა ერთ-ერთი ალპური სოფლის მახლობლად, სადაც ახლა რომის პაპი იმყოფება.

ამ სასიამოვნო მოვლენასთან ერთად რბოლის მონაწილეებს არც უსიამოვნებანი აკლდათ.

დაიკარგა სატვირთო ავტომანქანა, სადაც საერთო ჩათვლაში რბოლის ლიდერის ალბერტო კონტადორის სათადარიგო ველოსიპედი, ტანსაცმელი და პროდუქტები ინახებოდა. აღმოჩნდა, რომ ავტომანქანა შვეიცარია-საფრანგეთის საზღვარზე გააჩერეს. პოლიციამ ავტომანქანის გაჩხრეკა მოინდომა.

წაქცევის გამო კი საავადმყოფოში აღმოჩნდა ერთი გერმანელი ველოსიპედისტი.

**ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!..**

# ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული

**რამდენიმე წლის წინათ გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურში გამართულ წვეულებაზე ჩემი ყურადღება ერთმა ჭაბუკმა მიიპყრო, რომელიც სტუმრებს, რომ იტყვიან, უფროსებივით თავს ევლებოდა და, რაც მთავარია, მრავალფეროვანი მხატვრული პროგრამითაც გვიმასპინძლდებოდა.**



განვლილ პერიოდში დავაჟკაცებული ბექა გოგინაშვილი კარატეში შავი ქამრის პირველი დანის მფლობელი და ლიცენზირებული ინსტრუქტორი გახდა, თანაც შესაბამისი სერტიფიკატი და დიპლომი საერთაშორისო ფედერაციის ლეგენდარულმა იაპონელმა შეფ-ინსტრუქტორმა ჰიტოში კასუიამ გადასცა. მიღებულ გამოცდილებას უკვე მოჰყვა სათანადო შედეგები: საქართველოსა და კავკასიის ჩემპიონატების პრიზიორი უკვე 10 წელიწადია დედაქალაქის 53-ე საჯარო სკოლის დარბაზში ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის სოსო ხუციშვილის ხელმძღვანელობით ოსტატდება. შეგახსენებთ, რომ სწორედ იქ იწრთობა „ჯვაროსანთა" ძირითადი ბირთვი.

— კარატე მხოლოდ სპორტის სახეობა არაა. იგი ცხოვრებისეული პრაქტიკით გამდიდრებს. მოკლედ, აღმოსავლური ორთაბრძოლების არსი ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: თუ თავდაუზოგავად ივარჯიშებ და არც ნებისყოფა გღალატობს, მაშინ აღიარებას აუცილებლად მიაღწევ — გვეუბნება ბექა.

ნუ გგონიათ, რომ დღევანდელი წერილის გმირთან შეხვედრა მხოლოდ მისმა სპორტულმა გატაცებამ განაპირობა. მისივე სიტყვებით



რომ ვთქვათ, მეორე პროფესიაც არანაკლებ დასაფასებელი აქვს — ესაა სასიმღერო ხელოვნება. კერძოდ, უნივერსალური ახალგაზრდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტობას წარმატებით უთავსებს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გუნდის მსახიობობას. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ახლახან განხორციელებულ ჯუზეპე ვერდის უკვდავ სპექტაკლ „ნაბუქოს" საკონცერტო ვარიანტში მონაწილეობა.

სხვათა შორის, დედისერთა ყმაწვილმა შრომის ყადრი ბავშვობიდანვე გაიგო, როცა მადლიან კახეთში უფროსთა მხარდამხარ ღვრიდა ოფლს. ჰოდა, რაღა გასაკვირია, იგი „მესამე ფრონტზეც" რომ ასწრებს ბრძოლას — დაცვის სამსახურ შპს „ნაიასთან" თანამშრომლობს, რომელიც ევროკავშირის წარ-



მომადგენლობის უსაფრთხოებას იცავს. ბექამ საკუთარ მოწოდებას იქაც უერთგულა და დაცვის მუშაკთაგან ხალხური სიმღერების ანსამბლი ჩამოაყალიბა. ამიტომაცაა, განსაკუთრებული მადლიერებით შპს „ნაიას" გენერალურ დირექტორს ირაკლი კოპაძეს რომ მოიხსენიებს, რომელმაც თავიდანვე მოიწონა აღნიშნული იდეა და დღემდე აქტიურ თანადგომას უწევს ბიჭებს.

დარწმუნებულნი ვართ, ბექა გოგინაშვილთან სასაუბროდ მომავალშიც მოგვეცემა საბაბი. შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ ფართო დიაპაზონის თანამემამულეს.

**გია პლატონიშვილი**

# ქ. თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება №8-20

**17. ივლისი. 2009 წ.**
**22.07.2009წ.**
**010.260.030.36.101.013.303**

### „ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილებათა მინიჭების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 იანვრის №1-1 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**1.** ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილებათა მინიჭების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 იანვრის №1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების წარმოების წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობის პირი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 135-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შედგენილ ოქმებს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან არა უგვიანეს ორი თვის ვადაში განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში - სამსახურის უფროსი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (დადგენილება)“;

ბ) მე-5 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. ოქმის შედგენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალ-დარღვევებზე“;

გ) მე-5 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ოქმი, მისი შედგენიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, რეგისტრირებული უნდა იქნეს სპეციალურად ზონარგაყრილ და დანომრილ ჟურნალში“;

დ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ოქმის შედგენისთვის უფლებამოსილ თანამშრომლებზე ოქმების გაცემა ხორციელდება სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ. ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში (შემდგომში - ჟურნალი) (დანართი №2)“;

ე) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის $2^1$ პუნქტი:

„$2^1$. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შედგენილი და სამსახურში წარდგენილი ოქმები აღირიცხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში (შემდგომში - ჟურნალი) (დანართი №9)“;

ვ) მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მიღებული გადაწყვეტილება აღირიცხება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი №6)“;

ზ) მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $5^1$ პუნქტი:

„$5^1$. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მიღებული გადაწყვეტილება აღირიცხება სამართალსუბიექტის მიერ ადმინისტრა-ციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი №10)“;

თ) №6 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ი) დამტკიცდეს №9 და №10 დანართები.

**2.** გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი**

---

დანართი № 6

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ ასკ-ს 135-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალი

| მონაცემები სამართალდამრღვევი პირის შესახებ | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

დანართი № 9

სამართალსუბიექტის მიერ შედგენილი ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში შემოსული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალი

| № | ოქმის მერიაში რეგისტრაციის თარიღი | ოქმის მერიაში რეგისტრაციის ნომერი | ოქმის ნომერი | ოქმის მიმღები | | | | ოქმის შემდგენელი | | | | დაბრუნებული ოქმები | | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გვარი | სახელი | თანამდებობა | ხელმოწერა | გვარი | სახელი | თანამდებობა | შედგენის თარიღი | დაბრუნების თარიღი | ოქმის ნომერი | გვარი | სახელი | თანამდებობა | ხელმოწერა | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |

დანართი № 10

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ ასკ-ს 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალი

| მონაცემები სამართალდამრღვევი პირის შესახებ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

დამტკიცებულია შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ პარტნიორთა საერთო კრების 2009 წლის 16 ივლისის №1 ოქმით

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

**1.1.** შ.პ.ს. “თბილისის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი” არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის, “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის, სხვა მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე.

**1.2.** “არბიტრაჟი” მხარეთა შეთანხმებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს პირებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო დავას, მოქმედი კანონმდებლობის და დებულებით დადგენილი წესების მიხედვით.

**1.3.** შეთანხმება მხარეთა მიერ დავის “არბიტრაჟი”-სათვის გადაცემის შესახებ იდება წერილობით.

**1.4.** “არბიტრაჟი” ხელმძღვანელობს დებულების იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებს შესაბამისი საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ჩატარების დროს.

**1.5.** მუდმივმოქმედი არბიტრაჟში საქმის წარმოებას მხარეები იწყებენ კანონით და დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანის გზით.

**1.6.** საარბიტრაჟო საქმის წარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, პირს რომელიც არ ფლობს საქმის წარმოების ენას დაენიშნება თარჯიმანი.

**1.7.** საარბიტრაჟო საქმის წარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

**1.8.** მხარეებს შეუძლიათ საქმე დაამთავრონ მორიგებით, პრეტენდენტს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, ხოლო მოპასუხეს-მთლიანად ან ნაწილობრივ სცნოს საარბიტრაჟო პრეტენზია.

**1.9.** “არბიტრაჟი”-ს სხდომები დახურულია, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. “არბიტრაჟი”-ს წევრი ვალდებულია დაიცვას საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღე •ლი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

**1.10.** თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, “არბიტრაჟი” იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, “არბიტრაჟი” ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

**1.11.** “არბიტრაჟს” გადაწყვეტილება გამოაქვს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სახელით.

**1.12.** “არბიტრაჟი”-ს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთათვის.

**1.13.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეიძლება მესამე პირს აკისრებდეს რაიმე ვალდებულების შესრულებას.

**1.14.** საარბიტრაჟო განხილვის ადგილია მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ან მისი წარმომადგენლობის იურიდიული მისამართი, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არის გათვალისწინებული.

### მუხლი 2. დებულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

**2.1.** „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“ – შ.პ.ს. “თბილისის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი”:

**2.2.** “არბიტრაჟი” – ერთი ან რამდენიმე წევრისგან შემდგარი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია კანონით და დებულებით დადგენილი წესით განიხილოს მხარეთა შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა.

**2.3.** „არბიტრი“ – არბიტრაჟის წევრი;

**2.4.** ‘მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე“ – შპს ‘საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“-ს თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი;

**2.5.** „დავა“ – სამოქალაქო დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს;

**2.6.** „მხარეები“ – პრეტენდენტი და მოპასუხე;

**2.7.** „პრეტენდენტი“ – მხარე, რომელიც საქმეს განსახილველად გადასცემს არბიტრაჟს;

**2.8.** „მტკიცებულება” – ნებისმიერი მონაცემი, რომლის მეშვეობითაც არბიტრაჟი ადგენს მხარეთა მოთხოვნებისა და განცხადებების სამართლიანობასა და დასაბუთებულობას;

**2.9.** „საარბიტრაჟო შეთანხმება“ – დავამდელი ან დავის შემდგომი წერილობითი შეთანხმება მხარეთა შორის, ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვის გზით მოწესრიგების შესახებ.

### მუხლი 3. არბიტრაჟის შემადგენლობა, აცილება

**3.1.** არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე წევრისაგან, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**3.2.** არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ლუწი. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრაჟის შემადგენლობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, არბიტრაჟი შექმნიდან ხუთი დღის ვადაში ნიშნავს კიდევ ერთ წევრს.

**3.3.** არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს.

**3.4.** მხარეს შეუძლია არბიტრაჟის წევრის დანიშვნის უფლება გადასცეს სხვა პირს.

**3.5.** თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან მხარე უარს ამბობს არბიტრის (არბიტრების) დანიშვნაზე, ან საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრაჟის შემადგენლობა განისაზღვრება ერთი არბიტრით, არბიტრს (არბიტრებს) ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

**3.6.** არბიტრი (არბიტრები) უნდა დაინიშნოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. თუ ვადა განსაზღვრული არ არის, მხარე ნიშნავს არბიტრაჟის წევრს მეორე მხარის მოთხოვნის ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

**3.7.** თუ მხარე დებულების 3.6. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ დანიშნავს არბიტრს (არბიტრებს), ეს ჩაითვლება მხარის მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნაზე უარის თქმად.

**3.8.** მხარის მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში, არბიტრს (არბიტრებს) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე დანიშნავს უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში.

**3.9.** თუ ერთ-ერთი მხარის მიერ დანიშნული არბიტრი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ან დატოვებს არბიტრაჟის სხდომას, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე გადააყენებს მას არბიტრობიდან, ხოლო მის მაგივრად დანიშნავს ახალ არბიტრს.

**3.10.** ყოველი პირი მის არბიტრაჟის წვრად დანიშვნაზე იძლევა წერილობით თანხმობას და ავსებს სპეციალურ ბლანკს.

**3.11.** მხარის მიერ დანიშნულ არბიტრთან მუდმივმოქმედი არბიტრაჟი დებს ხელშეკრულებას.

**3.12.** თუ არბიტრათა რიცხვი ერთზე მეტია, ერთ-ერთი მათგანი უნდა დაინიშნოს არბიტრაჟის თავმჯომარედ. არბიტრაჟის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს მხარის მიერ დანიშნული არბიტრი.

**3.13.** არბიტრაჟი თავის თავმჯდომარეს ნიშნავს შექმნიდან 5 დღის ვადაში ან პირველივე სხდომაზე, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. ხმების გაყოფის შემთხვევაში არბიტრაჟის თავმჯდომარეს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

**3.14.** არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე იღებს განკარგულებას.

მხარეს შეუძლია მოითხოვოს არბიტრის აცილება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**3.15.** მხარე ვალდებულია აცილების შესახებ განაცხადოს წერილობით 10 დღის ვადაში, შესაბამისი არბიტრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ეს გარემოება ცნობილი გახდა ან უნდა ცოდნოდა. განცხადება აცილების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული. განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია ზეპირადაც, რაც შეიტანება საარბიტრაჟო სხდომის ოქმში.

**3.16.** თუ განცხადებულ აცილებას ეთანხმება მეორე მხარეც, არბიტრაჟი ვალდებულია დააკმაყოფილოს იგი.

**3.17.** აცილების საკითხს არბიტრაჟი წყვეტს ადგილზე თათბირით ან სათათბირო ოთახში.

**3.18.** ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია დებულებით გათვალისწინებული საერთო საფუძვლით.

### მუხლი 4. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები, დავის საგნის ღირებულება.

**4.1** საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული დავის განხილვასა ან თავისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით გაწიოს რაიმე ხარჯი.

**4.2** საარბიტრაჟო შენატანის გადახდევინება წარმოებს:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

ბ) შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

გ) განცხადებაზე საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ;

დ) საჩივარზე საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

**4.3.** ქონებრივ დავებზე საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს სადაო საგნის ღირებულების 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა, ხოლო დავებზე, სადაც დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 3000 ლარს - არანაკლებ 200 ლარისა.

**4.4.** 4.2 მუხლის ‘გ“ და ‘დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაზე და საჩივარზე საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა შეადგენს 150 ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

**4.4.** ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნების სამუშაოსა და არბიტრაჟში გამოცხადებისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე.

**4.4.** მუდმივმოქმედი არბიტრაჟს თავმჯდომარეს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია ნაწილობრივ გაანთავისუფლოს (გადაუვადოს ან გაუნაწილვადოს) ერთი ან ორივე მხარე საარბიტრაჟო შენატანის გადახდისაგან.

**4.4.** ერთი მხარის ნაწილობრივ განთავისუფლება საარბიტრაჟო შენატანის გადახდისაგან, მეორე მხარის საარბიტრაჟო შენატანის გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს.

**4.4.** თუ პრეტენდენტმა უარი თქვა პრეტენზიაზე, საარბიტრაჟო შენატანი შემცირდება ოცდაათი პროცენტით და მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ თუ პრეტენდენტმა უარი თქვა საარბიტრაჟო პრეტენზიაზე იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრის შემდეგ, მაშინ საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა შემცირდება 30%-ით, ხოლო არბიტრაჟი პრეტენდენტის მიერ გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს. ამასთან, ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო შენატანი არ შეიძლება იყოს დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

**4.4.** თუ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე უარის თქმა, საარბიტრაჟო პრეტენზიის ცნობა ან მხარეთა მორიგება სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის განხილვით გამოწვეული ხარჯებით.

**4.4.** თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, იმ მხარის მიერ გაღებული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდას, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, არბიტრაჟი აკისრებს მეორე მხარეს მხოლოდ მოგებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე. თუ საარბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ პრეტენდენტს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება პრეტენზიის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – საარბიტრაჟო პრეტენზიის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც პრეტენდენტს უა ეთქვა.

### მუხლი 5. საარბიტრაჟო – საპროცესო ვადები

**5.1.** საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს საარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენიდან 10 დღის ვადაში. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენისას არბიტრაჟის შემადგენლობა არ არის არჩეული, საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს არბიტრაჟის ყველა წევრის დანიშვნიდან 10 დღის განმავლობაში, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

**5.2.** საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა გამოითვლება დღეებით.

**5.3.** საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

**5.4.** არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადა არბიტრაჟმა შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.

**5.5.** განცხადებას ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს არბიტრაჟი მხარეთათვის შეუტყობინებლად.

**5.6.** საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც დროულად ვერ შეასრულა საპროცესო მოქმედება, გარდა ისეთ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეუსრულებლობა მოწინააღმდეგე მხარის მიზეზით მოხდა.

### მუხლი 6. საარბიტრაჟო შეტყობინება და დაბარება

**6.1.** არბიტრაჟი, არბიტრი ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე საარბიტრაჟო უწყებით (წერილობითი შეტყობინებით) აცნობებს მხარეს არბიტრაჟის სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილს.

**6.2.** საარბიტრაჟო უწყებით არბიტრაჟში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს.

**6.3.** მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას დგება ოქმი.

**6.4.** საარბიტრაჟო უწყება დასაბარებელ პირს უნდა ჩაბარდეს მხარის მიერ მითითებული მისამართის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის, ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან არბიტრაჟისთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. თუ პრეტენდენტის მიერ მითითებული თავისი ან მოპასუხის მისამართი არასწორი აღმოჩნდა, არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება პრეტენზიის განუხილველად დატოვების შესახებ.

**6.5.** საარბიტრაჟო უწყებასთან ერთად მოპასუხეს ეგზავნება საარბიტრაჟო პრეტენზია თანდართულ საბუთების ასლებთან ერთად, გზავნილი და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება.

**6.6.** მხარეს ეგზავნება არბიტრაჟში, მეორე მხარ• აგან შემოსული ყოველი განცხადების, დოკუმენტის ასლი მიღებიდან 2 დღის ვადაში.

**6.7.** საარბიტრაჟო უწყება იგზავნება ფოსტით ან კურიერის მეშვეობით. ადრესატისთვის უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც არბიტრაჟს უნდა დაუბრუნდეს.

**6.8.** მოქალაქეს უწყება უნდა ჩაბარდეს პირადად, უწყების მეორე ეგზემპლარზე მისი ხელმოწერით, ხოლო ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს უფლებამოსილ პირს, რომელიც ასევე ხელს აწერს უწყების მეორე ეგზემპლარს.

**6.9.** თუ უწყების მიმტანმა პირმა ადრესატი ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე უწყება უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ ისინიც არ იმყოფებიან ადგილზე, - იმავე სახლში მცხოვრებ სახლის მფლობელს, დამქირავებელს, რომლებიც თანახმა იქნებიან გადასცენ უწყება ადრესატს. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი გვარი, სახელი აგრეთვე ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს.

**6.10.** თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც უბრუნდება არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს საქმე.

**6.11.** მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

**6.12.** თუ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის უფლება მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, უწყება ჩაბარდება მას, რომელიც ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის.

**6.13.** თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, არბიტრაჟს გამოაქვს განკარგულება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. იგი უნდა შეიცავდეს იმ დოკუმენტებზე მითითებას, რომლებსაც უნდა გაეცნოს მოპასუხე. პრეტენდენტი ვალდებუ] ა არბიტრაჟის განკარგულების საფუძველზე თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით. საარბიტრაჟო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება პუბლიკაციიდან ორი კვირის ვადაში. ამ ვადის განმავლობაში საქმის წარმოება შეჩერდება და იგი გაგრძელდება ავტომატურად, აღნიშნული ვადის გასვლისთანავე.

### მუხლი 7. მხარეთა საარბიტრაჟო-საპროცესო ქმედუნარიანობა

**7.1.** მხარეები სარგებლობენ თანაბარი საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში გაასაჩივრონ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, ისარგებლონ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

**7.2.** მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ როგორც უშუალოდ, ისე უფლებამისილი წარმომადგენლის მეშვეობით.

**7.3.** ადვოკატის წარმომადგენლობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

**7.4.** ორგანიზაციის წარმომადგენლობა დასტურდება ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით.

**7.5.** ფიზიკური პირების წარმომადგენლობა დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით.

### მუხლი 8. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება

**8.1.** თითეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

**8.2.** არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია ნებაყოფლობით გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

**8.3.** თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და წარმოდგენა, არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა გამოთხოვის მიზნით.

**8.4.** კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

**8.5.** არბიტრაჟისათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**8.6.** არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს საარბიტრაჟო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას.

**8.7.** არბიტრაჟი, ხოლო საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანამდე ან არბიტრაჟის დანიშვნამდე მუდმივმოქმედი არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) მხარის განცხადებით ან საკუთარი ინიციატივით მიმართავს სასამართლოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანის მოთხოვნით.

### მუხლი 9. ექსპერტიზის დანიშვნა

**9.1.** თუ დავის განხილვასთან დაკავშირებით არსებობს ან წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მოთხოვნით დანიშნოს ექსპერტიზა. ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა, თუ მხარეები ამას მოითხოვენ.

**9.2.** უარი ექსპერტიზის დანიშვნაზე უნდა დასაბუთდეს.

**9.3.** ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტიზის დასკვნა, ვის დაევალა ექსპერტიზის ჩატარება და რა მასალები წარედგინება ექსპერტს გამოსაკვლევად. აუცილებლობის ან მხარეების მოთხოვნის შემთხვევაში, ექსპერტიზის ჩასატარებლად არბიტრაჟი ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს.

**9.4.** მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლი-

ათ გაეცნონ ექსპერტის დასკვნას. მათივე თხოვნით, ექსპერტის დასკვნა გამოქვეყნდება არბიტრაჟის სხდომაზე. მხარეებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრება, ხოლო დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით ექსპერტს შეიძლება მიეცეს შეკითხვები.

**9.5.** ექსპერტის დასკვნა არბიტრაჟისათვის სავალდებულო არ არის, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

**9.6.** თუ არბიტრაჟი არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე, თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არბიტრაჟს შეუძლია დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს.

**9.7.** არბიტრაჟი ვალდებულია დანიშნოს დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზა, თუ მხარეები ამას მოითხოვონ.

**9.8.** ექსპერტებს აუნაზღაურდებათ არბიტრაჟში გამოცხადებისათვის მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები და დღიური თანხა, აგრეთვე არბიტრაჟის დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის მიეცემათ ჰონორარი.

### მუხლი 10. საარბიტრაჟო პრეტენზია

**10.1.** საარბიტრაჟო განხილვის დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია

**10.2.** საარბიტრაჟო პრეტენზია შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს:

ა) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას;

ბ) პრეტენდენტის გვარს, სახელსა და მისამართს, ხოლო თუ პრეტენდენტი იურიდიული პირია – მის სახელწოდებასა და მისამართს;

გ) წარმომადგენლის გვარს, სახელსა და მისამართს, თუ საარბიტრაჟო პრეტენზია შეაქვს წარმომადგენელს.

დ) მოპასუხის გვარს, სახელსა და მისამართს, ხოლო თუ მოპასუხე იურიდიული პირია, – მის სახელწოდებასა და მისამართს;

ე) პრედენდენტის მოთხოვნას;

ვ) გარემოებებს, რომლებზედაც პრეტენდენტი ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ზ) მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;

თ) საარბიტრაჟო პრეტენზიის ფასს, თუ შესაძლებელია მისი შეფასება;

ი) მითითებას საარბიტრაჟო შეთანხმებაზე;

კ) არბიტრობის სასურველი კანდიდატის (კანდიდატთა) სახელს, გვარს, მისამართსა და სხვა მონაცემებს, თუ არბიტრს (არბიტრებს) ნიშნავს პრეტენდენტი;

ლ) თუ პრეტენდენტი არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის უფლებას გადასცემს სხვა პირს, მითითებას ამის თაობაზე და ამ პირის რეკვიზიტებს. ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო შეთანხმებას თან უნდა ერთვოდეს არბიტრის (არბიტრების) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ პუნქტის „კ" ქვეპუნქტში აღნიშნულ მონაცემებს;

მ) საარბიტრაჟო შენატანის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს;

ნ) საარბიტრაჟო პრეტენზიისათვის თანდართული საბუთების ნუსხას.

**10.3.** საარბიტრაჟო პრეტენზიას აუცილებლად უნდა ერთვოდეს ის დოკუმენტი, სადაც მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმების შესახებ.

**10.4.** საარბიტრაჟო პრეტენზია და თანდართული საბუთები წარმოდგენილი უნდა იქნეს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.

**10.5.** თუ საარბიტრაჟო პრეტენზია შეტანილია ამ მუხლში მითითებული მოთხოვნების დარღვევით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) არ მიიღებს საარბიტრაჟო პრეტენზიას და პრედენდენტს მისცემს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, პრეტენზია შეტანილად არ ჩაითვლება და დაუბრუნდება პრეტენდენტს.

**10.6.** მუდმივმოქმედ არბიტრაჟის თავმჯდომარე ვალდებულია პრეტენზიის ჩაბარებიდან სამი დღის განმავლობაში თავისი განკარგულებით მიიღოს იგი წარმოებაში ან უარი თქვას მის მიღებაზე.

**10.7.** მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

ა) ცნობს თუ არა მოპასუხე პრეტენზიას;

ბ) თუ პრეტენზიას არ ცნობს, რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი პრეტენზიის წინააღმდეგ;

გ) რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები;

დ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე პრეტენზიისგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული პრეტენზიის აღძვრას, ხომ არ უარყოფს პრეტენზიის დასაშვებობას და ა.შ.;

ე) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილეებად ან მესამე პირებად;

ვ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული არბიტრაჟის სხდომაზე;

ზ) სხვა საკითხებს, რასაც მნიშვნელობა აქვს საარბიტრაჟო წარმოებისათვის.

**10.8.** მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის საარბიტრაჟო პრეტენზიის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას პრეტენდენტის მიმართ შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია პირვანდელ პრეტენზიასთან ერთად განსახილველად.

**10.9.** მოპასუხის წერილობითი პასუხისა და მასზე დართული საბუთების ასლები უნდა გადაეგზავნოს პრეტენდენტს.

**10.10.** პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები, აგრეთვე მოპასუხის წერილობითი პასუხის თაობაზე თავისი მოსაზრებები წერილობით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (არბიტრაჟის) თავმჯდომარის მიერ დანიშნულ ვადაში.

**10.11.** მუდმივმოქმედი არბიტრაჟი არ მიიღებს საარბიტრაჟო პრეტენზიას თუ:

ა) არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება;

ბ) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსამართლის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

გ) მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრების თაობაზეც მხარეები არ შეთანხმებულან ან დარღვეულია გასაჩივრებისათვის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ან მხარეთა მიერ დადგენილი ვადა;

დ) საქმე ამ არბიტრაჟის განსჯადი არ არის;

ე) პრეტენზია შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

ვ) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

**10.12.** პრეტენზიის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს დასაბუთებული განკარგულება.

**10.13.** პრეტენზიის მიუღებლობის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის განკარგულება ჩაბარდება პრეტენდენტს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი საბუთები და შეტანილი საარბიტრაჟო შენატანის 90 %.

### მუხლი 11. შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია

**11.1.** მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე ან არბიტრაჟი მიიღებს შეგებებულ პრეტენზიას, თუ:

ა) შეგებებული პრეტენზიის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;

ბ) შეგებებული პრეტენზიის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი პრეტენზიის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

გ) შეგებებულ პრეტენზიასა და პირვანდელ პრეტენზიას შორის არის

ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად გადაწყდება.

**11.2.** პირვანდელი და შეგებებული პრეტენზიის ერთად განხილვის შედეგად არბიტრაჟს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება.

### მუხლი 12. საქმის მომზადება არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განსახილველად.

**12.1.** არბიტრაჟის დანიშვნამდე საქმეს ამზადებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, ხოლო არბიტრაჟის დანიშვნის შემდეგ არბიტრაჟის თავმჯდომარე.

**12.2.** არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (არბიტრაჟის) თავმჯდომარეს შეუძლია:

ა) დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები;

ბ) გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს;

გ) განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს;

დ) გადაწყვიტოს საარბიტრაჟო პროცესში თანამონაწილეების დაშვების საკითხი;

ე) შეამოწმოს მტკიცებულებები, თუ ეს არბიტრაჟში საქმის არსებითად განხილვისას ძნელი იქნება ან გააჭიანურებს საქმის განხილვას;

ვ) ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება;

ზ) მისცეს დავალება;

ი) გადაწყვიტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი;

კ) დაიბაროს მოწმეები, სპეციალისტები საარბიტრაჟო სხდომის დღისათვის.

**12.3.** მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (არბიტრაჟის) თავმჯდომარეს შეუძლია სხვა მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ხელს შეუწყობენ არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებას.

**12.4.** საქმის სირთულიდან გამომდინარე შეიძლება დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა. მოსამზადებელ სხდომას ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარე, ხოლო, თუ არბიტრაჟი დანიშნულია სრული შემადგენლობით, არბიტრაჟი.

**12.5.** თუ მოსამზადებელ სხდომაზე არბიტრაჟი საქმეს საკმაოდ მომზადებულად მიიჩნევს და მხარეებს დამატებით არ აქვთ წარმოსადგენი, არბიტრაჟს შეუძლია გადავიდეს მთავარ სხდომაზე და არსებითად განიხილოს საარბიტრაჟო პრეტენზია.

**12.6.** თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე ცნობს პრეტენზიას, არბიტრი გამოიტანს გადაწყვეტილებას პრეტენზიის დაკმაყოფილების შესახებ.

### მუხლი 13. გამოუცხადებლობა და დოკუმენტების წარმოუდგენლობა.

**13.1** თუ დებულებით დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება სხდომაზე არასაპატიო მიზეზით, არბიტრაჟი უფლებამოსილია გააგრძელოს საქმის განხილვა.

**13.2** თუ არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადებში მხარე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს არბიტრაჟის მიერ მოთხოვნილ, საქმის გარჩევასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, არბიტრაჟი უფლებამოსილია გადაწყვეტილება გამოიტანოს მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე.

### მუხლი 14. არბიტრაჟის მთავარი სხდომა.

**14.1.** არბიტრაჟის თავმჯდომარე ხსნის, უძღვება და ხურავს საარბიტრაჟო სხდომას.

**14.2.** თავმჯდომარე აცხადებს არბიტრაჟის შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, არბიტრაჟის სხდომის მდივნად და განუმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.

**14.3.** საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის შესახებ თავმჯდომარის მოხსენებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს, ხოლო თუ ამ საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა, მაშინ - ამ ასხდომის მასალებსა და ოქმს.

**14.4.** თავმჯდომარის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ იწყება მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენა.

**14.5.** არბიტრაჟი ჯერ მოისმენს პრეტენდენტისა და მის მხარეზე მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მისი მოთხოვნა, რა გარემოებებს ემყარება ეს მოთხოვნა, რით ადასტურებს ამ გარემოებებს, კვლავ უჭერს თუ არა მხარს ამ მოთხოვნებს და უარს ხომ არ ამბობს პრეტენზიაზე, ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.

**14.6.** შემდეგ არბიტრაჟი მოისმენს მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მისი შესაგებელი, ხომ არ ცნობს პრეტენზიას, ან ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.

**14.7.** მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის დროს მათ შეიძლება წამოაყენონ ახალი მოსაზრებები, ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა განცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე ან მხარეთა ზეპირი შეჯიბრების დაწყებამდე.

**14.8.** არბიტრაჟი გაითვალისწინებს ამ ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, თუ ცნობს, რომ მათ შესახებ თავის დროზე არ იყო განცხადებული საპატიო მიზეზით და რომ ეს არ მომხდარა საქმის გაჭიანურების მიზნით. მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სთხოვოს არბიტრაჟს საქმის განხილვის გადადება, რათა მოემზადოს ამ ახალი გარემოებებისა თუ მტკიცებულებების გასაქარწყლებლად.

**14.9.** თუ არბიტრაჟის სხდომაზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი მხარე, არბიტრაჟი მიიღებს ახსნა-განმარტებას ამ ერთი მისგან.

**14.10.** არბიტრაჟის ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს. თუ შეკითხვა უადგილოა ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამოკვლევასა და დადგენას, არბიტრაჟს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. შეკითხვის შეუსაბამოდ ან უადგილოდ მიჩნევა და მისი მოხსნა შეუძლია არბიტრაჟს.

**14.11.** არბიტრაჟის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს მხარეებს მისცეს შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ობიექტურად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და არბიტრაჟში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას.

**14.12.** მხარეთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობს არბიტრაჟი. იგი ხსნის, წარმართავს და წყვეტს შეჯიბრებას, სიტყვას აძლევს ან სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას, იღებს გადაწყვეტილებებს ზეპირი შეჯიბრების დროს წამოჭრილ საკითხებზე და აცხადებს ამ გადაწყვეტილებებს.

**14.13.** მხარეთა და სხვა პირთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ არბიტრაჟი შეუდგება წარმოდგენილ მტკიცებულებათა შემოწმება-გამოკვლევას, რაც წარმოებს დებულებით დადგენილი წესით.

**14.14.** საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვისა და შემოწმების შემდეგ არბიტრაჟი ეკითხება მხარეებსა და წარმომადგენლებს, ხომ არ სურთ რაიმე დაუმატონ საქმის მასალებს. თუ ასეთი სურვილი არ გამოითქვა, არბიტრაჟი საქმის გამოკვლევას დამთავრებულად აცხადებს, რის შემდეგაც იწყება მხარეთა პაექრობა.

**14.15.** პაექრობა შედგება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან.

**14.16.** პირველად გამოდიან პრეტენდენტი და მისი წამომადგენელი, შემდეგ – მოპასუხე და მისი წარმომადგენელი.

**14.17.** მას შემდეგ, რაც პაექრობის ყოველი მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, მათ შეუძლიათ ხელმეორედ გამოვიდნენ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის ეკუთვნის მოპასუხეს და მის წარმომადგენელს.

**14.18.** პაექრობისა და რეპლიკის შემდეგ არბიტრაჟი ნიშნავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დღეს, რითაც საარბიტრაჟო განხილვა მთავრდება.

### მუხლი 15. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

**15.1.** საქმეზე არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება არბიტრაჟის მიერ პირველი საარბიტრაჟო სხდომის ჩატარებიდან 30 დღის ვადაში, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

**15.2.** თუ გადაწყვეტილება გამოაქვს რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს, იგი დადგენილი უნდა იქნეს ხმათა უმრავლესობით. თუ არბიტრი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებას, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. არბიტრი, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს. არბიტრებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა.

**15.3.** გადაწყვეტილების გამოტანისას არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი ან/და სხვა იურიდიული ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა პრეტენზია.

**15.4.** გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით.

**15.5.** არბიტრაჟს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

**15.6.** გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და დადგენილებითი ნაწილებისაგან.

**15.7.** თუ მხარეები არ მოითხოვენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ან ამას ითვალისწინებს საარბიტრაჟო შეთანხმება, არბიტრაჟს შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტილების შესავალი, აღწერილობითი და დადგენილებითი ნაწილების ჩამოყალიბებით.

**15.8.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დამთავრებიდან ხუთი დღის ვადაში.

**15.9.** არბიტრაჟის გადაწყვეტილება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

**15.10.** არბიტრაჟს შეუძლია მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწოროს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

**15.11.** გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ არბიტრაჟში იგივე საპრეტენზიო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

**15.12.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, თუ მხარეებს შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სხვა კერძო არბიტრაჟის მიერ გადასინჯვის შესახებ.

**15.13.** მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ არის დასაშვები მისი იძულებითი აღსრულება. სააღსრულებო ფურცელს (წარწერას) გასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

### მუხლი 16. საქმის წარმოების შეწყვეტის სხვა საფუძვლები.

**16.1.** არბიტრაჟი, დებულებით განსაზღვრული შემთხვევის გარდა, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ:

ა) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების ან მხარეტა მორიგების დამტკიცების შესახებ;

ბ) პრეტენდენტმა უარი თქვა პრეტენზიაზე;

გ) მხარეები მორიგდნენ;

დ) საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.

**16.2.** საქმეზე წარმოება შეწყდება არბიტრაჟის გადაწყვეტილებით.

**16.3.** საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში არბიტრაჟისათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შირის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

### მუხლი 17. პრეტენზიის განუხილველად დატოვება

**17.1.** არბიტრაჟი, მხარეთ განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს პრეტენზიას, თუ:

ა) პრეტენზია დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

ბ) საარბიტრაჟო სხდომაზე პრეტენდენტი არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა პრეტენზიის განუხილველად დატოვებისა;

გ) არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

**17.2.** იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო პრეტენზიის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს საერთო წესის დაცვით.

### მუხლი 18. საქმის წარმოების შეჩერება

**18.1.** არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეაჩეროს ან გადადოს საქმის განხილვა შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს;

ბ) მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არ აქვს გამოცხადდეს არბიტრაჟში და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;

გ) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით, ან თუ საარბიტრაჟო განხილვისას აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო განხილვის საგანია და რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს განხილვის შედეგებზე;

დ) არბიტრაჟმა დანიშნა ექსპერტიზა;

ე) სხვა აუცილებლობის შემთხვევაში.

**18.2.** საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება.

### მუხლი 19. საარბიტრაჟო სხდომის ოქმი

**19.1.** არბიტრაჟის თითოეული სხდომის შესახებ და აგრეთვე სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული ცალკეული საარბიტრაჟო-საქსპერტო მოქმედების შესახებ დგება ოქმი.

**19.2.** ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ძირითად მომენტებს.

**19.3.** ოქმს ადგენს მდივანი საარბიტრაჟო სხდომაზე ან სხდომის გარეშე ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების დროს.

**19.4.** ოქმი მომზადებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს არაუგვიანეს სამი დღისა სხდომის დამთავრების ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ.

**19.5.** ოქმს ხელს აწერს არბიტრი და მდივანი. ხოლო, თუ საქმეს კოლეგიური არბიტრაჟი იხილავს – ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე და მდივანი.

**19.6.** არბიტრაჟს შეუძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს აუდიო ჩაწერა, რომელიც ოქმს თან ერთვის. საარბიტრაჟო სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ აუდიო ჩანაწერები გადატანილ უნდა იქნეს ოქმში.

**19.7.** სხდომის ოქმზე ხელმოწერის შემდეგ სამი დღის განმავლობაში მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები ოქმის მიმართ, მიუთითონ უსწორობასა თუ უსრულობაზე.

### მუხლი 20. საქმის გადასინჯვა.

**20.1.** მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, არბიტრაჟი უფლებამოსილია გადასინჯოს განხილული საქმე.

**20.2.** საქმის გადასინჯვა წარმოებს დებულებით დადგენილი წესების მიხედვით, ამ მუხლით გათვალისწინებული დამატებებით.

**20.3.** საქმის გადასინჯვის დაწყების საფუძველია დაინტერესებული მხარის საარბიტრაჟო საჩივარი საქმის გადასინჯვის შესახებ.

**20.4.** საქმის გადასინჯვაში არ შეიძლება მონაწილეობას იღებდნენ ის არბიტრები, რომლებიც მანამდე მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში.

**20.5.** არბიტრაჟი უფლებამოსილია:

ა) გააუქმოს ამ საქმეზე არსებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი;

ბ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი და არსებული გადაწყვეტილება დატოვოს ძალაში.

**20.6.** საქმის გადასინჯვის დროს საარბიტრაჟო შენატანის გადახდევინება წარმოებს დებულებით გათვალისწინებული საერთო წესების თანახმად.

**მისამართი: ჟიული შარტავას 16ა.**
**ტელ: 899 18-55-37, 38-64-12.**

ჯარი

# ერთი ათასსა აჯობებს...

**გვესაუბრება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის მეთაური, პოლკოვნიკი როინ ფაილოძე**



**— ბატონო როინ, დამეთანხმებით, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის სიმწიფის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მისი შეიარღებული ძალების მომზადების დონე ითვლება. ამისთვის კი აუცილებელია სამხედრო განათლების ისეთი ცენტრი, როგორიც არის თვადაცვის ეროვნული აკადემია. რა მდგომარეობაა დღეს და რამდენად მიზნობრივად კეთდება ის საქმე, რომელიც ასე აუცილებელია ქვეყნის უსაფრთხოებისთვის?**

— ქართული არმიის შენების ისტორიის მანძილზე ჯარების მოწყობის ცვლილებებთან ერთად მრავალჯერ შეიცვალა სამხედრო საგანმანათლებლო სისტემაც. ყველა ცვლილება და რეფორმა თავისთავად აისახებოდა სასწავლო პროგრამებზე. ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანები თავისთავად არის საქართველოს შეიარაღებული ძალების ამოცანებიც. სახელმწიფოს განვითარების გეგმიდან გამომდინარე, შეიარაღებულ ძალებს სჭირდება უმცროს ოფიცერთა მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც მაქსიმალურად მოკლე ვადაში იქნებიან მომზადებულნი და გამორჩეულნი როგორც მაღალი ინტელექტით, ისე მოტივაციით, პროფესიონალიზმითა და მობილურობით. სასწავლო პროგრამები დავამუშავეთ ნატოს ქვეყნების ოფიცერთა მომზადების ანალოგიური კურსების მსგავსად. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა პრაქტიკულ წვრთნებს.

**— ბატონო პოლკოვნიკო, რამდენად შეესაბამება აკადემიაში ამჟამად არსებული სამხედრო სწავლების პროგრამა მეთაურთა სრულყოფილი მომზადების დღევანდელ მოთხოვნებს? მხედველობაში მაქვს მეთაურთა მომზადების ერთწლიანი პროგრამა.**

— სახელმწიფოს მისწრაფებებთან ერთად შეიარაღებული ძალები და მათ შორის ეროვნული აკადემიაც მიილტვოდა თანამედროვე სწავლების სისტემების დანერგვისკენ. ამიტომაც, 2002 წელს აკადემიაში, ნატოს სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით, დაინერგა ახალი, ოთხწლიანი სასწავლო სისტემა. თუმცა, 2005 წელს ქართული სახელმწიფოს წინაშე ახალი ამოცანები და პერსპექტივები დადგა. დაბალ რგოლში (ლეიტენანტები და უფროსი ლეიტენანტებიძ რესურსის ნაკლებობა იყო. ამიტომაც შეიცვალა სასწავლო სისტემა, დროებით შეწყდა ოთხწლიანი სწავლება და აკადემია გადავიდა ერთწლიანი სწავლების სისტემაზე, ოღონდ ახალი სასწავლო პროგრამითა და სწავლების ახალი მეთოდებით. აკადემია ამჟამად იღებს უმაღლესი განათლების მქონე სამოქალაქო პირებსაც... ახალი მიღება 13 ივლისს დაიწყო. თუმცა, ოთხწლიანი (4+1ძ სწავლების სისტემა მომავალში აუცილებლად აღდგება. აკადემია საზოგადოებას ამით შესთავაზებს ხარისხიან, უმაღლესი განათლების, ევროპული სტანდარტების შესაბამის მაღალი ინტელექტის მქონე ოფიცრებს, რომლებიც ქვეყნის ღირსეული დამცველები იქნებიან.

**— ბატონო პოლკოვნიკო, ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, რომელმაც ნახევარი საუკუნის წინ საბჭოთა კავშირის გმირის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეცსკოლა დაამთავრა, საინტერესოა, ხდება თუ არა დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ კვალიფიციური მფრინავების მომზადება...**

— თავდაცვის ეროვნული აკადემიის სისტემაში სამხედრო-საავიაციო ფაკულტეტი 1997 წელს დაარსდა. მისი ფუნქციონირება მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში. ამ ფაკულტეტის დაარსებით მოგვარდა სამხედრო ავიაციის სპეციალისტების მომზადების საკითხი. 2005 წლიდან ფაკულტეტზე რეფორმა გატარდა და ის ერთწლიან კურსებად გადაკეთდა. 2007 წელს სამხედრო საჰაერო ძალების უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსებს საჰაერო თავდაცვის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსი დაემატა. დღეს თავდაცვის ეროვნული აკადემია ამ მხრივ იმდენ სპეციალისტს ამზადებს, რა მოთხოვნაც არსებობს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

**— გასაგებია, რომ თავდაცვის ეროვნული აკადემია მნიშვნელოვანი ამოცანებისა და მიზნების წინაშე დგას, საინტერესოა, როგორია დღეს აკადემიის პედაგოგთა პოტენციალი. ამასთან, არანაკლებ საჭირო და საყურადღებოა სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა...**

— ცვლილებები მოხდა საკადრო საკითხებშიც. აკადემია დაკომპლექტდა აკადემიის იმ კურსდამთავრებული ოფიცრებით, რომლებმაც კვალიფიკაცია აიმაღლეს საზღვარგარეთ. რაც შეეხება მატერიალურ ბაზას, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება და ჩატარდა ყველა პროცედურა აკადემიის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. დაიწყება შენობების რემონტი. უკვე მომზადებულია შესაბამისი პროექტი და ძალიან მალე აკადემიაში მსმენელები უკვე თანამედროვე მატერიალური ბაზის გამოყენებით მომზადდებიან.

**— გაქვთ თუ არა გარკვეული კონტაქტები რომელიმე ქვეყნის სამხერდო აკადემიასთან?**

— რა თქმა უნდა, ასეთი კონტაქტები არსებობს, განსაკუთრებით თურქეთის და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აკადემიებთან. ეს ურთიერთობები მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება.

**— გმადლობთ საუბრისთვის, გისურვებთ წარმატებებს.**

ესაუბრა
**ხვთისავარ არჩემაშვილი**



**სურათებზე: აკადემიის მეთაური, პოლკოვნიკი როინ ფაილოძე; აკადემიის მსმენელები საბრძოლო სწავლების დროს.**

ფიქრი მეგობარზე

# ეს ჩვენი სოკრატეა...

**არავის არაფერი შეეშალოს — ჩვენც გვყავს — ქართველებს — ჩვენი სოკრატე, ოღონდ პროვიზორი, ოღონდ წამალთმცოდნე, ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აკადემიკოსი სოკრატ სალუქვაძე — კაცი კოლორიტი, ლიხაურიდან, დიდი ექვთიმე თაყაიშვილის სოფლიდან თბილისს გადმოხვეწილი (თუმცა დღესაც მშობელი მიწის თაყვანისმცემელიძ, მამა-პაპათა ნიჭით მადლცხებული, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე და სპეციალურ შეკრებებზე თუ უბადლო თამადობის ჟამს მისი სწორუპოვარი შაირის გულანთებული მკითხველი.**






მთელი ქართული ინტელიგენცია ბარენახევარი საუკუნეა მადლიერია სოკრატესი: კომუნისტების ზეობის ხანაში, ავადმყოფისთვის უცხოური სამკურნალო პრეპარატების შოვნა რომ დიდი პრობლემა იყო, ჩვენი კეთილშობილებით სავსე ლიხაურელი გაკრთებოდა ხოლმე გაჭირვების ტალკვესად. მარტო სულგანათლებული დედაჩემის ლოცვა ეყოფა სოკრატ სალუქვაძესა და მის მონაგარს, ვაკეში, №27 აფთიაქის გამგე, გაურჩენელს რომ გამიჩენდა და მეც ფიცხლად ჩავარბენინებდი ხოლმე უცხოურ წამალს სოფელში ავადმყოფი მშობლისთვის.

ვინ მოთვლის ჩემებრ მადლიერი რამდენი ჰყავდა და რამდენი ჰყავს სოკრატეს...

ვაკიდან ყოფილ ლენინის მოედანზე, თბილისის უძველესი №1 აფთიაქის გამგედ გადაიყვანეს და აქ არა მარტო ძლიერდება ნიჭი გაჭირვებაში მყოფი ადამიანებისადმი მისი გულისხმიერებისა (აქ წამალმომარაგება უკეთესი იყოძ, იგი ყალიბდება საქართველოში წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევის ერთ-ერთ ფუძემდებლად. 1987 წელს გამოვიდა სოკრატ სალუქვაძის ფუნდამენტური მონოგრაფია **„წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე“**. ანდა, რაოდენ საყურადღებოა მისი ნაშრომი **„ვარძია-წამლის სასახლე“,** რომელიც რამდენიმე უცხო ენაზე გამოიცა.

ჩვენი სოკრატე უკვე 40 წელია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა საქართველოს სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებში და თავისი სიღრმისეული ცოდნა-განათლებითა და ოქროპირობით აოცებს სტუდენტობას.

კიდევ ბევრი კეთილი სიტყვის თქმა შეიძლება სოკრატ სალუქვაძეზე, თუმცა საგაზეთო წერილში ეს ძალიან ძნელია, აი, უზარმაზარ, თითქმის 600-გვერდიან გამოცემაში კი, რომლის ავტორები არიან **ბაადურ რაჭველიშვილი, დურმიშხან ცინცაძე და გენრი დეკანოსიძე**, ერთიანად ჩატეულია ყოველივე, რაც სოკრატ სალუქვაძეს გვიხატავს, როგორც სამაგალითო მამულიშვილს, თავისი საქმის დიდ პროფესიონალს, საახლობლოსთვის, სამეგობროსთვის უძვირფასეს პიროვნებას... წიგნში — **„წამალმცოდნის მეცნიერული მოსაზრებანი, ანუ ვინ არის სოკრატ სალუქვაძე“,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძით დაწყებული, ვინ აღარ საუბრობს სოკრატ სალუქვაძის ღვაწლზე, ვინ არ აქებს მის კაცობას (ლექსებითაც კიძ, ოჯახიშვილობას... წიგნში, ცხადია, დაბეჭდილია ზოგი ნაწყვეტი სოკრატ სალუქვაძის ნაშრომებიდან... და... ფოტოები, ფოტოები, ფოტოები... შეჩერებული წამი, როცა ჩვენს სოკრატს ვხედავთ საქართველოს სახელგანთქმულ ადამიანებთან, უბრალო გურულებთან, უახლოეს ნათესავებთან და მეზობლებთან ერთად. მისი დიდი, თბილი გული ყველას იტევს...

ეეეე.. შეიძლება ითქვას, რომ სიბერე მოგძალებია ძმაო, სოკრატ, ერთად შეგიკრავს შენი 75 წლისთავის აღნიშვნელი წლების ისტორია... რატომაც არა, შენ კეთილსინდისიერად, უხინჯოდ განვლე ცხოვრების ოკრობოკროები, ემსახურე ხალხს, ემსახურე ქვეყანას... დღესაც ჯანზე ხარ, ჯიში მძლავრობს, ღმერთმა კარგად გამყოფოს, შენი უსაყვარლესი სამშობლოს უკეთეს დღეებს მოსწრებოდე!

**ვილენ მარდალეიშვილი**


# აუქციონი

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე 1 ლოტად.**

1. ლოტი. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნატახტრის ტერიტორიაზე მდებარე მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 420 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.03.30.331).

**საწყისი გასაყიდი ფასია: 1 მ² – 15 ლარი**

**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის — 5% - ს**
**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს — 50 ლარს**
**აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 5 %-ს.**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. № 73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი..

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ 8(27-32) 51-27-27, 899 22-65-33, 899 34-50-85.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**



**რეკლამა**
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

**მრგვალი მაგიდა**

# არასრულწლოვან კანონდამრღვევთა პრობლემები

**სასტუმრო „ბეტსმა“ უმასპინძლა „მრგვალ მაგიდას“ – საქართველოში არასრულწლოვანი კანონდამრღვევების პირობითი მსჯავრისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.**

**შეხვედრა გაიმართა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სასჯელაღსრულების და პრობაციის სისტემის რეფორმის პროექტის ფარგლებში, გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდის (იუნისეფისძ ორგანიზებით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.**

შეხვედრა გახსნა იუნისეფის ბავშვთა დაცვის სპეციალისტმა კერი ნილმა. მრგვალი მაგიდის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი.

– ეს მრგვალი მაგიდა ჩვენთვის ძალიან პროდუქტიულია, – აღნიშნა მან, – ვსწავლობთ არასრულწლოვანი მსჯავრდებულების შესაძლო რისკებს, მათი შემდგომი რეციდივის თავიდან ასაცილებლად. არსებითია არც საზოგადოებას ვავნოთ და მათი უსაფრთხოება დაცული იყოს და, იმავდროულად, დაცული იყოს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა უფლებები.

„მრგვალ მაგიდაში“ მონაწილეობდა საერთაშორისო ექსპერტი, ამსტერდამის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, ჰოლანდიაში ბავშვთა სპეციალური სასამართლოს მოსამართლე და გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე იაპ დუკი.

მან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება განსაკუთრებულ სფეროდ მოიხსენია, როდესაც ბავშვის საუკეთესო ინტერესებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და მხოლოდ ამის შემდეგ მივუსაჯოთ მას სასჯელი. იაპ დუკის მოხსენება ბავშვის უფლებათა კონვენციას ეფუძნებოდა, თუ როგორ უნდა მოხდეს ბავშვის რეინტეგრაცია საზოგადოებაში, რათა მან სწრაფად შეძლოს კონსტრუქციული როლის შესრულება.

„მრგვალი მაგიდის“ მონაწილეებმა პროგრესად მიიჩნიეს ბოლო დროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქმედითი სისტემის შექმნა, რომელიც ბავშვის რეაბილიტაციაზეა ორიენტირებული და არა სადამსჯელო ღონისძიებებზე. ამის მიუხედავად, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მოსაგვარებელია. საპატიმრო სასჯელების ალტერნატიული მექანიზმები ცოტაა და კარგად არ არის განვითარებული. პრობაციის სამსახურს არა ჰყავს მართლმსაჯულების ადმინისტრირების საკითხებში მომზადებული საკმარისი რაოდენობის თანამშრომელი. არასრულწლოვანი კანონდამრღვევებისთვის პირობითი მსჯავრის გამოტანა და პირობით ვადამდე გათავისუფლება სწორედ საპატიმრო სასჯელის ალტერნატიულ მექანიზმებად მოიაზრება, რომლებიც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, მაგრამ ხშირად არ გამოიყენება.

პრობაციის სამსახურის წარმომადგენელმა თემურ იოზაძემ აღნიშნა, რომ სულ თბილისში 280 პრობაციონერია, საქართველოში კი – 600. ინგლისური წარმოშობის ეს სიტყვა პირობით მსჯავრს ნიშნავს. პრობაციონერი პიროვნებაა, ვინც ციხეში არ ზის, მაგრამ პირობითი მსჯავრდებულია, ანუ მას ეძლევა გამოსწორების შანსი და ვადა. ამაში კი არასრულწლოვანებს პრობაციის სამსახურის ოფიცრები ეხმარებიან.

– 280 საქმე ცოტა არ არის, ჩვენი ოფიცრები მაინც ახერხებენ რამდენიმე ათეულ არასრულწლოვანთან მისვლას, მათთან და მათ მშობლებთან მუშაობას. ისინი ეცნობიან პრობაციონერების პრობლემებს, თუ რატომ არ დადიან სკოლაში და წიგნები რატომ არ აქვთ.

თუ ისინი ღარიბი ოჯახის წარმომადგენლები არიან, ჩვენ ვუკავშირდებით სხვადასხვა ორგანოებს, ბიზნესმენებს, რომ მათ დაეხმარონ, შეუძინონ წიგნები, გამოუყონ მგზავრობის ფული...

შეხვედრაზე გახმიანდა აზრი, რომ საქართველოს მთავრობას გაუზიარებია საერთაშორისო შეშფოთება სისხლის სამართლის პასუხისგებაში არასრულწლოვანთა ასაკის 12 წლიდან 14 წლამდე აწევის თაობაზე.

„მრგვალი მაგიდის“ მონაწილეების აზრით, არასრულწლოვანი კანონდამრღვევების მიმართ თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოყენებულ იქნას როგორც უკიდურესი ზომა, არსებითია ბავშვის უფლებების დაცვა მისი ღირსების შენარჩუნებით. საქართველოში მაქსიმალურად საუკეთესო მოდელი უნდა დაინერგოს, რაც გულისხმობს კანონთან კონფლიქტში



მყოფი ბავშვების პროფესიული უნარ-ჩვევების შესწავლას, მათთვის სპორტულ ღონისძიებებს, თავისუფალი დროის სწორ გამოყენებას და სოციალური უნარების სწავლებას, ინდივიდუალურ ფსიქო-სოციალურ დახმარებას, სასიცოცხლო უნარჩვევების სწავლებას.

სასჯელაღსრულების სისტემის ფარგლებში პროექტი ხორციელდება ავჭალის არასრულწლოვანთა სააღმზრდელო დაწესებულებასა და თბილისის №5 ქალთა და არასრულწლოვანთა კოლონიაში. ხოლო პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებული არასრულწლოვანები ჩაებმებიან არსებულ საგანმანათლებლო და სპორტულ პროგრამებში.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## განცხადება

**სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2009 წლის 14 აგვისტოს, 12 საათზე, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ-ში, საზოგადოების ოფისში. საერთო კრების საალრიცხვო დღედ განისაზღვრა 2009 წლის 23 ივლისი.**

დღის წესრიგი:

1. 2008 წლის საბოლოო შედეგების განხილვა;
2. მოგების განაწილების საკითხი.

საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მათი მონაწილეობის უფლება კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი“, მდებარე: **ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 74ა.**

**ხსოვნა**

# ახმედ ბერიძე



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 82 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პედაგოგი ბატონი ახმედ ბერიძე.

ახმედ ბერიძე 1928 წლის 14 იანვარს დაიბადა აჭარაში, ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1954 წელს დაასრულა.

პირველი სამი წლის განმავლობაში ბატონი ახმედი განაწილებით მუშაობდა ფიზიკის მასწავლებლად აჭარის სხვადასხვა რაიონის სოფლებში, შემდგომ კი მუშაობა გააგრძელა თბილისში საკავშირო მნიშვნელობის ხელსაწყოთა მშენებლობისა და ავტომატიზაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც გაიარა თითქმის ყველა საფეხური პირველი კატეგორიის უფროს ინჟინრამდე. საბოლოო არჩევანი ნიჭიერმა ახალგაზრდამ პედაგოგიურ მოღვაწეობას დაუკავშირა. ის კითხულობდა ლექციებს თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ბატონი ახმედის ოჯახი ერთგვარ ბუდედ იქცა აჭარიდან ჩამოსული ახალგაზრდებისთვის, სადაც სითბო და სიყვარული მათ არ დაკლებიათ.

ბატონმა ახმედმა მეტად სასახელო გზა განვლო. მისი საქმიანობა დატვირთული იყო: მეცნიერული მოღვაწეობით, მის კალამს არა ერთი ფუნდამენტური გამოკვლევა ეკუთვნის ფიზიკის სწავლების საკითხებში, საზოგადოებრივი საქმიანობითა და ახალგაზრდობის აღზრდის უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში, სადაც უმწიკვლოდ ემსახურებოდა ახალგაზრდა ავიატორთა აღზრდის მეტად მნიშვნელოვან საქმეს. იგი იყო საავიაციო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივის ერთ-ერთი სასიქადულო წევრი, მართალი და პრინციპული, მეგობრის სიყვარულსა და დახმარებაშიც შეუდარებელი. სევდა და ტკივილიც მომეტებული ჰქონდა, მაგრამ სულით ძლიერსა და გაუტეხავს ვერაფერი დააკლო, რადგან შვილები, შვილიშვილები და უამრავი აღზრდილი ფარვანასავით დატრიალებდა.

დიახ, მხოლოდ 15 წელი გაუძლო დარდს, მეუღლის დაკარგვას მაინც ვერ შეეგუა, აკი უმუხთლა წუთისოფელმაც.

უდიდესი ტკივილი დაუტოვა ყველას.

ვეფერებით ბ-ნ ახმედ ბერიძის ნათელ ხსოვნას და უფალს ვთხოვთ, სასუფეველში დაამკვიდროს.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

# მეგობრის ხსოვნას



გავრცელდა ცნობა, რომ 2009 წლის 22 ივლისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შედეგად, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი ახმედ ბერიძე.

გლოვის ზარმა ჩამოკრა აჭარის სოფელ გეგელიძეებსა და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში, სადაც ბოლო ათწლეულების მანძილზე მუშაობდა ბატონი ახმედი.

თუ თვალს გადავავლებთ ბატონ ახმედის ცხოვრებისეულ ბიოგრაფიასა და მის შუქჩამდგარ მადლით მოსილ სანდომიან სახეს, მაშინ თვალწინ დაგიდგებათ ქვეყნისთვის და ერისთვის ამაგდარი სახელოვანი კაცი, შესანიშნავი მეუღლე, ღირსეული მამა, მოსიყვარულე ბაბუა, საუკეთესო მეგობარი, საიმედო ახლობელი, ჭირისა და ლხინის დამამშვენებელი პიროვნება.

დიახ, ასეთი გახლდათ დიდებული ადამიანი ბატონი ახმედ ბერიძე, რომელმაც თავისი შეგნებული სიცოცხლე ახალგაზრდობის აღზრდას დაუკავშირა. მისი აღზრდილები სიყვარულითა და დიდი პატივისცემით იგონებენ უზადო პროფესიონალ მასწავლებელს, რომელმაც ფიზიკის მეცნიერებასთან ერთად მოყვასის სიყვარულიც ასწავლა. იგი იყო პირველი თავისი მშობლიური სოფელ გეგელიძეებიდან, სადაც დაიბადა და გაიზარდა, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი მიიღო. ის იყო გზამკვლელი იმ სოფლის ახალგაზრდებისა, დღეს მეცნიერებაში რომ აქვთ ადგილი დამკვიდრებული.

ხშირად ნახავდით ბ-ნ ახმედს ყვავილებით ხელში შესანიშნავი მეუღლის ქ-ნი ლილი გოგინაშვილის საფლავთან, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

15 წელი ფრთამოტეხილი დადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხარობდა შვილებით მაიათი და ზურაბით, სიძით – დავითით, რძლით – ეკათი და ოთხი შესანიშნავი შვილიშვილით, მაგრამ დარდმა მაინც გატეხა.

ახლა მისი ოჯახის წევრები, მეგობრები, მეზობლები, ახლობლები, თავისი აზრდილები თავდახრილები, თვალცრემლიანები ყვავილებით მიაცილებენ სამუდამო სასუფევლისკენ, რაც ყველაზე დიდი ჯილდო და გვირგვინია მისი ამქვეყნიური ცხოვრებისა.

ბატონო ახმედ, თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მოგონებით გავლიოთ დღენი ჩვენი, ვილოცოთ, რათა უფალმა ნათელში ამყოფოს მარადისობაში გადასული შენი ლამაზი სული.

მეგობრები:
სერგო ტეფნაძე, აკაკი დუმბაძე, გელა კიკაძე, ლექსო ბოლქვაძე, სიმონ შარაძე

---

მეუღლე ილია ნიაური, შვილი ნათელა, სიძე ტარიელ მაზმიშვილი, შვილიშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლამარა კალანდაძე

პანაშვიდი, 25 VII, 17 სთ. თბილისის ივერის ხვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრიდან ქ. თბილისის თოფურიძის ქ. №1 (ნახალოვკაძ გამოსვენება 26 VII, 14 სთ.

---

დები რუსუდან, ტურფა კალანდაძეები, ძმა თენგიზ კალანდაძე, რძალი ფოთოლა ბოხუა, დისწულები თამრიკო შამათავა, კორნელი, მერაბი ჭავჭანიძეები, ძმისწულები მარინა, გია კალანდაძეები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლამარა კალანდაძე

---

ძმისწული მარინა კალანდაძე, სიძე ზურაბ ედიშერაშვილი, ძმისშვილიშვილები ელენე, ტატო ედიშერაშვილები, რძალი თეონა ტურძელაძე იუწყებიან, რომ გაირდაიცვალა

ლამარა კალანდაძე

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ თენგიზ კალანდაძეს დის

ლამარა კალანდაძის

გარდაცვალების გამო.

---

ცირა და გივი ლომინაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ თენგიზ და ფოთოლა კალანდაძეებს დის

ლამარა კალანდაძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია აფხაზეთის წევრები გივი ლომინაძე, ვახტანგ ყოლბაია, გია გვაზავა, გენო კალანდია, დიმა ჯაიანი, ოთარ ჭითანავა, ვალერი ჭანტურია, დათო გვაძაბია, აკაკი გასვიანი, ბესო ლაგვილავა თანაუგრძნობენ ბატონ თენგიზ კალანდაძეს დის

ლამარა კალანდაძის

გარდაცვალების გამო.

---

დედა ლამარა ენუქიძე, მეუღლე რუსუდან ბერიძე, შვილი ნოდარ სალუქვაძე, და ქეთევან სალუქვაძე, დისწული თამთა თევზაძე, სიძე ვახტანგ თევზაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ ნოდარის ძე
სალუქვაძე

პანაშვიდი 24, 25 VII, 18 სთ. დაკრძალვა 26 VII, 15 სთ. მისამართი: ფალიაშვილის 78 ბ, VII სადარბაზო, V სართული.

---

მინდია სალუქვაძე ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება ძმისწულის – კარგი ქართველი ვაჟკაცის

თამაზ ნოდარის ძე
სალუქვაძის

გარდაცვალებას და უსამძიმრებს მთელ სანათესაოს.

---

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ვახტანგ და მარინა ქავთარაძეებს, ალეკო და ირინა მაჭავარიანებს ცოლის ძმისა და ძმის ტრაგიკულად დაღუპული

გივი რევაზის ძე ჭკადუას

გარდაცვალების გამო.

---

თბილისის ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მიკოლოგი

ირმა მურვანიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



### ძმობა

ვიცოდით ფასი ცისა და მიწის,
ეს სადღეგრძელოც ღმერთთან შევთვალეთ,
რა დრო გასულა, —
სამოცი წლის წინ
ჩვენ ხევსურეთში
ვძმობდით ერთმანეთს!

ჯ. ჩ.

*ხევსურეთში, ბარისახოში გურამ თიკანაძის მიერ გადაღებულ ამ ფოტოზე აღბეჭდილნი არიან (მარცხნიდან: **ოთარ ჭილაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ანზორ სალუქვაძე.***

## ასტროპროგნოზი

### ლომი

**23 ივლისი — 22 აგვისტო**
**მფარველი პლანეტა: მზე**



**ქალბატონი**

ლომი ქალბატონი შეძლებს საკუთარი მსოფლმხედველობის გაფართოებას, ბევრს იმოგზაურებს და მრავალ უცხო ადამიანს შეხვდება, რომელთაგან უამრავ საინტერესო ამბავს შეიტყობს.

სახლის კეთილმოწყობაზე ზრუნვას ლომი ქალბატონის ჯალაბი სიხარულით შეხვდება, მეტადრე მაშინ, თუკი ამას მან წლის პირველ ნახევარში მოკიდა ხელი. საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა წლის მეორე ნახევარში სჯობს, თუმცა ძირითადი აქცენტის გადატანა პირად ურთიერთობებზეა. მით უმეტეს, რომ წლის დამდეგს ახლობლებთან რამდენიმე უსიამოვნება შეემთხვათ. მერკურისა და მთვარის კავშირი გაფრთხილებთ, რომ საჭიროა თავი აარიდოთ საეჭვო პირების გავლენის ქვეშ მოქცევას, რადგან წარსულის ზემოქმედება საკმაოდ დიდია. თქვენ ემოციურად ადვილად აღგზნებადი, მგრძნობიარე ხართ, რაც განსაკუთრებით ზაფხულობით იჩენს თავს. რათა საკუთარ ქცევაში შეცდომები არ დაუშვათ, სცადეთ უფრო მეტად დაეყრდნოთ მეუღლისა ან საქმიანი პარტნიორების მხარდაჭერას, ზოგადად კი უფრო იმ ხალხს ენდოთ, ვისიც გჯერათ. დაპირებების მიცემას ნუ იჩქარებთ, ხოლო თუკი პიროებას დადებთ, აუცილებლად შეასრულეთ.



**მამაკაცი**

ლომ მამაკაცს აუცილებლად დაჭირდება მხარდაჭერა, თუმცა უმჯობესი იქნება, რომ ამის დამალვა და სამსახურის საქმეების მიხედვა სცადოს.

წლის დამდეგიდან ლომ მამაკაცს სამსახურებრივ საქმეებსა და კარიერულ ზრდაზე დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რასაც უამრავი დრო და ძალისხმევა მოანდომა. მას ბევრი არაკეთილმოსურნესთან შებრძოლება, მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა, არადა ამ დროს, თურმე, უკეთესი იქნებოდა ყურადღება საოჯახო საქმეებზე, ცოლ-შვილთან, მშობლებთან ურთიერთობისთვის დაეთმო. თუმცა წლის მეორე ნახევარში, თუკი საკმაო გულისხმიერებასა და ყურადღებას გამოიჩენს ახლობლების მიმართ, მისი ენერგია საჭირო მიმართულებით წარიმართება და მაშინ აღმოჩნდება, რომ გარეგნული კუშტობის, შინაგანი სიმკაცრისა და მიზანდასახულობის მიღმა მეტად ფაფუკი და ამყოლი ნატურა იმალება. მეუღლის ყურადღებასა და თანადგომას მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და თუკი თანამეცხედრე მოთმინებითა და გულისყურით მიუდგება, მას თავისუფლად აიყოლებს.

## დაიჯესტი

### ანტიკანცეროგენური ვირუსი



**კიბოს უჯრედებში შეღწევა და შიგ ანტისიმსივნური წამლებისა და გენების შეტანა, ასევე, დნმ-ის აღდგენა შეუძლია სამხრეთ კორეის „იონსეს“ უნივერსიტეტის ბიოლოგების მიერ შექმნილ ხელოვნურ ვირუსს.**

სიმსივნური დაავადებების უმეტესი ნაწილი უჯრედებში გენეტიკურ დარღვევებთანაა დაკავშირებული — როცა უჯრედებში „კვდომის“ მექანიზმი აღარ მოქმედებს, ისინი უკონტროლოდ გამრავლებას იწყებენ. მეცნიერთათვის ყველაზე რთული გადასაჭრელი პრობლემა უჯრედის ბირთვში წამლის შეღწევა იყო, რადგან გენეტიკური აპარატი სწორედ იქ იმყოფება. საქმე ის არის, რომ უჯრედს დაცვის ძალიან მძლავრი მექანიზმი აქვს, რომელიც უცხო ცილასა და ქიმიურ ნაერთს არ ატარებს. ახალმა ვირუსმა კი უჯრედში შეღწევა ოსტატურად „ისწავლა“, რადგან თუ უჯრედის მექანიზმი ვირუსული ცილების გამოყოფაზე არ გადართო, თავად ვერ გამრავლდება.

### არცთუ „მომგებიანი“ დაბნეულობა

**მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი შარშან დეკემბერში ფლორიდის ერთ-ერთ მაღაზიაში 15 დოლარის (!) ძვირებულების ბეჭდის ქურდობისთვის დააკავეს.** გამყიდველმა შეამჩნია, რომ ყოფილი ტენისისტი ქალი მაღაზიიდან გავიდა და პოლიციას გამოუძახა. თუმცა, კაპრიატი სასჯელს გადაურჩა, რადგან მიიჩნიეს, რომ მას ეს განზრახ არ ჩაუდენია. ოლიმპიური ჩემპიონის მამამ სტეფან კაპრიატიმ განაცხადა, რომ ფული მისმა ქალიშვილმა მხოლოდ დაბნეულობის გამო არ გადაიხადა.



**უცხოური პრესის მიხედვით**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

— თუ გინდა, რომ მთელი დღის განმავლობაში მხნედ გრძნობდე თავს, დილით ყავაში ერთი კოვზი კონიაკი ჩაასხი!

— ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

— ნუთუ მართლა არ გიშველა?!

— არ მიშველა, რადგან კონიაკი დილამდე ვერასოდეს მივიყოლე.

* * *



სახიფათოა არა მხოლოდ მოწევა, არამედ ამ თემაზე საუბარიც კი. მაგალითად, ღამით დასმული კითხვა: „სიგარეტი ხომ არა გაქვთ?“

* * *

— ნაძირალავ, სექსის დროს კვლავ ტანია რად მიწოდე?

— ბნელა და...

* * *

როდესაც ამბობენ, მორჩა, ნახევარი საქმე გაკეთებულიაო, იმ საქმის განგრძობას ნუ ელით.

* * *

დაბადების დღეზე იუბილარი, ჩვეულებრივ, პირველი 5-10 ჭიქისთვის არის საჭირო...

## „საზომი“

### ბედნიერებს ტკბილად სძინავთ

ქალები, ქორწინებით ბედნიერები რომ არიან, იშვიათად იტანჯებიან უძილობით, — აცხადებენ ამერიკელი მკვლევარები.

მეცნიერებმა გამოჰკითხეს ორი ათასი გათხოვილი ქალი და გამოარკვიეს პირდაპირი კავშირი დაკმაყოფილებულ ოჯახურ ცხოვრებასა და ხარისხიან ძილს შორის და პირიქით, ცოლ-ქმრობის ყოველგვარი უსიამოვნებანი, უწინარეს ყოვლისა, ცუდი ძილით გამოიხატება.

საინტერესოა, რომ ასეთი გამოკვეთილი ურთიერთდამოკიდებულება შეიმჩნევა მხოლოდ თეთრ ქალებში — აფროამერიკელ და ლათინოამერიკელ ქალებში ძილსა და ოჯახურ ბედნიერებას შორის ასეთი კავშირი ძალზე სუსტი გამოდგა.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.